საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჯიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 13 ივლისი 1999 №130 (903) | ფასი 50 თეთრი

რეჯანელ გიორგი ნემსაძეს რეჯინა ეპატიჟება

პირველმა ქართველმა სერია B-ში შესაძლოა სერია A-შიც ითამაშოს

გახოკიძეს ესპანეთში იწვევენ

მას კი „ოვიედოში“ თამაშს „ეინდჰოვენში“ დარჩენა ურჩევნია

ლოს ანჯელესის ოქრო

ამერიკელ ფეხბურთელ ქალთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონია

ევროთასების წილისყრა

რუსთავის „აზოტის“ წილი უკრაინული „ბკ კიევია“, რომელიც, ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზე არსებობს

XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი

1999 წლის 15 ივლისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართება XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელებისა და სპორტის მოღვაწეთა. გამოსავლენი სარეფერენდუმო კომიტეტის ჟიურისა და კომისიის ერთობლივი სხდომა, შეჯამდება რეფერენდუმის პირველი ეტაპის შედეგები, გამოცხადდება პირველი ნომინაციის ლაურეატთა ვინაობა

დასაწყისი 16 საათზე

მიხაელ შუმახერმა გარისკა და...

შამპანური სხვებმა დალიეს, სიკვდილს იღბლად გადარჩენილი, ფეხისძვლებდამსხვრეული შუმი კი საავადმყოფოში გააქანეს



REUTERS ლონდონიდან

დრამატული პირველი წრე „სილვერსტოუნზე“... კედელსშემსკდარი და ჯართად ქცეული „ფერარის“ ლიდერის ბოლიდი ტრასიდან გააქვთ, ამ დროს კი ტკივილებისგან გონდაკარგულ მიხაელ შუმახერს ექიმები დასტრიალებდნენ

იხილეთ მეთორმეტე-მეცამეტე გვერდები

ნუ გაიტანთ პირველ გოლს!

39th Copa América Paraguay '99

ამ შაბათ-კვირას სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი მთელი თავისი არსით და ინტრიგით წარმოჩნდა — თვალსასეირო მეოთხედფინალებში თექვსმეტი ბურთი გავიდა და, რაც მთავარია, ბრაზილია არგენტინას შეხვდა და 2:1 მოუგო. ეს მატჩები საინტერესოსთან ერთად უცნაურიც იყო — პირველი გოლის გამტანი ყველა გუნდი საბოლოოდ დამარცხდა და ნახევარფინალს მილმა დარჩა.

იხილეთ მეექვსე-მეშვიდე გვერდები

REUTERS ესტენიდან

უხარიათ რივალდოს და რონალდოს — ბრაზილიამ უმთავრესი კონკურენტი არგენტინა დაამარცხა

გავუფრთხილდეთ ხვალინდელ დღეს!

თვრამეტწლამდელები შვედეთს გაფრინდნენ



ვახტანგ კოპალეიშვილი

ექვსი დღეც და საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები პირველ ოფიციალურ შეხვედრას გამართავს ევროპის ჩემპიონატის ეგიდით. ბუნებრივია, ქართველი გულშემატკივრის ფიქრები დღეისათვის „კოპალას ნაკრებს" უკავშირდება, მაგრამ ესეც არის — გულშემატკივარზე მეტი საფიქრალი „მაესტროს" მოსძალებია.

ვახტანგ კოპალეიშვილი თბილისიდანაც შეფიქრიანებული წავიდა. მთავარი მწვრთნელის შეშფოთების მიზეზი გასაგებიც იყო — კოპალეიშვილი გაბნეულ ნაკრების ნევრებზე წუხდა. შეკრების რაობა ყველას მოგეხსენებათ, მის აუცილებლობას და მნიშვნელობას რომ თავი დავანებოთ, ეს სიტყვა გუნდის მთლიანი შემადგენლობის თავმოყრას გულისხმობს. კოპალეიშვილმა კი დებიუტშივე 6 ფეხბურთელი მოისაკლისა. ბათიაშვილი, ხიზანიშვილი და ხიზანეიშვილი ბოსკამპმა იახლა ბენილუქსში, მენთეშაშვილზე და კორღალიძეზე „სკონტომ" თავისი უფლებები სრულად გამოიყენა (ეს ორი ფეხბურთელი ხვალ შეუერთდება 18-წლამდელებს). და ჯაკობია... ისედაც დამწუხრებული ნაკრების მთავარი მწვრთნელისთვის მისი მოულოდნელი ტრავმა მართლაც ლახვარივით მტკივნეული იყო.

გულშემატკივრის საფიქრალს დავუბრუნდეთ — რა ხდება საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებში ევროპის ჩემპიონატამდე 6 დღით ადრე? გეცოდინებათ შაბათ-კვირის წინ „კოპალას ბიჭებმა" „შტუტგარტ ამატორის" ძლევით გუნება-განწყობილება ერთიორად აიმაღლეს, გუშინ კი მათ მთავარ მწვრთნელს პირველი სიტყვებიდანვე შეეტყო, რომ უხასიათოდ იყო.

— ბატონო ვახტანგ, ხომ ყველაფერი რიგზეა?

— რა ვიცი, როგორ გითხრათ, გუშინ მეორე საკონტროლო მატჩიც მოვიგეთ...

— ჰოდა, წესით და რიგით კარგ ხასიათზე უნდა იყოთ...

—ეჰ... არა მატჩი კი მოვიგეთ, თან ბიჭები, დინამოელებიც, შემოგვიერთდნენ — ბათიაშვილი, ხიზანიშვილი და ხიზანეიშვილი...

— უცნაურია, მერე და ამას რა სჯობს...

— არა, მათი ჩამოსვლა თავისთავად ძალიან კარგია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სამივე მათგანი ტრავმირებულია.

— რამდენად სერიოზულია მათი ტრავმები?

— ყოველ შემთხვევაში, იმდენად ანგარიშგასაწევი იყო, რომ გუშინ ვერ ითამაშეს.

— მესმის, ამან იქნებ გარკვეული პრობლემებიც შეგიქმნათ.

— რა თქმა უნდა. გადაჭრით ვერ ვიტყვი, ჰოლანდიიდან ჩამოსულები შვედეთში ითამაშებენ თუ არა, მაგრამ, ბუნებრივია, ჩვენს საწვრთნელ ციკლში ისინი სრული დატვირთვით ვერ გაირჯებიან. თანაც, როგორც ჩანს, დიდი დატვირთვები აქამდეც არ მოჰკლებიათ.

— იმის თქმა ხომ არ გსურთ, რომ დინამოელებს ტრავმები ჰოლანდიური შეკრების დატვირთვის შედეგად აწუხებთ.

— ერთს ვიტყვი, ფეხბურთელები ასაკის შესაბამისად უნდა დაიტვირთონ. ჩვენი ფეხბურთის ხვალინდელ დღეს კი უფრო მეტად უნდა გავუფრთხილდეთ...

— გუშინდელ მეტოქეზე რას იტყვით?

— ობერლიგის, სამოყვარულო გუნდს — „ბერგაუს" ვძლიეთ 3:0 საშუალო დონის იყო, ბიჭებს დიდი ჯაფა არც დადგომიათ. ორი ბურთი ვალერი გაგუამ გაიტანა, ერთიც ჯაბა მუჯირმა.

— გუნდის შემადგენლობა პირველი მატჩისგან განსხვავებული იყო?

— არც იმდენად. დაცვის ხაზი საერთოდ არ შემიცვლია — კარში ბედიაშვილი იდგა კვლავინდებურად. მის წინ დევიძე, საჯაია, აბრამიძე, მუჯირი, შუა და წინა ხაზში კი მხოლოდ ორი ცვლილება მოვახდინე — ბურდულს, ნოზაძეს, გაგუას და მიქაძეს დიღმელაშვილი და გოცირიძე შევუწყვილე. იმედაძე და გველესიანი დავასვენე, მათ მიკროტრავმები აწუხებთ, მაგრამ საშიში არაფერია, ისინი ორიოდ დღეში გამოჯანმრთელდებიან.

— ესე იგი მეტოქის ძლევა არ გაგჭირვებიათ...

— არა. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭები ზეიმის შემდეგ ოდნავ გადაღლილებიც იყვნენ...

— რა ზეიმი იყო ასეთი?

— ადგილობრივებმა ჩაატარეს. მშვენიერი საღამო გამოვიდა. ასეთი რამ უქმეებში აქ ტრადიციად არის ქცეული, სტუმრები ჩვენს გარდა სხვებიც იყვნენ — რუსები, ინგლისელები, ჩვენი თანამემამულეებიც...

— თუ არ ვცდები, შვედეთში დღეს მიემგზავრებით.

— საბედნიეროდ, ვიზების საკითხი დადებითად გადაწყდა და შვედეთში დღეს შეუფერხებლად გავფრინდებით.

— იქაური კალენდარი თუ გაქვთ დაგეგმილი?

— დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. ერთი რამ ცნობილია — 15 ივლისს საკონტროლო მატჩს გავმართავთ ჯერაც უცნობ მეტოქესთან. 19 ივლისამდე, სავარაუდოდ მეორედაც ვითამაშებთ იქაურ გუნდთან, შემდეგ კი...

— შემდეგ იტალიელების პირისპირ წარსდგებით. საამმატჩოდ, ალბათ, გუნდის ძირითადი ბირთვი უკვე ჩამოყალიბებულიც არის.

— რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ შემადგენლობის დასახელებისგან ჯერ თავს შევიკავებ, რადგან შესაძლებელია, დარჩენილ ექვს დღეში გარკვეული ცვლილებების გაკეთებაც მომიხდეს.

ბაათა ძვანთალიანი

გიორგი ნემსაძე

ნემსაძე რეჯანას რეჯინაზე ცვლის

საქართველოს ნაკრების კაპიტნის გიორგი ნემსაძის გადაბირება კიდევ ერთ გუნდს მოუსურვებია — იტალიურ სერია A-ში წლეულს ამაღლებული რეჯო კალაბრიას „რეჯინა" უკვე რამდენიმე დღეა, ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებს ნემსაძის ახლანდელ კლუბ, სერია B-დან გავარდნილ „რეჯანასთან".

ეგ კი არა, რეჯინელები გეშინწინ თბილისში თავად გიორგის შეეხმიანნენ და თავიანთი სურვილი გაანდეს. „რეჯინას" მწვრთნელ გიუსტინეტს ჩვენებურის რამდენიმე მატჩი უნახავს „რეჯანას" შემადგენლობაში და მისით დაინტერესებულა. როცა ამის თაობაზე გია ნემსაძეს ვკითხეთ, გვითხრა:

— ახლაც, ტელეფონის ზარი რომ გავიგე, მეგონა, იტალიიდან მირეკავდნენ. რამდენადაც ვიცი, „რეჯინა" ძლიერ მოწადინებულია ჩემს შესაძენად, უკვე პირად მენეჯერთანაც კი დაუჭერიათ საქმე. მე, რა თქმა უნდა, იტალიაში დარჩენა მსურს. თანაც, თუ ეს ვარიანტი გამოვიდა, მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში მომიწევს თამაში. სხვა სათქმელი არაფერი მაქვს. 19 ივლისს იტალიაში მელიან. დანარჩენიც მერე გაირკვევა.

ჩვენც დაველოდოთ. ნემსაძემ თუ კარიერა „რეჯინაში" გააგრძელა, პირველი ქართველი იქნება, რომელიც უძლიერეს ლიგაში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ გიას ლისაბონის „სპორტინგიც" ეპატიჟება.

ძოზა ინასარიძე

გახოკიძის გვწამს, მარკა გვაკვირვებს

სავსებით შესაძლებელია, ჰოლანდიის „ეინდჰოვენის" ქართველმა ნახევარმცველმა გოგა გახოკიძემ ესპანეთის პრიმერადივიზიონის „ოვიედოში" გააგრძელოს თამაში, იუწყება ესპანური სპორტული გაზეთი „მარკა".

კლუბის ახალდანიშნულ მწვრთნელს, ცნობილ ლუის არაგონესს, რომელიც, სხვათა შორის, ყველაზე მეტჯერ გასძღოლია გუნდებს პრიმერადივიზიონის მატჩებში და ამ მხრივ ესპანეთში რეკორდსმენად ითვლება, „ოვიედოს" უფროსობისთვის უკვე წარუდგენია იმ ფეხბურთელთა სია, რომელთა შეძენაც კლუბისთვის აუცილებელია.

გახოკიძის გარდა არაგონესი მოინხელგლადბახელ სოპიჩს „ბრიუგეს" ფეხბურთელ კლასენსს, ბელგიელ თავდამსხმელს, ასევე „ეინდჰოვენის" კუთვნილ ჟილ დე ბილდესა და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელსაც ეპატიჟება.

„მარკას" ცნობით, გასული სეზონი გიორგი გახოკიძისთვის იმდენად უიღბლო გამოდგა, რომ ძალიან დიდი შანსია, ქართველი „ოვიედოში" ვიხილოთ.

გუშინ ეს ინფორმაცია რუსულმა საგენტო „რუსსპორტინფორმმაც" გაავრცელა.

ჩვენ კი წუხელვე, ჰოლანდიაში, „ეინდჰოვენის" ვარჯიშიდან შინ მიმავალ გოგა გახოკიძეს ტელეფონით ვთხოვეთ ყოველივეს კომენტარი.

— „ოვიედოს" წარმომადგენლები ორიოდ დღის წინ მართლაც ჩამოვიდნენ ეინდჰოვენში. პირადად ჩემთან საქმე არ დაუჭერიათ, კლუბის ხელმძღვანელებთან კარგა ხანს ისაუბრეს. ეს ამბავი მოგვიანებით, პსვ-ის მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა მითხრა. ბევრი არაფერი, „ოვიედო" გვთხოვს შენს თავსო და მორჩა, გერეტსს სიტყვა აღარ გაუგრძელებია. რა უპასუხეს ესპანელებს, არ ვიცი. ვერც იმას გეტყვით, პსვ რამდენს მაფასებს, ან თუ აპირებს ჩემს „ოვიედოში" გაშვებას. ჯერჯერობით ვვარჯიშობ, უახლოეს დღეებში გუნდთან ერთად შეკრებაზეც მივდივარ. ისე კი, ჩემი ნება რომ იყოს, „ოვიედოში" წასვლას პსვ-ში დარჩენა მირჩევნია, მით უმეტეს, ჩემპიონთა ლიგაში თამაში გველის. ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ვფიქრობ, თუ გერეტსმაც არ დამაყენა ძირითად შემადგენლობაში, მაშინ სხვა იქნება, ეინდჰოვენს უეჭველად დავტოვებ.

„ოვიედო" ჯერჯერობით შვებულებაშია, არაგონესი — საფიქრალში, „მარკაში" კი ისე წერია, თითქოსდა გოგა გახოკიძის ესპანეთში გამგზავრებას მხოლოდ თვითმფრინავის ბილეთილა აკლდეს.

ძოზა ინასარიძე

გოგა გახოკიძე

დინამოში ისევ ღია კარის დღეა

ჰოლანდიაში შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ" შაბათს კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა.

ბუქარესტის „რაპიდთან" თბილისელები 1:2 დამარცხდნენ. თამაში საინტერესო, საცქერლად ლამაზი გამომდგარა. საწყის ათ წუთში რუმინელები ორი ბურთით დაწინაურებულან, ჩვენებს საპასუხოდ ერთი გაუტანიათ — შეცვლაზე შესულ კახა გოგიჩაიშვილს.

როგორც ამ მატჩის მნახველთაგან შევიტყვეთ, „დინამოს" უპირატესობა აშკარა ყოფილა, ყველა რეალური მომენტის გამოყენების შემთხვევაში მოგებას ვინლა ამბობს, რუმინელები განადგურდებოდნენო.

„დინამოს" შემადგენლობა ასეთი იყო: სილევსკი, შაშიაშვილი, დიდავა, ვაშაკიძე, ა. სახვაძე, ვ. გიგიაძე (გოგიჩაიშვილი), სიჭინავა, კიკნაძე (გუჩუა), ალექსიძე, შენგელია (ხომერიკი), აშვეთია (წიტაიშვილი).

იკითხავთ, ეგ სილევსკი ვინღააო. მაკედონიელი მეკარეა, ადრე ბელგიის „მეხელენში" ნათამაშევი, სიმაღლით 193 სანტიმეტრი. ჰოლანდიას „დინამოში" გასასინჯადაა ჩასული. ორივე გოლიც მის სინდისზე ყოფილა: პირველად, მესამე წუთზე, ერთ-ერთმა რაპიდელმა დაახლოებით ცენტრიდან აბრაგანი რომ დაარტყა, ბურთი ზედ სილევსკის ცხვირწინ, საჯარიმოს ხაზთან დაცემულა და მეკარის ზურგს უკან, კარში ჩაშვებულა; მეორედ კი, მერვე წუთზე, მაკედონიელს საშუალო მანძილიდან საჯარიმო დაურტყეს, ბურთიც ახლო კუთხეში გასულია. მატჩის შემდეგ „დინამოს" მწვრთნელ იოჰან ბოსკამპსაც ბევრი აღარ უფიქრია, კარგად იყავიო, დამშვიდობებია სილევსკის.

დანარჩენთა თამაშით კი მწვრთნელი ერთობ კმაყოფილი დარჩენილა, ბიჭებმა დავალება კარგად შეასრულესო. სხვათა შორის, რუმინელთა მწვრთნელს, ახლო წარსულში მილანის „ინტერის" თავკაცს მირჩა ლუჩესკუს „დინამო" ძლიერ მოსწონებია და ჩვენებურებთან ხელმეორედ გაჯიბრების სურვილიც გამოუთქვამს.

სილევსკის გარდა ეპეში გასასინჯადვე ჩასულან ბრაზილიელი ფორვარდი, ვინმე დე სოუზა და ერთიც განელი მეკარე. ვარაუდობენ, განელს ბოსკამპი სილევსკის გზას გაუყენებსო, ბრაზილიელს კი გუშინ, ჰოლანდიის „ჰერაკლესთან" შეხვედრისას თბილისელთა შემადგენლობაში უნდა ეთამაშა.

ბოსკამპი და კომპანია სადღეისოდ ელის რამდენიმე იუგოსლავიელ ფეხბურთელს. დინამოელები ჯერჯერობით მათ ვინაობას არ ამხელენ, თუმცა გვითხრეს, ალბათ ორ იუგთან ექვსთვიან კონტრაქტს დღესვე გავაფორმებთო.

ძოზა ინასარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორპედოში ნომენდა დაიწყო

„ტორპედოს“ ახალწვეულმა მიხეილ ბობოხიძემ (№15), გორელ რევაზ ხაჭაპურიძეს რომ გაურბის, „ტორპედო“ — „დილას“ სანახავად შეკრებილ 2000 ქომაგს თავი ბოლო 25 წუთშიც დაამახსოვრა

მასალა დარჩა ქუთაისიდან

პირველ ივლისს იყო, თავის საუფფო და, ამავდროულად მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის, სამზადისში „ტორპედომ“ პირველი საკონტროლო შეხვედრა რომ ჩაატარა. ეროვნულ სტადიონზე ქვეყნის ორი უძლიერესი კლუბის დაპირისპირებამ მარად ჩემპიონ „დინამოს“ მოუტანა გამარჯვება — 3:1. და აი, შაბათს ტორპედოელებმა მეორე საკონტროლოც გამართეს დავით ყიფიანის წინამძღოლობით. ამჯერად ქუთაისელები შინ, სარეკონსტრუქციო გაწამაწიაში მყოფ „გივი კილაძეზე“ გორის „დილას“ დაუხვდნენ ამხანაგურად. თუმცა, რა ამხანაგობაზეა ლაპარაკი, როცა ეს სიტყვა სულაც არ შეეფერება შეხვედრის ანგარიშს — 5:1.

გიორგი გოგიაშვილი

მაგრამ, ვიდრე ამ თამაშის შესახებ ვიტყოდეთ, უპრიანი იქნება „ტორპედოსთან“ დაკავშირებულ სიახლეებზე გამცნოთ. ყველაზე საინტერესო, ალბათ, მაინც ისაა, რომ ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელობამ ძველი შემადგენლობიდან ორი ფეხბურთელი გაიმეტა ტრანსფერზე დასაყენებლად. ერთი მათგანი კონსტანტინე მეტრეველია, თავდამსხმელი, რომელმაც „ტორპედოში“ ორსეზონნახევარი დაჰყო, 50-მდე ოფიციალურ მატჩში ითამაშა და 11 ბურთი გაიტანა. მეტრეველის დებიუტი „ტორპედოში“ ბევრს ახსოვს, „სლავამ“ მართლაც კარგად დაიწყო, მაგრამ მერე და მერე თამაშს უკლო და, აგერ შედეგიც. ამ ზამთარს „ტორპედოში“ „სიონიდან“ მისულ ნახევარმცველ გიორგი მაზანიშვილს თამაშის არცოდნაში ცილს ვერავინ დასწამებს. იგი ბურთს კარგად ფლობს და ზუსტი პასიც აქვს, მაგრამ ნელია და ხშირად ამ ნაკლის კომპენსაციას ვერ ახდენს. რაც არ უნდა იყოს, მაზანიშვილს „ტორპედოში“ გატარებული ნახევარი წელიწადი ცუდ მოგონებად არ უნდა დარჩეს. ბოლოს და ბოლოს გიორგი ამ გუნდთან ერთად მეათე ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი და საქართველოს თასის მფლობელი გახდა. როგორც ვთქვით, მეტრეველი და მაზანიშვილი „ტორპედომ“ ტრანსფერზე დააყენა. ეს ინფორმაცია კლუბის პრესცეტრმა მოგვაწოდა.

ამ წყვილის გარდა „ტორპედო“ რუსთავის „გორდადან“ ახალმოწვეულ მცველ კახა სიდამონიძესაც დაეთხოვა. მიზეზი? გუნდში მისი ამპლუის უფრო ძლიერი მოთამაშეებიც არიან. მეტრეველი, მაზანიშვილი, სიდამონიძე, მანამდე გიორგი კვეტენაძე. ამ ოთხისა რა მოგახსენოთ და ზაზა ზირაქიშვილის „ტორპედოში“ არყოფნა კი მართლა გასაკვირია. ერთი კვირის წინ დავით ყიფიანი არსენალელი ზირაქიშვილის გატორპედოელებას გადაწყვეტილად მიიჩნევდა. ეგებ ასეც მოხდეს, მაგრამ ფაქტია, დღესდღეობით არც ზაზაა „ტორპედოში“. ამბობენ, ფეხბურთელს თავის ყოფილ გუნდთან აქვს გასასწორებელი ანგარიში და ვიდრე ეს არ მოხდება ზირაქიშვილი სამხედროვალდებულად დარჩება.

და, სულ ახალი ამბავი. გუშინ საღამოს საღორიის საწვრთნელ ბაზაზე გიორგი გოგიაშვილი გამოჩნდა. ამ ფეხბურთელის ისტორიას აღარ მოვყვებით. იმას კი შეგახსენებთ, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ქართველი ნახევარმცველი გოგიაშვილი რუსული უმაღლესი ლიგის „ჟემჩუჟინას“ წევრი გახლდათ. სოჭური კლუბი ახლა დიდ გასაჭირშია. „ჟემჩუჟინამ“ უკანასკნელ ადგილზე დაასრულა ჩემპიონატის პირველი წრე, ისე, რომ ერთი თამაშიც ვერ მოიგო და ამ ჩემპიონატში ლიგიდან გავარდნას, ალბათ, ვერც ასცდება. ხვალ „ჟემჩუჟინას“ გასვლითი თამაში აქვს ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივთან“. გოგიაშვილი კი ამ დროს ქუთაისშია (?!). გიორგის გუშინვე ოჯახში ვესტუმრეთ.

— რაშია საქმე, შენი აქ ყოფნა რას მივაწეროთ?

— „ჟემჩუჟინასთან“ საბოლოოდ გავწყვიტე ურთიერთობა. კლუბმა ჩემთან კონტრაქტი დაარღვია. პირველი წრის ბოლომდე ველოდი დანაპირების შესრულებას, მაგრამ საშველი არ გამოჩნდა. ჩვენ მოლაპარაკებულები ვიყავით, თუ პირობები არ შესრულდებოდა, მე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დავტოვებდი „ჟემჩუჟინას“.

— გვითხარი, რა ხდება „ჟემჩუჟინაში“?

— გუნდი წარუმატებლად თამაშობს და ამის მთავარი მიზეზი უსახსროობაა. „ჟემჩუჟინას“ ფინანსურად ძალიან უჭირს, კლუბი მოთამაშეებს ვალს ვერ უსტუმრებს. თავიდან რამდენიმე მოსაგები თამაშიც კი წავაგეთ. მერე მდგომარეობა სულ აირია, მთავარი მწვრთნელიც გამოცვალეს, ბაიდაჩნის მაგივრად ანტიხოვიჩი მოვიდა. ბოლოს გუნდი ცოტა გონს მოეგო, მაგრამ ვერა და ვერ გაიმარჯვა.

— ბ[illegible]დაჩნის ხელში თამაშობდი, ანტიხოვიჩმა რატომ გიუარა?

— საქმე ის არის, რომ ანტიხოვიჩს ჩემი ამბავი დაახვედრეს, გოგიაშვილი გუნდიდან წასვლას აპირებსო და ისიც აღარ მათამაშებდა.

— ესე იგი „ჟემჩუჟინადან“ წამოსვლა ადრევე გქონდა გადაწყვეტილი?

— ეგრე იყო. გულახდილად გეტყვით, „ჟემჩუჟინაში“ ფეხბურთელი ვერ გაიზრდება, პირიქით, იქ მხოლოდ დეგრადაცია გელის. კლუბს არავითარი მიზანი არ გააჩნია, ლიგაში ადგილის შენარჩუნების გარდა. წარმოიდგინეთ, გუნდს, თუ არ ვცდები, შარშანდელი სექტემბრის მერე ერთი თამაშიც არ მოუგია. როგორი გასაჩერებელია?! საერთოდ რუსეთში სამი — ოთხი გუნდი, ისიც მოსკოვის, თუ თამაშობს ფეხბურთს, დანარჩენი წვალობს და ეგ არის.

— მაშინ სხვა ჩვენი ბიჭები როგორ ძლებენ „ჟემჩუჟინაში“?

— ვინღა დარჩა. ალექსანდრე გელაძე ადრე წამოვიდა სოჭიდან და ახლა, მგონი უგუნდოდაა. გიზო ჯელაძე სარატოვში დაბრუნდა. მე მგონი, აღარც გოჩა გოგრიჭიანი გაჩერდება „ჟემჩუჟინაში“ დიდხანს. დათო ხმელიძე მესამე მეკარედაა გუნდში და არ ვიცი, რას ფიქრობს.

— გიორგი, შენ ამ ზამთარშიც აპირებდი „ტორპედოში“ მისვლას, მაგრამ ბოლოს მაინც „ჟემჩუჟინა“ არჩიე?

— რა დასამალია, მაშინ „ტორპედოს“ ხელმძღვანელობასთან პირობებზე ვერ შევთანხმდით, ისე დიდი სურვილი კი მქონდა გუნდს დავხმარებოდი.

— და ახლა ისევ „ტორპედოს“ მიაკითხე...

— „ტორპედოსთან“ კონტაქტი არც გამიწყვეტია. ჯემალ ხერხაძესთან ხშირად ვსაუბრობდი ტელეფონით. ქუთაისში ჩამოსვლას ჯერ კიდევ „სამგურალთან“ თასის ფინალის წინ ვაპირებდი, მაგრამ მაშინ „ჟემჩუჟინას“ მესვეურებმა კიდევ ერთხელ მთხოვეს, ნუ აჩქარდები, იქნებ საქმე გამოსწორდესო და მეც თავი შევიკავე.

— ვთქვათ და, გატორპედოელდი. როგორ ფიქრობ, გაგიჭირდება ახალ გუნდში ადაპტაცია?

— სრულებითაც არა. მე სოჭში უფრო მიჭირდა. გოგრიჭიანის გარდა ხეირიანი პარტნიორი არ მყოლია. ქუთაისში, სხვას რომ თავი დავანებოთ, დათო ჯანაშია და ზურაბ იონანიძე არიან. ამათთან ერთად ბევრი მითამაშია და საერთოდაც არ გამიჭირდება. ვფიქრობ, გუნდს შევეწყობი.

— რამდენად რეალურია შენი გატორპედოელება?

— ვერ გეტყვით. ჯერ დავით ყიფიანს შევხვდები, ვისაუბრებთ და თუ ორივე მხრიდან თანხმობა იქნა, „ტორპედოში“ მოვალ. უკვე გითხარით, რომ „ჟემჩუჟინადან“ თავისუფალი ვარ, „ტორპედოს“ გოგიაშვილში მხოლოდ სერტიფიკატის თანხა ექნება გადასახდელი.

— ვთქვათ და საკითხი დადებითად გადაწყდა, „ტორპედოში“ რამდენ ხანს გაჩერდები?

— მე თამაში მწყურია. „ტორპედოსთვის“ ბოლომდე დავიხარჯები, მაგრამ თუ უკეთესი ვარიანტი გამიჩნდა, აბა, ვინ დამძრახავს არჩევანში. „ტორპედო“ მალე ჰოლანდიურ შეკრებაზე მიემგზავრება, მერე გუნდს უეფას თამაშები ელის. ბიჭებს თავის გამოჩენის კარგი შანსი ეძლევათ და ეს შანსი, ჩემი ჩათვლით, ყველამ უნდა გამოიყენოს.

გიორგი გოგიაშვილის გატორპედოელება-არგატორპედოელების ამბავს, ალბათ, უახლოეს დღეებში შევიტყობთ.

ახლა „ტორპედო“ — „დილას“ მივუბრუნდეთ. მასპინძლებმა უძლიერესი შემადგენლობით დაიწყეს თამაში და პირველსავე წუთზე იხეირეს. ახვლედიანმა მარჯვნიდან შეუტია და გორელთა საჯარიმოში ჩაწოდებაც არ დაუხანა. საჯარიმოში ბურთი ვაჩიბერაძეს მიუვიდა. ზაზამ არცთუ ძლიერად გაგზავნა კარისკენ, მაგრამ სოღლოშვილს რეაქცია დაუგვიანდა და ბურთიც ნელ-ნელა შეგორდა კარის მარცხენა კუთხეში. ნახევარ საათში მეორე ბურთი მეგრელაძემ გაიტანა დათო ჯანაშიას პასით, იერიში კი ხვადაგიანის წამოწყებული გახლდათ. მერე შალვა ხუჯაძემ, მას შემდეგ, რაც იმავე ჯანაშიასთან „კედელი“ გაითამაშა, დაახლოებით 15 მეტრიდან მოხდენილი დარტყმით ანგარიში გაასამა.

მეორე ტაიმში დავით ყიფიანმა შვიდი მოთამაშე შეცვალა. ტორპედოელები კვლავაც ლაღად აგორებდნენ ბურთს. გამთამაშებლად გამწესებულმა იონანიძემ გასატანადაც ბევრჯერ გაიწია. აკი, ორჯერ ივარგა კიდეც. მართალია, თავისი პირველი მეგრელაძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტიდან შეაგდო, მაგრამ მეორემ მართლაც „დახურა“. ტორპედოელმა საჯარიმოს წინა ხაზთან სამი მეტოქე გააპამპულა და ოდნავ წინ გამოსულ მეკარეს ბურთი თავს ზემოთ ტექნიკურად გადაუტარა. იონანიძის გოლებშუა გორელებმა ერთის გაქვითვა შეძლეს. ჭანტურიამ მარღიშვილის მიერ საჯარიმოს გარედან დარტყმული მოიგერია, მაგრამ სტუმართაგან ყველაზე აქტიურმა არუთინიანმა მოგერიებულს თაური შეაგება და, ესეც პრესტიჟის გოლი.

მეტოქეებმა ეს შეხვედრა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს:

ტორპედო: ჭანტურია (სტურუა), ხვადაგიანი, თურმანიძე (ვ. მაისურაძე), შ. ხუჯაძე (თავბერიძე), მაღლაკელიძე (კ. ჯანაშია), ახვლედიანი (მახვილაძე), ვაჩიბერაძე (ჩხაბერიძე), იონანიძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (ბობოხიძე)

დილა: სოღოლაშვილი (ილურიძე), ხორგუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, დ. მაისურაძე (ნათენაძე), გაგნიძე, არუთინიანი, აკოფიანი (ციცქიშვილი), მარღიშვილი, ოლგესაშვილი (გუდურაშვილი), სულთანიშვილი

თამაშს ქუთაისელი არბიტრი ავთანდილ შალამბერიძე სჯიდა. მორიგი საკონტროლო მატჩი „ტორპედოს“ 17 ივლისისთვის აქვს დაგეგმილი. ამჯერად ქუთაისელები იტალიელი მწვრთნელის ჯანი კარნევალეს მიერ დამოძღვრილ „ბათუმს“ დაუპირისპირდებიან. ასევე „გივი კილაძეზე“.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

დავით ყიფიანი ტორპედოელებს „დილასთან“ მატჩამდე საბოლოო მითითებებს აძლევს

მასალა დარჩა ქუთაისიდან

ფოთის კოლხეთი მომავალზე ფიქრში

ასეა. ცხოვრება გრძელდება. ვინ, ვინ და მწუხარების ტკივილი ყველაზე მეტად ფოთელებმა განიცადეს. თითქოს შარშანდელი „ცრვენა ზვეზდას“ სირცხვილი არ გვეყოფოდაო და ახლა ვიღაც მაკედონიური „ცემენტარნიცა“... თუმც რატომ ვიღაც.

კოლხებმა თქვეს, მორჩა, ასე არ შეიძლება, სასწრაფოდ გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ, გამოსავალი ერთია — მომავლის გუნდი, ახალგაზრდული „კოლხეთი“ უნდა შეიქმნასო. სიტყვას საქმეც მოაყოლეს და აგერ, შედეგიც — დღესდღეობით „კოლხეთში“ არ ირიცხებიან: გიორგი დარასელია, ივანე ჯუღელი, შოთა ჩომახიძე, ნუგზარ მიქაბერიძე, დავით ხუჭუა, ჯონი კალანდაძე, მიხეილ ქობულაძე, ლევან შავგულიძე, ელდარ გვასალია, ბესიკ ამაშუკელი, გოჩა ტრაპაიძე, გიორგი ჩადუნელი.

ნუ გაიკვირვებთ, გუნდი ერთბაშად 12 ფეხბურთელმა დატოვა. მავანმა იქნებ იკითხოს, კი მაგრამ, ტყებუჩავამ ამდენი ხალხი რომ გაუშვა, ნეტავ, ვის იმედზე აპირებს ყოფნასო. ვის და ახალგაზრდების, გამოუცდელი ხალხისგან აპირებს გუნდის შენებას. ძველებიდან „კოლხეთში“ მხოლოდ ფოთელი ვეტერანები — მამუკა გვასალია, კახაბერ გოროზია, ვალერი ტორჩინავა, გია გიორგაძე, ზაველ ღაღანიძე და მამუკა ბულუხია დარჩნენ. ამათ დაუმატეთ ორი მოწვეული ფეხბურთელი, ლევან ანჯაფარიძე და ჯონი შალამბერიძე და ესეც თქვენი „კოლხეთი“. ის კი არა, იმასაც ამბობენ, გუნდს ანჯაფარიძე და შალამბერიძეც დატოვებენო.

აქვე ჩემს მოსაზრებასაც მოგახსენებთ. აფერუმ, გია ტყებუჩავას, მომავლის გუნდის შენება რომ განუზრახავს. რა შედეგი ჰქონდათ კოლხებს, ერთი და იმავე უპერსპექტივო შემადგენლობით თამაშისას, ყველამ კარგად დაინახა.

ბუნებრივია, თავიდანვე გამარჯვების მოთხოვნა გაუმართლებელია. ასე ფიქრობენ ფოთელებიც. იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც „კოლხეთის“ ღირსებას დაიცავენ, თუ გაამართლეს და შედეგი აჩვენეს, ხომ კარგი, თუ არა და აქედანვე არავინ დაძრახავთ, მთავარი გამოცდილების შეძენაა, შედეგი კი... მერე.

გიორგი კრასოვსკი, პაატა ჩაგანავა, სპარტაკ ბაჩილავა, ელგუჯა პაპავა, დავით თედეევი, ზაზა ბურკვაძე, ბიძინა ჩემია, შალვა ჩხენკელი, ბაჩუკი გვაზავა, ხარიტონ ბურჭულაძე, გოჩა ჭანტურია, რემი ჩხენკელი, თემურ ჯღამაძე, თემურ ჯღარკავა, რაჟდენ მერკვილიშვილი — ეს ის ახალგაზრდებია, რომლებსაც XI ჩემპიონატში „კოლხეთის“ მაისურას ჩაცმა მოუწევთ, რა თქმა უნდა, ზემოთ ნახსენებ ფოთელ ვეტერანებთან ერთად.

ხანგრძლივი ტრავმების შემდეგ ვარჯიშს ახლაღა შეუდგნენ შალვა ჩხენკელი, თემურ ჯღამაძე და გოგიტა ქუნთელია.

— უმთავრეს ყურადღებას ადგილობრივ კადრებზე გავამახვილებთ. ალბათ, ასე აჯობებს, ახალგაზრდებს ფართო ასპარეზი უნდა მიეცეთ. „კოლხეთი“ მომავლის გუნდი იქნება. დღეს გუნდში



გია ტყებუჩავა

მხოლოდ ორი მოწვეული, ანჯაფარიძე და შალამბერიძეა, დანარჩენები კი გუნდიდან თავისუფალნი არიან, ზოგს კონტრაქტი დაუმთავრდა, ზოგი ტრანსფერზეა დაყენებული. ერთადერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი მოვიწვიეთ, მეკარე, რაჟდენ მერკვილიშვილი, რომელიც ბოლოს ზესტაფონის „მარგვეთში“ იყო. ჯერჯერობით ესაა, კიდევ თუ ვინმეს შევიმატებთ, რა თქმა უნდა, არ გვაწყენს, მაგრამ, როგორც გითხარით, გზა ახალგაზრდებს დაეთმობათ — გვითხრა გუშინ ფოთის „კოლხეთის“ მთავარმა მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ, როცა მას ვარჯიშის შემდეგ შევეხმიანეთ.

„კოლხეთი“ XI ჩემპიონატისთვის მზადებას ადგილზე განაგრძობს. ბოლო დროს ნაჩვევ უცხოურ შეკრებაზე უარის თქმა მოუხდათ. გუნდში ტრავმირებული არავინაა. ფოთელები ჯერჯერობით ორი საკონტროლო მატჩის გამართვას გეგმავენ — 17 ივლისს სამტრედიაში „იბერიას“ შეხვდებიან, 22 ივლისს კი ტრადიციულ და უხერხულ მეტოქე „ბათუმს“ ბათუმში გაეჯიბრებიან.

გიორგი ვაშაკიძე

ახალი ჯანი, ძველი მიზნები

კარნევალემ ფოთში გამარჯვებით დაიწყო

მეათე ეროვნულის მეხუთეადგილოსანი „ბათუმი“ გამალებულ სამზადისშია. ზღვისპირელთა გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი, იტალიელი ჯანი კარნევალე რვა დღეა, რაც გუნდს ავარჯიშებს. მისი ხელმძღვანელობით „ბათუმმა“ პირველი საკონტროლო შეხვედრაც გამართა.

— კვირას ფოთში ვეთამაშეთ ადგილობრივ „კოლხეთს“, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. მატჩი 4:1 მოვიგეთ — გვითხრა გუშინ ბათუმელთა კლუბის პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ.

— ძნელია ერთი შეხვედრის მიხედვით იმსჯელო იტალიელი სპეციალისტის კომპეტენციაზე, თუმც, ცხადია, გუნდის მოქმედებაში პროგრესი შეიმჩნევა — კმაყოფილი ჩანდა „ბათუმის“ ხელმძღვანელი.

ზღვისპირელთა კლუბში სიახლეებია. ჯანი კარნევალე ფეხბურთელებზე დაკვირვებას აწარმოებს და ალბათ მალე დაასახელებს იმ ოცეულს, რომელიც მეთერთმეტე ჩემპიონატში „ბათუმის“ სახელით წარდგება. მანამდე კი არ ერიდება იმ მოთამაშეთა ვინაობის გამხელას, რომლებიც მის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. ამ მიზეზით გუნდს კიდევ სამი წევრი გამოაკლდა — მცველი დიმიტრი ვერემჩუკი, რომელიც შარშან თსუ-დან გადაბარგდა ზღვისპირეთში, ყოფილი აკადემიელი ნახევარმცველი დავით მაქაცარია და ადგილობრივი საფეხბურთო სკოლის აღზრდილი, თავდამსხმელი გოჩა ყულევჯიშვილი.

რაც შეეხება ჯანი კარნევალეს „ბათუმთან“ კონტრაქტის ხანგძლივობას, კლუბის ხელმძღვანელობა ამ საკითხს პროფესიული თვალსაზრისით უდგება. რაგინდ ძლიერი სპეციალისტი იყოს, ერთ წელიწადში სერიოზულ შედეგს ვერ მიაღწევსო, თვლიან ზღვისპირელთა მესვეურები და გადაწყვეტილი აქვთ, მინიმუმ სამი წლით გამოიყენონ იტალიელი სპეციალისტის ცოდნა-გამოცდილება.

ახალი მწვრთნელის მისვლამ ბათუმელებს ძველი, ტრადიციული მიზნები შეუნარჩუნა. გუნდი, როგორც ყოველთვის, წლეულსაც საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებს და შეეცდება, აღიდგინოს „სათასო გუნდის“ რეპუტაციაც.

ხვიჩა სანიკიძე

საზაფხულო მიდი-მოდი

«ა» ზონა	წასულები	ახალწვეულები	მატჩები
დინამო *ითამან ბოსკაშვი*	ლ.მიქაძე(თბილისი),ა.მუჯირი,ტულუში(ბათუმი),გვარამაძე(კრილია სოვეტოვი, რუსეთი),სოლოლაშვილი(დილა),კვარაცხელია(თბილისი),მ.მაჭავარიანი,შ.ჩომახიძე (?)	ს.გიგაძე,ვ.გიგიაძე(იბერია),გ.შენგელია(დინამო),ჭიჭვეიშვილი,სიჭინავა,ხომერიკი(ბათუმი),ზ. ხიზანიშვილი,ხიზანეიშვილი(თბილისი),თ. კობიაშვილი,შაშიაშვილი(თსუ),ლომაია(მერანი),დეევაძე(ირონი,ამდოდი,ისრაელი)	ერევანი (სომხეთი)0:0, ქიაფაზი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდემი (ჰოლანდია) 10:0, რაპიდი(რუმინეთი) 1:2
ლოკომოტივი *მურთაზ ხურცილავა*	ზ. არჩვაძე (ბათუმი), დ. მუჯირი (მერიფი, მოლდოვეთი), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი),მარლიშვილი,ხორგუაშვილი(დილა),შ.ხუჯაძე(ტორპედო), კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია),გოგობერიშვილი(ანჟი, რუსეთი),დოლაბერიძე,დაუშვილი, ქოიავა,გ. ლუდუშაური,ვ. კილასონია(?)	ტრაპაიძე,კალანდაძე,მ.ქობულაძე,შავგულიძე(კოლხეთი),დავითნიძე(მერანი), ასლანაძე,გლუნჩაძე(სამგურალი),ვ.გველესიანი(არსენალი),ბარამიძე,გოლეთიანი (ლარნაკელი),ოდიშარია(ცხუმი)	დილა0:3,ცხუმი5:0,თბილისი2:1,1:5
ბათუმი *ჯანი კარნევალე*	თორღაშვილი (თამაში მიატოვა), ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ხომერიკი (დინამო), მაქაცარია,ვერემჩუკი,ყულევჯიშვილი(?)	ზ. არჩვაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი.ბახტაძე (კოლეჯი)	კოლხეთი 4:1
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	ვ.მაისურაძე(ტორპედო),ვ.ქუთათელაძე,გვირჯიშვილი(თსუ),ქემოკლიძე(თბილისი)	კოტორაშვილი(ლოკომოტივი),ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია(დილა)	დილა 2:1
არსენალი *დავით ნახავა*	ზირაქიშვილი(ტორპედო),ჩლაიძე,ყოლბაია(ყარაბალი,აზერბაიჯანი),ვ.გველესიანი(ლოკომოტივი),ტარიელაშვილი,მ.მაისურაძე(?)		
სამგურალი *რევაზ ბურკაძე*	აფციაური(ერევანი,სომხეთი),ბურნაძე(ვანსფორი,თურქეთი),მახვილაძე(ტორპედო),ასლანაძე,გლუნჩაძე(ლოკომოტივი),ახალაძე(თსუ),გ.შენგელია(დინამო),გიორგობიანი(ლუჩი,რუსეთი),გ.კილასონია(?)	იობიძე(გურია),ბრეგვაძე,ფაიქიძე(სულორი),ქყონია(?)	
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	ლ.გაგუა,გუგუნავა,ძნელაძე,კ.გოდერძიშვილი,დ.ბერიძე,ტყავაძე(?)		
თბილისი *ოთარ კორღალიძე*	ზ. ხიზანიშვილი,ხიზანეიშვილი(დინამო)	კვარაცხელია(დინამო),ხუციშვილი,ბაჯელიძე(მერანი),ლ. მიქაძე(დინამო),ქემოკლიძე(ვიტ ჯორჯია),ნიკურაძე(გურია), ზამთარაძე(თსუ)	ლოკომოტივი 1:2,5:1

«ბ» ზონა	წასულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*	კ. მეტრეველი,მაზანიშვილი(?)	ვ.მაისურაძე(ვიტ ჯორჯია), ზირაქიშვილი(არსენალი),შ.ხუჯაძე(ლოკომოტივი), მახვილაძე(სამგურალი),გოგიაშვილი(ჟემჩუჟინა,რუსეთი)	დინამო 1:3,დილა 5:1
კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	მ.ქობულაძე,კალანდაძე,ტრაპაიძე,შავგულიძე(ლოკომოტივი),ე.გვასალია(ერევანი,სომხეთი),ამაშუკელი,ჩადუნელი(?)	მერკვილიშვილი(მარგვეთი),შ. ჩხენკელი,ქუნთელია,ჯღამაძე(ტრავმის გამო არ თამაშობდნენ),რ. ჩხენკელი,ბურჭულაძე,გ. ჭანტურია(კოლხეთი 2),ჯღარკავა (ფაზისი)	ცემენტარნიცა(მაკედონია) 2:4,0:4,ბათუმი 1:4
მერანი *სერგო გაბელაია*	ლომაია(დინამო),გელა ქორიძე(ბათუმი),ხუციშვილი,ბაჯელიძე(თბილისი),დავითნიძე(ლოკომოტივი), გ. კვეტენაძე(?)		
იბერია *სოსო ფრუიძე*	ს.გიგიაძე,ვ. გიგიაძე(დინამო),გ. დოლიძე(?)		
დილა *მერაბ ხუციშვილი*	ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია(ვიტ ჯორჯია),მდივანი(?)	სოლოლაშვილი(დინამო),მარლიშვილი,ხორგუაშილი(ლოკომოტივი)	ვიტ ჯორჯია 1:2, ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5
გორდა *იასონ ალადაშვილი*	რ.მახარაძე(მერცხალი),სიდამონიძე,ვ.მაჭავარიანი,ალმახელიძე,პ.მესხი(?)	ბუკია(თსუ),გ. ხიზანიშვილი(აკადემია)	ხალიბი 5:2
თსუ *კოტე დოლიძე*	თ. კობიაშვილი,შაშიაშვილი(დინამო),ბუკია(გორდა),ზამთარაძე(თბილისი)	ახალაძე(სამგურალი),ვ.ქუთათელაძე,გვირჯიშვილი(ვიტ ჯორჯია),შ. მახარაძე (გურია)	
ხობი *ფრიდონ გოცირიძე*	ონიანი(წისტრუ,ოტაჩი,მოლდოვა),ლ.გვაზავა(?)		

შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯეროობით საბოლოო არ არის

ადგნეენ და წავიდნეენ

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

დიდი დავაა ატეხილი ფიფასა და აზიის ფეხბურთის კონფედერაციას შორის.

უთანხმოების მიზეზს კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: როგორც იცით, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს აზიის კონტინენტი პირველად მასპინძლობს. ტურნირს, რომელიც ერთობლივად უნდა ჩატარდეს კორეასა და იაპონიაში, აზიის ფეხბურთის კონფედერაცია ბოიკოტს გამოუცხადებს, თუ ფიფა მსოფლიოს ჩემპიონატში მას ოთხის ნაცვლად ხუთ ადგილს არ მისცემს, ანუ თუ კიდევ ერთ ადგილს არ დაუმატებს.

აზიის ფეხბურთის კონფედერაციის გენერალური მდივანი პიტერ ვილაპანი აცხადებს, რომ კონტინენტს, რომლის მოსახლეობაც 3,5 მილიარდი ადამიანია და რომელიც პირველად მასპინძლობს მსოფლიოს ჩემპიონატს ფეხბურთში, სრული უფლება აქვს, მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა მოითხოვოს. ვილაპანისავე განცხადებით, აზია კუთვნილი ოთხი ადგილის გარდა კიდევ ერთს ითხოვს, ყოველგვარი პლეი ოფის გარეშე. შეგახსენებთ, რომ უეფამ წინადადება წამოაყენა, ერთი ადგილი ჩვენსა და აზიას შორის გავთამაშოთ და წარმოქმნილი პრობლემა ამ სახით გადავწყვიტოთო.

ვილაპანი კონტინენტის ფეხბურთის კონფედერაციის სახელით უარს ამბობს ასეთ ვარიანტზე და სურს, პირდაპირ მიეცეს კიდევ ერთი ადგილი. თუ ასე არ მოხდა, აზიელები 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს პროტესტს გამოუცხადებენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ აზია ტურნირზე მხოლოდ მასპინძელი იაპონიით და კორეით იქნება წარმოდგენილი, ხოლო დარჩენილი ორი ადგილი სხვა კონტინენტელებს დაუნაწილდებათ.

აზიის ფეხბურთის კონფედერაცია რომ არ ხუმრობს, ფიფას ხელმძღვანელობა თავად დარწმუნდა — ამ დღეებში ლოს ანჯელესში მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა შედგა, რომელზე დასწრებაც აზიელებმა იუარეს. უფრო სწორედ დაესწრნენ, შემდეგ კი სხდომა დატოვეს. მიზეზებზე, ალბათ, აღარც ღირს რაიმეს თქმა.

მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძლის, იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ შუნიჩირო ოკანოს მიაჩნია, რომ ცუდი შედეგების თავიდან ასაცილებლად ამ გაუგებრობას ძალზე მალე უნდა მოეღოს ბოლო: „ჩემი აზრით, საკითხი დროზე უნდა მოგვარდეს. აქ სახუმარო არაფერია, დროა, ყველაფერზე გადაჭრით ვიმსჯელოთ და სასურველ კომპრომისს მივაღწიოთ“ — ამბობს ოკანო. მისივე თქმით, უახლოეს ხანებში იაპონიის ფეხბურთის ფედერაცია მსოფლიოს ჩემპიონატის თანამასპინძელ კორეელ კოლეგებს შეხვდება და წარმოქმნილ პრობლემებზე ისაუბრებენ.

— ვფიქრობ, აზიის ფეხბურთის კონფედერაცია თავის განზრახვას ვერ განახორციელებს. იმიტომ კი არა, რომ ამის უნარი არ შესწევს, უბრალოდ, ჩვენ არ დავუშვებთ ამას — თქვა მსოფლიოს ჩემპიონატის კორეული საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა ჩუნ იუნგ ილმა.

რას იზამენ აზიელები?

ძალიან უცნაური ხალხია...

აქვე მცირე სტატისტიკურ მონაცემებსაც გთავაზობთ. სააგენტო „როიტერის“ ცხრილში მოცემულია კონფედერაციათა წარმომადგენელების რაოდენობა მსოფლიოს ჩემპიონატებზე. პირველი რიცხვი ტურნირში მონაწილე გუნდების საერთო რაოდენობას მიუთითებს.

1930	13	ს. ამერიკა 7	ევროპა 5	კონკაკაფი 1			
1934	16	ევროპა 12	ს. ამერიკა 2	აფრიკა 1	კონკაკაფი 1		
1938	16	ევროპა 13	ს. ამერიკა 1	აზია 1	კონკაკაფი 1		
1950	13	ევროპა 6	ს. ამერიკა 5	კონკაკაფი 2			
1954	16	ევროპა 12	ს. ამერიკა 2	აზია 1	კონკაკაფი 1		
1958	16	ევროპა 12	ს. ამერიკა 3	კონკაკაფი 1			
1962	16	ევროპა 10	ს. ამერიკა 5	კონკაკაფი 1			
1966	16	ევროპა 10	ს. ამერიკა 4	აზია 1	კონკაკაფი 1		
1970	16	ევროპა 9	ს. ამერიკა 3	კონკაკაფი 2	აფრიკა 1	აზია 1	
1974	16	ევროპა 9	ს. ამერიკა 4	აფრიკა 1	კონკაკაფი 1	ოკეანეა 1	
1978	16	ევროპა 10	ს. ამერიკა 3	აფრიკა 1	აზია 1	კონკაკაფი 1	
1982	24	ევროპა 14	ს. ამერიკა 4	აფრიკა 2	კონკაკაფი 2	აზია 1	ოკეანეა 1
1986	24	ევროპა 14	ს. ამერიკა 4	აფრიკა 2	აზია 2	კონკაკაფი 2	
1990	24	ევროპა 14	ს. ამერიკა 4	აფრიკა 2	აზია 2	კონკაკაფი 2	
1994	24	ევროპა 13	ს. ამერიკა 4	აფრიკა 3	აზია 2	კონკაკაფი 2	
1998	32	ევროპა 15	ს. ამერიკა 5	აფრიკა 5	აზია 4	კონკაკაფი 3	

REUTERS იოკოჰამადან

ეს იოკოჰამას სტადიონია, იოკოჰამა კი იაპონიის დედაქალაქ ტოკიოსთან ახლომდებარე ქალაქია. გაზეთი „იომიური შიმბუმი“ იტყობინება, რომ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალური მატჩი სწორედ ამ სარბიელზე შედგება. ტურნირის მასპინძლებს პირობითად ასე უფიქრიათ, ოფიციალურად კი გადაწყვეტილებას 26 ივლისის შეხვედრაზე დაამტკიცებენ.

შვედეთი

მე-14 ტური. ჰალმსტადი — ჰელსინგბორგი 4:0; მალმიო — დიურგარდენი 2:0

ჰელსინგბორგი	14	9	1	4	24:15	28
იორგრიტე	13	7	5	1	26:9	26
ჰალმსტადი	14	7	3	4	26:13	24
აიკ	13	7	3	3	20:10	24
იორებრო	13	7	1	5	14:15	22
კალმარი	13	6	2	5	17:19	20
ტრელებორგი	13	5	4	4	24:19	19
ფრიიოლუნდა	13	5	3	5	15:18	18
მალმიო	14	4	3	7	17:25	15
გოტებორგი	13	3	5	5	12:18	14
ელფსბორგი	13	3	3	7	19:26	12
დიურგარდენი	14	3	3	8	15:26	12
ჰამარბიუ	13	2	5	6	14:21	11
ნორჩიოპინგი	13	2	5	6	11:20	11

სულ ვიქტორიას ბრალია

ინგლისის ეროვნული ნაკრების წევრი დევიდ ბექემი თავის კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ავსტრალიურ ტურნეში არ წაჰყვება. ამის სანაცვლოდ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გამარჯვებული ჯარიმის სახით ტურნეს ორგანიზატორებისგან 2,67 მილიონი დოლარს არ მიიღებს.

— ვფქირობ, დევიდს დასვენება წაადგება. ის ძლიერ გადაღალა. ამას მისი თაფლობის თვეც დაუმატეთ და ... — განაცხადა „იუნაიტედის“ შოტლანდიელმა თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა.

მოგეხსნებათ, გასულ კვირას დევიდ ბექემი ანსამბლ „სფაის გელზის“ წევრ ვიკტორია ადამსზე დაქორწინდა. ფეხბურთელი, რომელიც ინგლისის ჩემპიონს 12 ივლისს უნდა შეერთებოდა, რამდენიმე დღეში ჩინეთში ჩავა, სადაც ავსტრალიამოვლილ მანჩესტერელებს მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებთან თამაშში დაეხმარება. ამის შემდეგ „იუნაიტედი“ კიდევ ერთ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს ჰონკონგში.

— ჩვენ გვინდოდა, ყველაფერი კარგად ყოფილიყო, მაგრამ „იუნაიტედის“ ხელმძღვანელებმა დევიდის წამოყვანას 2,67 მილიონის ამჯობინეს. თუმცა ეს მხოლოდ მათი საქმეა — განაცხადა მანჩესტერელთა საერთაშორისო ტურნეს საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა დომინიკ გალატიმ.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ტურნეს გამო გააცდენს „იუნაიტედის“ თავკაცი ალექს ფერგიუსონი თავის რაინდად კურთხევის ცერემონიალს, რომელიც 21 ივლისს, ბუკინგემის სასახლეში გაიმართება.

რუსეთი

XXI და XIX ტურის გადმოტანილი მატჩები

სპარტაკი 4:1 როტორი

1:0 ბერკეტოვი (15ს.კ.), 2:0, 3:0 ტიხონოვი (16, 34), 4:0 ტიტოვი (72), 4:1 ზუბკო (85)

ზენიტი 1:1 ცსკა

1:0 პანოვი (45), 1:1 ხამუხა (84პ)

შავი დღეები უდგას „როტორს“. კლუბის პრეზიდენტის ვაჟიშვილის ტრაგიკულად დალუპვას ვოლგოგრადული გუნდის კლინიკური სიკვდილი დაერთო. პროკოპენკოს შეგირდებმა მიმდინარე სეზონში მესამე შეხვედრა წააგეს დიდი ანგარიშით და გაშვებული გოლების მიხედვით ყველაზე ცუდი შედეგი აქვთ.

„სპარტაკთან“ ნასტუმრევი „როტორის“ თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. დებიუტშივე ჩანდა, რომ მოსკოველები იოლ გამარჯვებას მოიპოვებდნენ. 2:0-ის დროს, 24-ე წუთზე, სტუმართა კარის ცხრიანისკენ მიმავალ ბურთს მცველი ოსინოვი ხელით გადაეღობა და მსაჯმაც იგი მოედნიდან გაამეცა. იურანმა თერთმეტმეტრიანი უხეიროდ შეასრულა და მეკარე ზახარჩუკსაც ბურთის დაჭერა არ გასჭირვებია. კაცნაკლული „როტორი“ უფრო უსუსურად გამოიყურებოდა...

რუსეთის ჩემპიონებმა მეექვსე მატჩი მოიგეს დიდი ანგარიშით და ამ მონაცემებით „ლოკომოტივს“ გაუთანაბრდნენ. თუმცა რკინიგზელებს ოთხი თამაში აქვთ მარაგში.

სანკტ პეტერბურგის სტადიონი გადაჭედილი იყო. აღმავლობის გზაზე მდგომი „ზენიტი“ ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ მეორე ნახევარში ცსკა-ს გააქტიურებამ ნაყოფი გამოიღო. შეცვლაზე შესული საველიევი ბურთიანად მარჯვნიდან, ორ მცველს შუა შეიჭრა საჯარიმოში. ერთ-ერთმა ზენიტელმა მას სარმა გამოსდო. მსაჯმა ჩებოტარიოვმა სამართლიანად დანიშნა პენალტი და არმიელმა ხამუხამაც წონასწორობა აღადგინა.

ბომბარდირთა დავაში კვლავ სპარტაკელი ტიხონოვი დაწინაურდა და ერთი გოლით გაუსწრო ჩვენებურ დემეტრაძეს, მაგრამ... როცა დემეტრაძის გოლეადორობაზე მსჯელობენ, რუსები იქვე უთითებენ, რომ „ალანიას“ ფორვარდმა 13 გოლიდან 8 თერთმეტმეტრიანით გაიტანა. ჩვენის მხრივ კი ერთს დავამატებთ — ტიხონოვმა 14 გოლი 19 შეხვედრაში გაახერხა, გიორგი დემეტრაძეს კი 5 მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული...

ხვიჩა სანიკიძე

სპარტაკი	19	13	4	2	40:15	43
ლოკომოტივი	15	10	2	3	33:15	32
ცსკა	16	8	6	2	26:12	30
ტორპედო	16	7	8	1	18:11	29
ალანია	15	7	4	4	30:19	25
როსტსელმაში	15	7	4	4	19:16	25
დინამო	15	7	3	5	26:23	24
ზენიტი	16	5	7	4	21:17	22
ნ. ნოვგოროდი	15	5	4	6	18:20	19
ურალანი	15	4	3	8	10:17	15
კრილია	16	4	3	9	21:29	15
როტორი	16	4	3	9	20:31	15
ჩერნომორეცი	15	3	4	8	15:26	13
სატურნი	16	3	4	9	14:27	13
შინიკი	15	2	6	7	9:21	12
ქემჩუქინა	15	0	7	8	8:29	7

ნორვეგია

მე-15 ტური. მოლდე — კონგსვინგერი 3:2; რუსენბორგი — ლილესტრიომი 4:0; სტაბეკი — გრელანდი 2:5; სტრომსგოდსეტი — ბოდო გლიმტი 0:1; ვიკინგი — მოსი 1:1; ვალერენგა — სკეიდი 2:2

რუსენბორგი	15	11	2	2	43:12	35
მოლდე	15	10	2	3	26:15	32
სტაბეკი	15	9	2	4	35:23	29
ბრანი	13	9	0	4	25:21	27
ლილესტრიომი	14	8	2	4	32:25	26
ტრომსო	14	7	2	5	36:24	23
ვიკინგი	15	6	2	7	25:21	20
გრელანდი	15	6	2	7	21:31	20
ბოდო გლიმტი	15	5	3	7	26:32	18
ვალერენგა	14	4	3	7	19:25	15
სკეიდი	15	4	2	9	17:35	14
მოსი	15	4	1	10	21:33	13
სტრომსგოდსეტი	15	4	1	10	22:35	13
კონგსვინგერი	14	3	0	11	20:36	9

შვეიცარია

II -ტური

ლოზანა 0:1 სენტ-გალენი

0:1 ამოა (48)

ლუცერნი 2:0 დელემონტი

1:0 ფრაი (7), 2:0 ზანდერი (57)

სერვეტი 1:3 ლუგანო

1:0 ტურე (16), 1:1 ბოი (26), 1:2 ნკუფო (35), 1:3 მანინი (90)

ციურიხი 0:0 გრასჰოპერი

ციურიხი: ტრომბინი, ფიშერი, ანდრეოლი, კვენტინი (შტოკლასა 80), ჯანინი, ჯამბარაული, ლიმა, სანტანა, ფრიკი, ბარტლეტი, შასო (დუგლასი 15)

არაუ — ივერდონი

სამშაბათს გაიმართება

ბაზელი — ქსამაქსი

ოთხშაბათს გაიმართება

„დიდი ხანია, ციურიხული დერბი ასეთი უღიმღამო და უინტერესო არ ყოფილა“ — ასე შეაფასა შვეიცარიულმა პრესამ „ციურიხი“ — „გრასჰოპერის“ მატჩი, რომელიც კვირას „ლეტციგრუნდის“ სტადიონზე გაიმართა. ამ გუნდების თამაში შვეიცარიის ჩემპიონატში ყოველთვის ტურის ცენტრალურ შეხვედრადაა შერაცხული. ახლაც ასე იყო. ამ მატჩს 12 200 გულშემატკივარი დაესწრო, თითქმის იმდენივე, რამდენიც დანარჩენ სამ შეხვედრას („არაუ“ — „ივერდონი“ დღეისთვის გადაიდო, ხოლო „ბაზელი“ — „ქსამაქსი“ თავიდანვე ოთხშაბათს, 14 ივლისს, იყო დანიშნული), თუმცა ქომაგებს იმედები გაუცრუვდათ.

— რამდენიმე ფეხბურთელი, განსაკუთრებით დი ჯორიო და ტარონე, ბავშვებივით იქცეოდნენ. მათ სრულყოფილ მოთამაშეებად ჩამოყალიბებამდე დიდი გარჯა მოგვიწევს — ეს სიტყვები „ციურიხის“ მთავარმა მწვრთნელმა რაიმონდო პონტემ მატჩის შემდეგ წარმოთქვა. ამის თქმის საბაბი პონტეს, ცხადია, „ციურიხის“ ცუდმა თამაშმა მისცა. მასპინძლები გუშინწინ მართლაც საშინლად გამოიყურებოდნენ. 90 წუთი ისე გაილია, „გრასჰოპერის“ კარს სულ ერთხელ დაემუქრა საფრთხე, როდესაც ბარტლეტის დარტყმული კაბანასმა კარის ხაზიდან გამოიტანა. ძალიან არც „გრასჰოპერს“ უაქტიურია. „კალიებმა“ გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს. მე-19 წუთზე გრენმა ბურთი ძელსაც გაარტყა. ამაზე მეტი კი სტუმრებმა ვერ შეძლეს.

წინა ტურისგან განსხვავებით, ამჯერად შეუცვლელად ითამაშა გოჩა ჯამარაულმა, თუმცა თანაგუნდელების მსგავსად რაიმე ღირებულის შექმნა ვერც მან შეძლო.

სენსაციურად დასრულდა მატჩი ჟენევაში, სადაც ჩემპიონმა „სერვეტმა“ „ლუგანოს“ უმასპინძლა. შეხვედრის დებიუტი ისეთი გამოდგა, როგორსაც ბევრი ელოდა — მე-16 წუთზე სერვეტელმა ტურემ ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ კი მასპინძლებმა ზედიზედ სამი გოლი გაუშვეს. ჯერ ჰოიმ აღადგინა წონასწორობა, მერე კი ექსგრასჰოპერელმა ნკუფომ დააწინაურა „ლუგანო“. მატჩს წერტილი მანინმ დაუსვა, რომელმაც პირველ ტურშიც გაიტანა გოლი და მაშინაც ბოლო წუთზე. ანგარიში „სერვეტისთვის“ უფრო კატასტროფულიც იქნებოდა, მაგრამ 70-ე წუთზე ნკუფომ პენალტი ვერ გამოიყენა.

ლიდერობა კი „სენტ გალენმა“ იგდო ხელთ, რომელმაც წინა ტურში „ლუცერნის“ დამარცხების შემდეგ „ლოზანას“ მოუგო სტუმრად. ერთადერთი გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში ამომამ გაიტანა. აქცია კიდეც გუნდი ლიდერად.

ვანო ოძროპირიძე

სენტ გალენი	2	2	0	0	3:0	6
ლუგანო	2	1	1	0	4:2	4
სერვეტი	2	1	0	1	4:4	3
ლუცერნი	2	1	0	1	2:2	3
ციურიხი	2	0	2	0	1:1	2
გრასჰოპერი	2	0	2	0	1:1	2
ბაზელი	1	0	1	0	1:1	1
აარაუ	1	0	1	0	1:1	1
ქსამაქსი	1	0	1	0	1:1	1
ივერდონი	1	0	1	0	1:1	1
ლოზანა	2	0	1	1	1:2	1
დელემონი	2	0	0	2	1:5	0

39a. Copa América Paraguay '99

ნუ გაიტანთ პირველ გოლს!

უცნაური მეოთხედფინალები იყო — ყველა დამარცხდა, ვინც ანგარიში გახსნა

მეოთხედფინალები

ბრაზილია 2:1 არგენტინა

0:1 სორინი (11), 1:1 რივალდო (32), 2:1 რონალდო (48)
78-ე წუთზე აიალამ (არგენტინა) ვერ გაიტანა პენალტი
ბრაზილია: დიდა, კაფუ, ჟოაო კარლოსი, ანტონიო კარლოსი, რობერტო კარლოსი, ემერსონი, ფლავიო კონსეისაო, ზე რობერტო (ბეტო 73), რივალდო, ამოროზო (კრისტიანი 81), რონალდო
არგენტინა: ბურგოსი, პოჩეტინიო, აიალა, სამუელი, სიმეონე (ლოპესი 69), ძანეტი, სორინი (კანია 69), რიკელმე, გონსალესი, ორტეგა, პალერმო
გაფრთხილება: სამუელი (13), რონალდო (18), სიმეონე (26), რობერტო კარლოსი (38), ბურგოსი (67), ზე რობერტო (67), ორტეგა (80), პალერმო (90)
მსაჯი: გუსტავო მენდესი (ურუგვაი)

ისევ ვერგატანილი პენალტი. ისევ მარცხი, ამჯერად გაცილებით მძიმე შედეგებით, ვიდრე ადრე — არგენტინა „კოპა ამერიკას“ გამოეთხოვა.

სჯობდა ბრაზილია არგენტინას? ახლა ამაზე გაუთავებლად ისაუბრებენ. მავანთა აზრით, ბრაზილიაზე უკეთესად არგენტინელებმა ითამაშეს. მავანნიც უპირატესობას ბრაზილიას მიანიჭებენ. ბრაზილია მეორე ტაიმში არგენტინელთა მხარეს მხოლოდ სამჯერ გადავიდაო — იტყვიან ერთნი. კი, მართლაც ასე იყო, არგენტინელებმა ვანდერლეი ლუქსემბურგოს გუნდი მარწუხებში მოაქციეს, მაგრამ გოლი ხომ ბრაზილიამ გაიტანა? მერე რა, რომ არგენტინელებს შვიდირვა ძალიან კარგი საჯარიმო დარტყმის უფლება მიეცათ. როცა საგოლე შანსი გაქვს, ის უნდა გამოიყენო. სხვანაირად ვერ გაიმარჯვებ. ამბობენ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო და ასეცაა — ახლა იმაზე ილაპარაკებენ, რომ არგენტინელებმა ბევრი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, რომ შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე პენალტი ვერ გაიტანეს... ბრაზილია კი ნახევარფინალშია. მათ უკვე არაფერი აინტერესებთ.

არგენტინა იგებდა — ხუან პაბლო სორინმა თავისიანები დააწინაურა და მრავალრიცხოვანი ქომაგი გაახარა, თუმცა საბოლოოდ მაინც ბრაზილიელმა გულშემატკივრებმა გაიხარეს. 32-ე წუთზე რივალდო ძალიან ლამაზად ასრულებს საჯარიმო დარტყმას — ბურთი ისე ეხვევა კარის ბადეში, ხერმან ბურგოსი ადგილიდან არ ინძრევა. მეორე ტაიმის დასაწყისში ბრაზილიელთა კიდევ ერთი ვარსკვლავის, რონალდოს ჯერი დგება — მილანის „ინტერის“ ფორვარდი უძლიერესად ურტყამს. ბურგოსი კვლავ უძლურია.

ბრაზილია ნახევარფინალშია და ახლა უკვე რეალურად შეიძლება სამხრეთ ამერიკის პირველობის ზედიზედ მეორედ მოგებაზე ფიქრი. 1997 წელს, ბოლივიაში, გუნდი პირველად გახდა კონტინენტის ჩემპიონი სამშობლოს მიღმა — მანამდე ეს მუდამ ბრაზილიაში ხდებოდა.

— როცა არგენტინისთანა ნაკრებს უგებ, ამაზე კარგი არაფერია. ჩვენთვის, ბრაზილიელთათვის, ეს რაღაც განსაკუთრებულს ნიშნავს. გუნდმა კარგად ითამაშა, ბიჭების მადლობელი ვარ — თქვა ვანდერლეი ლუქსემბურგომ, ბრაზილიელთა მწვრთნელმა. მან გამარჯვებულებზე, ესე იგი, თავის გუნდზე კიდევ ისაუბრა — მიუხედავად იმისა, რომ არგენტინელთა ტერიტორიული უპირატესობა თვალში საცემი იყო, ჩვენ მათ მაინც ვჯობდით, იმიტომ, რომ დასახულ ამოცანას უკეთ ვასრულებდითო.

ეს მართლაც ასე იყო — არგენტინელებს გოლის გატანა სურდათ და ვერ გაიტანეს, ბრაზილიელებს კი გოლი არ უნდა გაეშვათ და შეძლეს კიდეც ეს.

ბოლო ათი-თხუთმეტი წუთი მართლაც უცნაური იყო — ბრაზილია მოედნის ცენტრს არ გადასცილებია, არგენტინელები კი თითქმის ყოველ წუთს კარის მიმართულებით ურტყამდნენ. გოლი მაინც არ გადიოდა და აი, რატომ: პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ბრაზილია მთელი გუნდით იცავდა თავს და ერთ არგენტინელთან უმალ ორი-სამი ბრაზილიელი ჩნდებოდა, რითაც მეტოქეს თავისუფალი არე ეზღუდებოდა და მარწუხებში ექცეოდა. მიზეზი კიდევ ის იყო, რომ არგენტინელები დიდას კარისკენ ხეირიანად ვერ ურტყამდნენ და არც დიდას ანაღვლებდა ბურთები, რომელთა მოგერიება მას არც უხდებოდა.

— არგენტინელებთან გოლის გატანა ძალიან მახარებს. ამაზე ბავშვობიდან ვოცნებობ. მაშინ ევროპაში თამაშზე არც ვფიქრობდი, ერთადერთი ნატვრა მქონდა — არგენტინელთა კარის დალაშქვრა. მიხარია, რომ ოცნება რეალობად იქცა — განუცხადა რონალდომ ჟურნალისტებს. მანვე დასძინა, „კოპა ამერიკა“ აუცილებლად უნდა მოვიგოთო.

ბრაზილია უპირველესი ფავორიტია. ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო.

ბრაზილია — არგენტინა 2:1. დამარცხებულთა გამთამაშებელ არიელ ორტეგას ხშირად აქცევდნენ. ამჯერად მის წინააღმდეგ ტურნირის ბომბარდირთა ლიდერი რონალდო უხეშობს

პარაგვაი 1:1 (პენ 3:5) ურუგვაი

1:0 ბენიტესი (15), 1:1 სალაიეტა (65)
პენალტები გაიტანეს: აკუნია, გამარა, ენსისო (პარაგვაი), ფლეურკინი, გიგოუ, ალონსო, სალაიეტა, მაგალიანესი (ურუგვაი); ბენიტესმა (პარაგვაი) პენალტი ვერ გაიტანა
პარაგვაი: ტავარელი, არსე, კანისა, გამარა, ტოლედო, პარედესი, ენსისო, აკუნია, ალვარენგა (ოველარი 68), ბენიტესი, სანტა კრუსი (კაბალიერო 75)
ურუგვაი: კარინი, დელ კამპო, პიკუნი, ლემბო (ლოპესი 89), ბერგარა (გიგოუ 53), კოელიო, ფლეურკინი, გარსია, მაგალიანესი, სალაიეტა, ალვესი (ალონსო 58)
გაფრთხილება: ფლეურკინი (15), გარსია (29), მაგალიანესი (50), აკუნია (77)
მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)

არავინ ელოდა, თუ ურუგვაი მასპინძლებს დაჩაგრავდა — პარაგვაი მეტოქეს კი სჯობდა, მაგრამ ნახევარფინალში მაინც სტუმრები გავიდნენ.

უცნაურია — გუნდმა, რომელსაც „კოპა ამერიკაზე“ თამაში არ წაუგია და ერთადერთი გოლი გაუშვა, გზა მეტოქეს დაუთმო, რომელმაც თავის მხრივ, მიმდინარე გათამაშებაში ერთადერთი შეხვედრა მოიგო და მეოთხედფინალში, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მესამეადგილოსანი, ისე გავიდა.

— კარგა ხანია, გული ასე არ მტკენია. რთული თამაში იყო და ვერ წარმოვიდგენდი, თუ წავაგებდით. რაღაც დაგვემართა და ახლა, სამწუხაროდ, ყველაფერი გვიანია. როგორ გინდა ყოველივე ამის შემდეგ ქუჩაში გახვიდე და ხალხს თვალი გაუსწორო — ამბობდა პარაგვაელთა კაპიტანი კარლოს გამარა. მასპინძელთა დაცვის ლიდერი, რომელიც გულშემატკივრებს, ალბათ, ახსოვთ კიდეც მსოფლიოს ჩემპიონატზე შესანიშნავი თამაშით, შეუდარებელი მატჩის უდავოდ საუკეთესო მოთამაშე იყო. მაგრამ რად გინდა? თუ იგი, დაცვის ლიდერი, უნაკლოდ თამაშობდა, ნახევარდაცვა მოიკოჭლებდა, თავდამსხმელები — მიგელ ბენიტესი და როკე სანტა კრუსი კი ურუგვაელი მცველების მარწუხებისგან თავის დაღწევას ვერ ახერხებდნენ.

ურუგვაელთა ძლიერი თამაში მართლაც მოულოდნელობა იყო. ვიქტორ პუას გუნდი ჯგუფურ ტურნირში იმდენად უსუსურად გამოიყურებოდა, რომ თუ მასპინძლებს დაამარცხებდა, ბევრს ვერ წარმოედგინა. მაგრამ მოხდა ის, რასაც ცოტა თუ ელოდა — „კოპა ამერიკას“ თოთხმეტგზის გამარჯვებული ურუგვაი ამავე ტურნირის ორგზის ჩემპიონზე ძლიერი აღმოჩნდა.

მასპინძლებს აქამდე გოლი არ გაეშვათ. როცა მე-15 წუთზე მიგელ ბენიტესმა ანგარიში გახსნა და გუნდი დააწინაურა, ბევრმა ურუგვაელებზე ხელი საბოლოოდ ჩაიქნია, მაგრამ... პირიქით მოხდა — დღესდღეობით ურუგვაი ნახევარფინალისტია, პარაგვაი კი გათამაშებას გამოეთიშა.

...პარაგვაელებმა ერთადერთი გოლი გაუშვეს, მიუხედავად იმისა, რომ ხოსე ლუის ჩილავერტი არ თამაშობდა. შეგახსენებთ, რომ სახელგანთქმულმა მეკარემ ტურნირში მონაწილეობისგან თავი პატრიოტული მოსაზრებების გამო შეიკავა — როცა მოსახლეობას უჭირს, რა დროს ფეხბურთიაო.

მარსელო სალაიეტამ, ტურინის „იუვენტუსის“ თავდამსხმელმა, 65-ე წუთზე მცირე გაუგებრობით ისარგებლა და ტავარელის „მშრალი“ სერია დაასრულა — 335 წუთის შემდეგ პარაგვაელთა კარში პირველი გოლი გავიდა.

თამაშის მიწურულს სალაიეტას შეეძლო, საქმე პენალტების სერიამდე არც მიეყვანა, მაგრამ პარაგვაელთა მეკარემ თავდამსხმელს ერთი გოლის მეტი აღარ გაატანინა.

მერე პენალტების სერია იყო, სულ ბოლოს კი გამარჯვებულთა სიხარული.

პერუ 3:3 (პენ 2:4) მექსიკა

1:0 პალასიოსი (5), 2:0 პერედა (15), 2:1, 2:2 ერნანდესი (29, 33), 3:2 სოლანო (40), 3:3 ტორადო (88)
პენალტები გაიტანეს: სუარესი, ტერასასი, გარსია, სეპედა (მექსიკა), სოლანო, ხორხე სოტო (პერუ); ხოსე სოტომ და რეინოსომ (პერუ) პენალტები ვერ გაიტანეს.
პერუ: იბანიესი, ხორხე სოტო, რეინოსო, ხოსე სოტო, რებოსიო, ხაიო, პერედა, სოლანო, პალასიოსი, მაესტრი (პისარო 80), ოლსენი (სუნიკა 24, სიურლისა 66)
მექსიკა: კამპოსი, სანჩესი (გარსია 70), სუარესი, მარკესი, კარმონა, ტორადო, სეპედა, რამირესი, გაისია ასპე (ოსორნო 49), პალენსია (ტერასასი 92), ერნანდესი
გაფრთხილება: პერედა (52), ტორადო (55), პალასიოსი (55), სოლანო (78)
მსაჯი: უილსონ სოუზა მენდონკა (ბრაზილია)

საოცარი პირველი ტაიმი იყო, თვალსასეირო და ძალიან საინტერესო. მთლიანობაშიც ლამაზი თამაში გამოვიდა.

განა ხშირად გადის ერთ ტაიმში ხუთი გოლი? ამჯერად ასეთი რამ მოხდა და გულშემატკივართათვის უკეთესი, ვფიქრობ, არაფერია — უყურებ თამაშს და გსიამოვნებს, წუთი არ გავა, რაიმე საინტერესო არ მოხდეს, გოლები კი, როგორიც გინდა.

მექსიკის ნაკრები მიმდინარე გათამაშების, ალბათ, საუკეთესო გუნდია. თითქოს ასეთ რამეს არ უნდა ამბობდე, როცა იქვე ბრაზილიაა, მაგრამ პირადად მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. რა თქმა უნდა, პერუც კარგი ნაკრებია, ყოველ შემთხვევაში, იმ დონისაა, „კოპა

კოლუმბია — ჩილე 2:3. ჩილელი რეიესი (მარცხნივ) დაცვაშიც კარგი იყო და წინ წასულმა ორი გოლიც გაიტანა

REUTERS კადრებიდან

პერუ — მექსიკა 3:3. წინა გათამაშების ბომბარდირი მექსიკელი ლუის ერნანდესი (№15) პარაგვაიშიც შედეგიანად თამაშობს. აქი გაუტანა კიდეც პერუელებს ორი გოლი

ამერიკაზე" წარმატებისთვის იბრძოლოს, მაგრამ მექსიკა მაინც სხვაა...

საერთოდ, ეს ტურნირი, განსაკუთრებით კი მეოთხედფინალები, ძალიან საინტერესო გამოდგა — ყველა შეხვედრაში იყო ბრძოლა, დაძაბულობა, გოლები და ლამაზი ფეხბურთი. ისეთი დაძაბულობა და ინტრიგა, როგორც ამ მატჩში იყო, ყველა დანარჩენ მეოთხედფინალშიც გახლდათ, მაგრამ ეს სულ სხვა თამაში იყო.

ხუმრობა საქმე ხომ არაა? სამჯერ აგებდა გუნდი და სამჯერ გაათანაბრა, საბოლოოდ კი მოიგო. ჩილე — კოლუმბიას თამაშშიც ასე იყო, მაგრამ ინტრიგა აქ უფრო დიდი გახლდათ.

— დაძაბული მატჩი იყო და ვერც კი წარმოიდგენთ, რაოდენ გახარებული ვარ ნახევარფინალში გასვლით. ახლა კვლავ ბრაზილიას ვხვდებით. წინა „კოპა ამერიკაზე" მათთან დავმარცხდით, საბოლოოდ კი მესამე ადგილზე გავედით. ახლა ძალიან მინდა, მათ მოვუგოთ. დროა მექსიკა გახდეს ჩემპიონი — ლუის ერნანდესს, წინა „კოპა ამერიკის" საუკეთესო ბომბარდირს, ბრაზილიელებთან ორი წლის წინანდელი მარცხი კარგად ახსოვს.

ერნანდესმა ორი გოლი შეაგდო, მაგრამ თუ პირველი სამართლიანი გახლდათ, მეორეზე ამას ვერ ვიტყვით — ბრაზილიელმა მსაჯმა, ალბათ, არაობიექტურად დანიშნა პენალტი. ისე, თავდამსხმელს რას ვერჩით, შანსი უბოძეს და ხელიდან როგორ გაუშვებდა. მთლიანობაში უილსონ სოუზა მენდონკას კარგად არ უმსაჯია — თამაშის სადავეები დასაწყისშივე დაკარგა და...

...შეხვედრა იწურება. პერუ იგებს. მექსიკელები ზედიზედ ესხმიან თავს მეტოქის კარს, მაგრამ იბანიესი შეუვალია — სასწაულებს სჩადის და ბურთს კარში არ უშვებს. საბოლოოდ იგი მაინც გატყდა — ხერარდო ტორადოს შორეულ დარტყმასთან ვერაფერი გააწყო.

ისევ პენალტები. მექსიკელთა ჩია მეკარე ხორხე კამპოსს მეტოქის დარტყმა არ მოუგერიებია, მაგრამ მექსიკა ნახევარფინალში მაინც გავიდა — პერუელებმა ხოსე სოტომ და რეინოსომ ბურთი კარს გადააცილეს.

ნახევარფინალში მექსიკას დისკვალიფიცირებული კვატემოკ ბლანკო შეემატება — მან სასჯელი მოიხადა. რაც შეეხებათ დოპინგკონტროლზე გამოჭერილ რაულ ლარას და პაულო სეზარ ჩავესს, მათთვის „კოპა ამერიკა" ჯგუფური ტურნირში, ბრაზილიელებთან მატჩის შემდეგ დასრულდა.

წინ ისევ და ისევ ბრაზილიაა.

კოლუმბია 2:3 ჩილე

1:0 ბოლანიო (7), 1:1 რეიესი (25), 2:1 ბონილია (35), 2:2 რეიესი (49), 2:3 სამორანო (64)

კოლუმბია: კალერო, კუინტანა, ბერმუდესი, კორდობა, კორტესი, ბოლანიო (რამირესი 46), ლოსანო, გრისალესი (მორანტესი 69), ბეტანკურტი, ბონილია, რიკარდი (კონგო 60)

ჩილე: მარსელო რამირესი, ვარგასი, რეიესი, მიგელ რამირესი, აკუნია, პალასიოსი, აროსი, ესტეი (კარტესი 78), სიერა (პისარო 65), სამორანო, გონსალესი (ნუნიესი 86)

გაფრთხილება: აკუნია (60), კორდობა (62), ბეტანკურტი (66), მიგელ რამირესი (89)

მსაჯი: არმანდო არჩუნდია (მექსიკა)

მაინც, რამდენს ნიშნავს გამოცდილი ფეხბურთელი. ჩილელთა ლიდერმა, ბებერ კონტინენტზე გამოწრთობილმა ივან სამორანომ, ბოლომდე იბრძოლა და სანამ არ გაიტანა, მანამ არ მოისვენა. მერე კი მილანის „ინტერის" ფორვარდს დასვენებაც შეეძლო — მისმა გოლმა ჩილე „კოპა ამერიკას" ნახევარფინალში გაიყვანა.

მას შემდეგ, რაც კოლუმბიამ ჯგუფურ ტურნირში არგენტინას 3:0 მოუგო, იგი ყველამ გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნია. საამისო საფუძველიც იყო — კოლუმბიელები უდავოდ კარგად თამაშობდნენ, ჯგუფში სამივე მატჩი მოიგეს და ჩემპიონობაზე პრეტენზიაც განაცხადეს. მაგრამ მეოთხედფინალში მათ ჩილე გადაეღობა.

— ის, რომ კოლუმბიასთან ძალიან გაგვიჭირდებოდა, მშვენივრად ვიცოდი, მაგრამ იმის იმედიც მქონდა, რომ ჩემი გუნდი გაიმარჯვებდა. სასიამოვნოა, როცა დაძაბულ ორთაბრძოლას იგებ. განსაკუთრებით ჩემთვისაა სასიხარულო, რადგან მივხვდი, რომ კოლუმბიელთა სამივე თამაშის ხილვის შემდეგ სწორი დასკვნები გამოვიტანე — თქვა ჩილელთა თავკაცმა ნელსონ აკოსტამ.

ჩილეს კოლუმბიას დამარცხება მართლაც ძალიან გაუჭირდა და ეს ანგარიშიდანაც ჩანს — სამორანოს გუნდი ორჯერ აგებდა მეტოქესთან, ორჯერ გაააყაიმა და საბოლოოდ მოიგო კიდეც.

დისკვალიფიცირებული მარსელო სალასის არყოფნისას გოლების გატანა, ყველასთვის მოულოდნელად, ჩილელთა მეექვსე ნომერმა პედრო რეიესმა ითავა. მცველმა ორჯერ გაილაშქრა კოლუმბიელთა კარისკენ, ორჯერ შეაგება ბურთს თავი და ამდენჯერვე დაამწუხრა კოლუმბიელები. ორი შეტევა, ორი გოლი — ეს ხომ შესანიშნავია.

სამორანო არ გაჩერებულა, ყველა ბურთისთვის იბრძოდა, მეტოქეს არ ასვენებდა და თავისი შემართებითა და გამარჯვების დაუოკებელი წყურვილით თანაგუნდელებიც შეაგულიანა — ჩილემ არაფერი დათმო და ნახევარფინალში გავიდა.

— გამარჯვება აუცილებლად გვჭირდებოდა. ახლა, როცა სალასიც დაგვემატება, გაცილებით მეტს შევძლებთ. ძალიან მინდა, „კოპა ამერიკა" მოვიგო — განაცხადა სამორანომ, რომელმაც მესამე გოლის გატანისას ორ მცველს და მეკარეს აჯობა.

...სამორანოს დარტყმის შემდეგ ბურთი ცარიელ კარში შეგორდა. კოლუმბიელთა ოცნებაც საპნის ბუშტივით გასკდა. არგენტინელთა დამლახვრელები დამარცხდნენ, მათმა წაგებამ კი ქალაქ ლუკეს მოსახლეობა ერთობ შეაშინა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცხელოდა, ქალაქში ხალხის ხალვათობა იგრძნობოდა — არვის სურდა, შარში გახვეულიყო.

ლაშა გოდუაძე

ნახევარფინალები

13 ივლისი. კაბალიერო

ურუგვაი — ჩილე

14 ივლისი. ესტე

ბრაზილია — მექსიკა

ბომბარდირები

რონალდო (ბრაზილია)	4
ამოროზო (ბრაზილია)	3
სანტა კრუსი (პარაგვაი)	3
ბენიტესი (პარაგვაი)	3
პალერმო (არგენტინა)	3
ერნანდესი (მექსიკა)	3
სალაიეტა (ურუგვაი)	3

REUTERS არქივიდან

პარაგვაი — ურუგვაი 1:1. ძალიან დაძაბული ორთაბრძოლა იყო

ინგლისის დედაქალაქური „ტოტენჰემი" მოლაპარაკებას აწარმოებს ისრაელის ჩემპიონ ჰაიფას „ჰაპოელთან". ლონდონელებს ისრაელის ეროვნული ნაკრების მცველის, ნაივან გრაიების შეძენა სურთ. „შეთანხმებას თითქმის მივაღწიეთ. ახლა მთავარი ნაივანის ჯანმრთელობაა და თუ ყველაფერი რიგზე იქნა, ალბათ, კონტრაქტის გაფორმებასაც აღარაფერი დაუდგება წინ" — განაცხადა „ტოტენჰემის" აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ პლიტმა.

გერმანული ლევერკუზენის „ბაიერის" ნახევარმცველი შტეფან ბაინლიხი მუხლის ტრავმის გამო ლიგის თასის გათამაშებას გამოტოვებს — განაცხადა კლუბის წარმომადგენლობამ. ლევერკუზენელთა მთავარი მწვრთნელის, კრისტოფ დაუმის თქმით, ბაინლიხს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი, რის გამოც ის ოთხი კვირით დაისვენებს.

ინგლისელი მაიკლ ბრიჯისი კლუბს გამოიცვლის. „სანდერლენდის" ფეხბურთელის მომავალი გუნდი სავარაუდოდ „ტოტენჰემ ჰოთსფური" იქნება. ბრიჯისის აგენტის განცხადებით, ლონდონელები თანახმა არიან, მისი კლიენტის სანაცვლოდ 6,3 მილიონი დოლარი გაიღონ.

ვიეტნამის ეროვნული ნაკრები საფრანგეთში ემზადება სამხრეთაზიური თამაშებისთვის, რომელიც აგვისტოში ბრუნეიში გაიმართება. „ეს შეკრება ბევრს მოგვცემს. მჯერა, საფრანგეთში გატარებული დრო უკვალოდ არ ჩაივლის. სწორედ ასეთი ვარჯიშებია წარმატების მიღწევის საწინდარი" — განაცხადა ვიეტნამელთა ავსტრიელმა თავკაცმა ალფრედ რიდლმა.

გერმანულმა დორტმუნდის „ბორუსიამ" ინგლისურ „ნიუკასლს" 21 მილიონი მარკა (10,8 მილიონი დოლარი) შესთავაზა დიტმარ ჰამანის სანაცვლოდ. ეს ინფორმაცია გუშინ დილით ჟურნალმა „კიკერმა" გაავრცელა. ჯერჯერობით „ნიუკასლის" პოზიცია უცნობია. ძნელი სათქმელია, რომ ინგლისელები ჰამანს გაასხვისებენ, მით უმეტეს, ამის შესაძლებლობა უკვე ჰქონდათ ივნისში, როცა გერმანელი ლონდონის „არსენალმა" მიიწვია. მაშინ „მეთოფეებმა" ნიუკასლელთაგან სასტიკი უარი მიიღეს.

რუსეთის ვიცე-ჩემპიონ მოსკოვის ცსკა-ს ფეხბურთელი, ეროვნული ნაკრების წევრი ევგენი ვარლამოვი ფეხის ტრავმის გამო გუნდს ოთხი კვირით გამოაკლდება. ვარლამოვი ცსკა-ს ვერც 28 ივლისს დაეხმარება, როცა მოსკოველები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ნორვეგიულ „მოლდეს" უმასპინძლებენ. სამაგიეროდ, ნორვეგიელთა ძლევას რუსებთან ერთად მათი ახალი შენაძენი, სლოვაკი ნახევარმცველი მარეკ ჰოლი შეეცდება.

ესპანურმა „ოვიედომ" ბელგიის ეროვნული ნაკრების წევრი გერტ კლასენსი შეიძინა. პრიმერადივიზიონის კლუბმა კლასენსის სანაცვლოდ მის აწ უკვე ყოფილ გუნდ „ბრიუგეს" 200 მილიონი პესეტა (1,2 მილიონი დოლარი) გადაუხადა. აღსანიშნავია, რომ ბელგიელი ფეხბურთელი „ოვიედოს" პირველი შენაძენია მას შემდეგ, რაც კლუბს ივნისში ლუის არაგონესი ჩაუდგა სათავეში.

გერმანიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ერიხ რიბეკი მომავალ ორშაბათს იმ ფეხბურთელთა ვინაობას დაასახელებს, რომლებიც მექსიკაში, კონფედერაციის თასის გათამაშებაში, ევროპის ჩემპიონთა ღირსებას დაიცავენ. შეგახსენებთ, რომ ბუნდესნაკრების შემადგენლობაში არ იქნება მათი კაპიტანი ოლივერ ბირჰოფი, რომელიც რიბეკს თავად დაეთხოვა. კონფედერაციის თასის გათამაშება 24 ივლისს დაიწყება და 4 აგვისტომდე გასტანს.

ინგლისურმა „შეფილდ უენსდეიმ" ამსტერდამის „აიაქსის" თავდამსხმელი ჯერალდ სიბონი შეიძინა. ეს ინფორმაცია ჰოლანდიური კლუბის ხელმძღვანელობამ გაავრცელა. შეფილდელებმა სიბონის გარდა „ეინდჰოვენის" ბელგიელი ლეგიონერი ჟილ დე ბილდეც გადაიბირეს. ამიერიდან სიბონი და ჟილ დე ბილდე კონკურენტებიდან თანაკლუბელებად იქცნენ.

ტრადიცია გაგრძელდება

ესპანეთის ჩემპიონ „ბარსელონას" პრეზიდენტის, ხოსე ლუის ნუნიესის განცხადებით, კლუბი ასწლიანი ტრადიციის დარღვევას არ აპირებს და კატალონიური გუნდის მაისურას არც ერთი ფირმის წარწერა არ დაამშვენებს.

შეგახსენებთ, რომ „ბარსას" ხელმძღვანელობას ამერიკულმა ფირმა „ნაიკმა" შესთავაზა ხუთწლიანი კონტრაქტი, რომლის განმავლობაშიც კატალონიელები 20 მილიონ გირვანქას მიიღებდნენ. მიუხედავად ამისა, ამერიკულმა მხარემ უარყოფითი პასუხი მიიღო.

— რა თქმა უნდა, 20 მილიონი გირვანქა დიდი ფულია, მაგრამ ფულზე გაცილებით ძვირფასი რამ არსებობს და ეს ჩვენი ტრადიციაა. „ბარსა" ხომ ყოველთვის ყველასგან გამორჩეულია, ამიტომაც არის ასეთი პოპულარული — თქვა ნუნიესმა.

მაშ, ასე, მსოფლიოში მართლაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი კლუბი ტრადიციას აგრძელებს. ეს ფაქტი იმითაც არის სასიამოვნო, რომ ახლა, როცა მსოფლიო ფეხბურთი ერთ დიდ ბირჟას დაემსგავსა, სადაც ფასიანი ქაღალდების ნაცვლად მხოლოდ ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვით არიან დაკავებულნი და ფინანსური სარგებლის გარდა არაფერი აინტერესებთ, „ბარსას" ხელმძღვანელობამ ფულზე მაღლა სულ სხვა ღირებულებები დააყენა.

კოკა ჭკადუა

გერმანიის ლიგის თასი

ჰერტა 1:2 დორტმუნდი

0:1 ბობიჩი (53), 1:1 სვერისონი (62), 1:2 ჰერცოგი (90ს.კ.)

ჰერტა: ფიდლერი, ჰ. ჰერცოგი, რეკდალი, სვერისონი, დაისლერი (დარდაი 78), სანე (ტომი 46), ტრეჩოკი, ჰარტმანი, ვოში, პრეეტცი, დაეი (არაჩიჩი 68), სტევიჩი, ვ. ბუტი, დედე, იკპება (ბარბარესი 46), ბობიჩი, მიოლერი

გაფრთხილება: რეკდალი, რიკენი

მსაჯი: კემლინგი

ლევერკუზენი 3:1 ლაუტერნი

0:1 პეტერსონი (16), 1:1 ბრდარიჩი (30), 2:1 შნაიდერი (37), 3:1 კირსტენი (78)

მეორე წუთზე კირსტენმა (ლევერკუზენი) ვერ გაიტანა პენალტი

ლევერკუზენი: მატიშეკი, რეები, კოვაჩი, ნოვოტნი, გრეშკო, რამელო, იაშდანი (მამიჩი 83), ბ. შნაიდერი, ნოივილი (პონტე 76), კირსტენი, ბრდარიჩი

კაიზერსლაუტერნი: რაინკე, შიონბერგი, კოხი, შტრასერი, ბუკი, რატინიო (ტარე 46), სფორცა (სობოჩიკი 46), რაიხი, ვაგნერი, პეტერსონი (რიშე 74), მარშალი

გაფრთხილება: ვაგნერი

მსაჯი: ფლაიშერი

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

REUTERS ლოს ანჯელესიდან

მსოფლიოს ჩემპიონები

ჩვენ ვამაყობთ თქვენით!

ფინალი

აშშ 0:0 (პენ 5:4) ჩინეთი

აშშ: სკარი, ოვერბეკი, ჩესტეინი, ჰემი, აკერსი (უალენი 91), ფოუდი, პარლოუ (მაკმილანი 57), ლილი, ფავკეტი, მილბერტი (ვენტურინი 115), სობერსო

ჩინეთი: გაო, ვანგი, ფანი, ზაო (ქიუ 114), ინი (ხიე 119), სუნი, ლიუ, პუ (ზანგი 59), ვენი, უინგი, ბაი

გაფრთხილება: ზანგი (70), აკერსი (74), ლიუ (80)

მსაჯი: ნიკოლ მუიდი-პეტინატი (შვეიცარია)

— ღმერთო ჩემო, ასეთი რამ ხომ ცხოვრებაში ერთხელ ხდება. არა, მე გუნდი მენდო, მთელი ქვეყანა მიცქერის... პენალტი აუცილებლად უნდა გავიტანო, ვამბობდი ჩემთვის...

სწორედ ამ სიტყვებით დაიწყო პრესკონფერენცია ამერიკელ ფეხბურთელ ქალთა ნაკრების მეექვსე ნომერმა ბრენდი ჩესტეინმა და განაგრძო: „ეს უდიდესი ბედნირებაა. ჩემს საფეხბურთო ცხოვრებაში ასეთი დღე არ ყოფილა. არც კი მჯერა, რომ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრო მოვუტანე“.

ამერიკელებს სჯეროდათ, რომ მათი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატს მოიგებდა. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ ამაში. მთელი ქვეყანა ქომაგობდა ფეხბურთელებს, მათ ყველა გვერდით ედგა და სწორედ მაშინ, როცა ოქროს ბედი წყდებოდა, ნაკრებმა სიმტკიცე გამოიჩინა, მალე, სულ რაღაც ათ წუთში კი სანატრელი ტიტულიც მოიგო.

ბრაიანა სკარიმ ჩინელ ფეხბურთელს პენალტი აუღო და ლოს ანჯელესის „როუზ ბოულზე“ შეკრებილ 90 ათას გულშემატკივარს სიხარულის ყიჟინა აღმოხდა. ამერიკა ერთ ნაბიჯში იდგა გამარჯვებასთან.

...ბრენდი ჩესტეინი ბურთისკენ გაემართა. დაძაბულობა აპოგეას აღწევს, გამორბენი... დარტყმა... გოლი! ამერიკა ჩემპიონია! ჩესტეინი მაისურას იხდის და...

— გოგონების მადლიერი ვარ. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რისთვისაც თითქმის ორი წელიწადი ვილტვოდით. ისინი ნამდვილი ჩემპიონები არიან — თქვა ამერიკელთა მწვრთნელმა ტონი დიჩიკომ.

1991 წლის შემდეგ ამერიკელი ქალები მეორედ გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები. მაშინ, 91-ში, მათ ჩინეთში ჩატარებული პირველი ჩემპიონატი მოიგეს, ოთხი წლის შემდეგ პრიზიორებიც ვერ გახდნენ, ახლა კი ‘კვლავ ოქრო. სხვათა შორის, იმ პირველი ჩემპიონატის გამარჯვებული ნაკრებიდან ახლანდელ ჩემპიონთა გუნდში მიშელ აკერსი თამაშობს. მაშინ აკერსი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ფეხბურთელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონობა ამერიკელთათვის, ამას ისიც მოწმობს, რომ ტონი დიჩიკოს გუნდს ეს ტიტული თავად პრეზიდენტმა ბილ ქლინტონმა მიულოცა:

— ვერც კი წარმოიდგენთ, რამხელა სიხარული აჩუქეთ ამერიკელ ერს. თქვენ შეუდარებელნი ხართ და დიდი მადლობა ამისთვის — განაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა და დასძინა — ჩვენ უნდა ვიამაყოთ, ასეთი ფეხბურთელები რომ გვყავს.

...1994 წელს, ფეხბურთელ კაცთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალშიც პენალტების სერიამ გამოავლინა გამარჯვებული. მაშინ ბრაზილიამ მოიგო. ის თამაშიც, ამ შეხვედრის დარად, „როუზ ბოულზე“ შედგა.

მატჩი მესამე ადგილისთვის

ბრაზილია 0:0 (პენ 5:4) ნორვეგია

ბრაზილია: მარავილია, ნენე, ელონე, ტანია, სიდინია, იულიანა, ფორმიგი, და სილვა, სისი, სეზანა (მაიკონი 72), პრეტონია

ნორვეგია: ნორდბი, სანდაუნი, კრინგენი, იორგენსენი, ვიკერი, რიისე, კნუდსენი, მედალენი, პეტერსენი (მელგრენი 58), რ. გულბრანდსენი (აარონესი 62), ს. გულბრანდსენი

გაფრთხილება: ტანია (55)

მსაჯი: ეუნ იუ იმი (კორეა)

ბრაზილიამ პენალტებში მსოფლიოს ჩემპიონებს სძლია და ბრინჯაოს მედალსანაი გახდა.

ორივე გუნდი ფეხბურთელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში დამკვიდრდა — ეს მატჩი შეიქნა პირველი ამ ტურნირების ფინალურ ეტაპზე, რომელიც 0:0 დასრულდა. მანამდე ასეთი შედეგი არ დაფიქსირებულა.

ირაკლი ილაშვილი

უჩვეულო ტრანსფერი

მართლაც რომ უჩვეულო რამ მოხდა.

არგენტინის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა კლაუდიო ლოპესმა ერთდროულად ორ კონტრაქტს მოაწერა ხელი. ამაში გასაკვირი თითქოს არაფერია, მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ ერთი კონტრაქტი მადრიდის „ატლეტიკოს“ ეკუთვნის, მეორე — რომის „ლაციოს“.

მადრიდელმა და რომაულმა კლუბებმა არგენტინელი ფეხბურთელი საზიაროდ შეიძინეს და „ვალენსიას“, 23,3 მილიონი დოლარი გადაუხადეს.

გარიგების თანახმად, კლაუდიო ლოპესი მომავალ ორ სეზონს „ატლეტიკოში“ გაატარებს, ხოლო შემდეგ სამს — „ლაციოში“.

— ვფიქრობ, ჩინებულ გარიგებას მივაღწიეთ. შეიძლება ამაში ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს, მაგრამ თავად ნახავთ, რომ ის, ვინც ასე ფიქრობს აშკარად ცდება. ეს ტრანსფერი ორივე კლუბს ხელს აძლევს — განაცხადა მადრიდელი გუნდის აღმასრულებელმა დირექტორმა მიგელ ანხელ ხილმა.

აღსანიშნავია, რომ „ლაციოს“ ამჟამად ამოწურული აქვს გუნდში არაევროკავშირელ ფეხბურთელთა ლიმიტი და ლოპესის ახლავე შესაძენად რომელიმე მოთამაშის გასხვისება მოუწევდა, რაც რომაელებს არ სურდათ.

მადრიდის „ატლეტიკოს“ ახალი მწვრთნელის, კლაუდიო რანიერის განცხადებით, ლოპესი, რომელიც საზაფხულო არდადეგებს სამშობლოში ატარებს, ახალ კლუბს დაბრუნებისთანავე შეუერთდება.

კოკა ბაკაძეა



კლაუდიო ლოპესი

ინტერტოტოს თასი. მეორე ეტაპი

საპასუხო მატჩები

INTERTOTO CUP

ბობი (ჩეხეთი) 2:4 ბაზელი (შვეიცარია) (ორ მატჩს ჯამში 2:4)

0:1 ტოლოტი (113), 1:1 კრივანეკი (20), 1:2 ჩენტალუპი (37), 2:2 ზბონჩაკი (52), 2:3 სავიჩი (72), 2:4 კერლი (90)

გომელი (ბელარუსი) 2:2 ჰამარბიუ (შვედეთი) (2:6)

0:1 ბაკირჩოღლუ (41), 1:1 დემენკოვეცი (52), 1:2 ბაკირჩოღლუ (64), 2:2 იუსიპეცი (84)

მეცი (საფრანგეთი) 3:0 ჟილინა (სლოვაკეთი) (4:2)

მეგოლეები გუშინდელი დღისთვის ცნობილი არ იყო

პობელა (მაკედონია) 0:0 პერუჯა (იტალია) (0:1)

აკრანესი (ისლანდია) 1:3 ლოკერენი (ბელგია) (2:6)

0:1 ვონაშეკი (4), 1:1 ტორდარსონი (12), 1:2 ნიკევიჩი (69), 1:3 ვონაშეკი (76)

ქოჩაელი (თურქეთი) 2:0 ვენტსპილსი (ლატვია) (3:1)

1:0 კაინაკი (6), 2:0 დორსუნი (50)

როსტსელმაში (რუსეთი) 2:1 ცემენტარნიცა (მაკედონია) (3:2)

1:0 დიადიუკი (28), 1:1 დიმიტროვსკი (62), 2:1 ხანკევსკი (64)

ფლორიანა (მალტა) 1:1 იოკერიტი (ფინეთი) (2:3)

1:0 ბურგი (14), 1:1 რანტანენი (75)

სენტ ტრუიდენი (ბელგია) 3:1 არარატი (სომხეთი) (5:1)

1:0 ტეპერსი (4), 2:0 მერტენსი (45), 3:0 ვრანკენი (52), 3:1 მესროპიანი (64)

პოლონია (პოლონეთი) 1:1 კოპენჰაგენი (დანია) (4:1)

1:0 ძიევიცკი (18), 1:1 ლაურიდსენი (56)

მონპელიე (საფრანგეთი) 6:0 ყარაბაღი (აზერბაიჯანი) (9:0)

1:0 მაუვი (11), 2:0 ძოდიჩი (16), 3:0 ლოკო (66), 4:0 ძოდიჩი (74), 5:0 გუეი (80), 6:0 ბარბოსა (87),

ნიური თაუნი (ჩრდ. ირლანდია) 1:0 დუისბურგი (გერმანია) (1:2)

1:0 შნაიდერი (28 ს.კ.)

იედინსტვო (ბოსნია) 1:3 ჩაკლაული (რუმინეთი) (2:5)

0:1 ილიე (7), 1:1 ჰოტა (8), 1:2 გროზავუ-(23), 1:3 ბონეცი (44)

ლუშტენაუ (ავსტრია) 2:1 რუდარი (სლოვენია) (4:2)

1:0 ეშტელდტი (29), 1:1 გრობელსეკი (37), 2:1 ბრეეჩიკი (66)

ვაშაში (უნგრეთი) 1:0 ქსამაქსი (შვეიცარია) (3:0)

1:0 სოვუნმი (31)

ვარტექსი (ხორვატია) 3:0 ბრანი (ნორვეგია) (3:3 პენ. 5:4)

1:0 მუმლეკი (22), 2:0 კამბეროვიჩი (24), 3:0 მადუნოვიჩი (82)

მესამე წრის კენჭისყრა

ესპანიოლი (ესპანეთი)	—	მონპელიე (საფრანგეთი)
ჩაკლაული (რუმინეთი)	—	იუვენტუსი (იტალია)
ტრაბზონსფორი (თურქეთი)	—	პერუჯა (იტალია)
ჰერენვენი (ჰოლანდია)	—	ჰამარბიუ (შვედეთი)
ვესტ ჰემი (ინგლისი)	—	იოკერიტი (ფინეთი)
ლუშტენაუ (ავსტრია)	—	რენი (საფრანგეთი)
ჰამბურგი (გერმანია)	—	ბაზელი (შვეიცარია)
სენტ ტრუიდენი (ბელგია)	—	აუსტრია (ავსტრია)
ვარტექსი (ხორვატია)	—	როსტსელმაში (რუსეთი)
ქოჩაელი (თურქეთი)	—	დუისბურგი (გერმანია)
ლოკერენი (ბელგია)	—	მეცი (საფრანგეთი)
პოლონია (პოლონეთი)	—	ვაშაში (უნგრეთი)

პირველი მატჩები 17-18 ივლისს გაიმართება, საპასუხო — 24 ივლისს

ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპის საპასუხო მატჩებმა ერთი საინტერესო შედეგი მოიტანა — ხორვატიის „ვარტექსი“, მიუხედავად იმისა, რომ პირველი მატჩი 0:3 წააგო, შემდეგ ეტაპზე მაინც გავიდა.

ქვემოთ გთავაზობთ იმ შემთხვევების ჩამონათვალს ძირითადი ევროთასების ისტორიიდან, როცა ერთი ‘უნდი პირველ თამაშს დიდი ანგარიშით აგებდა, საბოლოო ჯამში კი მეტოქეს მაინც ამარცხებდა.

58-59	ჩთ	1/16	კოპენჰაგენი (დანია) - შალკე (გელზენკირხენი, გფრ)	3:0, 2:5, 1:3
60-61	უთ	1/8	ლაიპციგი (გდრ) - ბელგრადი (იუგოსლავია)	5:2, 1:4, 0:2
61-62	თთ	1/16	შო დე ფონი (შვეიცარია) - ლეიმოეში (პორტუგალია)	6:2, 0:5
63-64	ჩთ	1/16	ჰაკა (ვალკეაკოსკი, ფინეთი) - ჟენეს ეში (ლუქსემბურგი)	4:1, 0:4
63-64	თთ	1/4	მანჩესტერი (ინგლისი) - სპორტინგი (პორტუგალია)	4:1, 0:5
63-64	ფთ	1/2	სელტიკი (შოტლანდია) - მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი)	3:0, 0:4
64-65	უთ	1/32	აინტრახტი (ფრანკფურტი, გფრ) - კილმარნოკი (შოტლანდია)	3:0, 1:5
65-66	ჩთ	1/4	სპარტა (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) - პარტიზანი (იუგოსლავია)	4:1, 0:5
66-67	უთ	1/16	ტულუზი (საფრანგეთი) - დინამო (პიტეშტი, რუმინეთი)	3:0, 1:5
66-67	უთ	1/2	აინტრახტი (გფრ) - დინამო (ზაგრები, იუგოსლავია)	3:0, 0:4
67-68	უთ	1/32	ნაპოლი (იტალია) - ჰიბერნიანი (შოტლანდია)	4:1, 0:5
69-70	უთ	1/16	ბრიუგე (ბელგია) - უიპეშტ დოჯა (ბუდაპეშტი, უნგრეთი)	5:2, 0:3
70-71	ჩთ	1/2	ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) - პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	4:1, 0:3
71-72	უთ	1/16	რუსენბორგი (ნორვეგია) - ლიერსი (ბელგია)	4:1, 0:3
72-73	უთ	1/32	უნივერსიტატია (კლუჟი, რუმინეთი) - ლევსკი (ბულგარეთი)	4:1, 1:5
74-75	ჩთ	1/8	ჰაიდუკი (სპლიტი, იუგოსლავია) - სენტ ეტიენი (საფრანგეთი)	4:1, 1:5
75-76	ჩთ	1/8	დერბი ქაუნთი (ინგლისი) - რეალი (მადრიდი, ესპანეთი)	4:1, 1:5
75-76	უთ	1/16	იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) - ბრიუგე (ბელგია)	3:0, 0:4
76-77	უთ	1/4	ქუინზ პარკი (ინგლისი) - აეკ (ათენი, საბერძნეთი)	3:0, 0:3 (პ 6:7)
77-78	უთ	1/8	იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) - ბარსელონა (ესპანეთი)	3:0, 0:3 (პ. 1:3)
78-79	უთ	1/32	დინამო (ბერლინი, გდრ) - ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)	5:2, 1:4
78-79	უთ	1/8	შტუტგარტი (გფრ) - დუკლა (პრაღა, ჩეხოსლოვაკია)	4:1, 0:4
78-79	თთ	1/8	ანდერლეხტი (ბელგია) - ბარსელონა (ესპანეთი)	3:0, 0:3 (პ. 1:4)
80-81	თთ	1/16	რომა (იტალია) - კარლ ცაისი (იენა, გდრ)	3:0, 0:4
82-83	უთ	1/16	ჰაიდუკი (იუგოსლავია) - ბორდო (საფრანგეთი)	4:1, 0:4
84-85	უთ	1/16	ქუინ პარკ რეინჯერსი (ინგლისი) - პარტიზანი (იუგოსლავია)	6:2, 0:4
84-85	უთ	1/8	ანდერლეხტი (ბელგია) - რეალი (მადრიდი, ესპანეთი)	3:0, 1:4
84-85	თთ	1/4	დინამო (დრეზდენი, გდრ) - რაპიდი (ვენა, ავსტრია)	3:0, 0:5
85-86	ჩთ	1/2	გიოტებორგი (შვედეთი) - ბარსელონა (ესპანეთი)	3:0, 0:3 (პ. 4:5)
85-86	უთ	1/8	ბორუსია (გლადბახი, გფრ) - რეალი (მადრიდი, ესპანეთი)	5:1, 0:4
87-88	უთ	1/16	ბრონდბიუ (დანია) - სპორტული (რუმინეთი)	3:0, 0:3 (პ. 0:3)
87-88	უთ	1/16	სპარტაკი (მოსკოვი, სსრკ) - ვერდერი (ბრემენი, გფრ)	4:1, 2:6
87-88	უთ	1/8	ბორუსია (დორტმუნდი, გფრ) - ბრიუგე (ბელგია)	3:0, 0:5
87-88	უთ	1/8	ჰონვედი (უნგრეთი) - პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	5:2, 1:5
87-88	უთ	ფინ.	ესპანიოლი (ესპანეთი) - ბაიერი (ლევერკუზენი, გფრ)	3:0, 0:3 (პ 2:3)
88-89	ჩთ	1/16	დინამო (ბერლინი, გდრ) - ვერდერი (ბრემენი, გფრ)	3:0, 0:5
88-89	ჩთ	1/8	ქსამაქსი (შვეიცარია) - გალათასარაი (თურქეთი)	3:0, 0:5
89-90	თთ	1/16	სლოვანი (ჩეხოსლოვაკია) - გრასჰოპერი (შვეიცარია)	3:0, 0:4
90-91	უთ	1/8	ადმირა ვაკერი (ავსტრია) - ბოლონია (იტალია)	3:0, 0:3 (პ. 5:6)
92-93	ჩთ	1/16	შტუტგარტი (გერმანია) - ლიდს იუნაიტედი (ინგლისი)	3:0, 1:4, 1:2
93-94	ჩთ	1/16	ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) - კოპენჰაგენი (დანია)	3:0, 0:4
94-95	თთ	შ	ფანდოკი (ბობრუისკი, ბელარუსი) - ტირანა (ალბანეთი)	4:1, 0:3
95-96	თთ	1/8	ჰალმშტადი (შვედეთი) - პარმა (იტალია)	3:0, 0:4
97-98	ჩთ	1/16	სტიაუა (რუმინეთი) - პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)	3:0, 0:5

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა ლიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი. I წრე

14.07	სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) — ქიაფაზი (აზერბაიჯანი)	(1,05-7,5)	1,15	5,6	10,0
	ვესტმანაეიარი (ისლანდია) — ტირანა (ალბანეთი)	(1,35-2,5)	1,5	3,3	6,0
	პარტიზანი (იუგოსლავია) — ფლორა (ესტონეთი)	(1,02-10,0)	1,05	8,0	14,0
	ბარი თაუნი (უელსი) — ვალეტა (მალტა)	(1,6-1,8)	1,7	3,3	4,0
	ლიტექსი (ბულგარეთი) — გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)	(1,1-5,0)	1,15	5,6	10,0
	ჰაფნარი (ფარერები) — ჰაკა (ფინეთი)	(5,0-1,1)	4,4	3,1	1,7
	ჟენესი (ლუქსემბურგი) — სკონტო (ლატვია)	(5,0-1,1)	5,0	3,2	1,6
	სენტ პატრიკზი (ირლანდია) — ზიმბრუ (მოლდოვა)	(1,7-1,7)	1,8	3,0	4,0
	ჟალგირისი (ლიტვა) — ცემენტი (სომხეთი)	(1,35-2,5)	1,45	3,5	6,0

გერმანიის ლიგის თასი. ნახევარფინალი

13.07	ლევერკუზენი — ვერდერი	1,8	2,9	4,2
14.07	ბაიერნი — დორტმუნდი	1,7	3,1	4,4

ავსტრიის ჩემპიონატი. III ტური

13.07	რაპიდი — ზალცბურგი	1,5	3,3	6,0
14.07	ბრეგენცი — შტურმი	5,0	3,2	1,6
	ტიროლი — რიდი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
	გრაცერი — ლუსტენაუ	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
	ლინცერი — აუსტრია	2,4	2,9	2,6

შვეიცარიის ჩემპიონატი. II ტური

13.07	აარაუ — ივერდონი	1,5	3,3	6,0
14.07	ბაზელი — ქსამაქსი	1,8	2,9	4,2

რუსეთის ჩემპიონატი. XVI ტური

14.07	ზენიტი — შინიკი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	ნ. ნოვგოროდი — ჟემჩუჟინა	1,6	3,2	5,0
	ტორპედო — ლოკომოტივი	3,3	2,8	2,1
	როსტსელმაში — დინამო	2,1	2,8	3,3
	როტორი — კრილია სოვეტოვი	1,6	3,2	5,0
	ცსკა — ალანია	1,6	3,0	5,6
	სპარტაკი — ურალანი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	სატურნი — ჩერნომორეცი	1,9	2,9	3,6

შვედეთის ჩემპიონატი. XIV ტური

14.07	კალმარი — ჰამარბი	1,6	3,0	5,6

კოპა ამერიკა. ნახევარფინალი

13.07	ჩილე — ურუგვაი	2,1	2,8	3,3
	ბრაზილია — მექსიკა	1,35	3,8	7,0

ქვეყნის ჩემპიონატები

გერმანია

ბაიერნი	1,3
დორტმუნდი	4,0
ლევერკუზენი	5,0
კაიზერსლაუტერნი	6,0
ჰერტა	8,0

ინგლისი

მანჩესტერი	1,4
არსენალი	3,5
ჩელსი	4,0
ლივერპული	6,0
ლიდსი	8,0

საფრანგეთი

მარსელი	2,0
ბორდო	3,0
მონაკო	3,0
პსჟ	4,0
ლიონი	6,0
ნანტი	8,0
ლანსი	8,0

იტალია

მილანი	2,5
ინტერი	2,5
იუვენტუსი	3,0
ლაციო	3,0
პარმა	5,0
ფიორენტინა	7,0
რომა	8,0

ესპანეთი

ბარსელონა	1,6
რეალი	2,3
ვალენსია	5,0
ატლეტიკო	7,0
დეპორტივო	8,0
სელტა	8,0
ბილბაო	8,0
მალიორკა	8,0
სოსიედადი	8,0

პორტუგალია

პორტუ	1,7
ბენფიკა	2,5
სპორტინგი	4,0
ბოავიშტა	8,0

ჰოლანდია

აიაქსი	2,0
ფეიენოორდი	2,5
ეინდჰოვენი	2,5

ბელგია

ბრიუგე	2,2
ანდერლეხტი	2,2
გენკი	3,0
სტანდარდი	8,0

საბერძნეთი

ოლიმპიაკოსი	2,0
პანათინაიკოსი	2,0
აეკ	8,0
პაოკ	8,0

ჩეხეთი

სპარტა	1,6
სლავია	2,3
სიგმა	8,0
ტეპლიტე	8,0
ბანიკი	8,0

პოლონეთი

ვისლა	1,5
ლეგია	2,5
ვიძევი	4,0
ლეხი	8,0
პოლონია	8,0

უკრაინა

დინამო კიევი	1,1
შახტიორი	6,0
კარპატი	8,0
ტავრია	8,0

თურქეთი

გალათასარაი	1,4
ფერენბაჰჩე	3,0
ბეშიქთაში	5,0
ტრაბზონი	7,0

შოტლანდია

რეინჯერსი	1,6
სელტიკი	2,3

ავსტრია

რაპიდი	1,8
შტურმი	2,0
ზალცბურგი	4,0
აუსტრია	5,0
გრაცერი	8,0

შვეიცარია

გრასჰოპერი	1,8
სერვეტი	3,0
ციურიხი	4,0
ლოზანა	5,0

დანია

ბრონდბიუ	2,0
კოპენჰაგენი	3,0
ოლბორგი	3,0
სილკებორგი	5,0
აკდემიკსი	5,0

რეიტინგი გუნდი გამარჯვების

მანჩესტერი	2,5
მილანი	2,5
ბარსელონა	2,5
ლაციო	4,0
ფიორენტინა	5,0
პარმა	5,0
ბაიერნი	5,0
რეალი	6,0
არსენალი	7,0
ჩელსი	7,0
დორტმუნდი	10,0
ლევერკუზენი	10,0
მარსელი	10,0
ბორდო	10,0
ვალენსია	10,0
მალიორკა	15,0
ჰერტა	15,0
ლიონი	15,0
ფეიენოორდი	15,0
ეინდჰოვენი	15,0
პორტუ	15,0
დინამო (კიევი)	15,0
სპარტაკი	25,0
რუსენბორგი	25,0
კროაცია	25,0
პარტიზანი	25,0
გენკი	25,0
ოლიმპიაკოსი	50,0
აეკ	50,0
გალათასარაი	50,0
ბეშიქთაში	50,0
ბოავიშტა	50,0
ცსკა	50,0
რეინჯერსი	50,0

ჩემპიონთა თასი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

რეიტინგი ქვეყნის წარმომადგენელი გამარჯვების

იტალია	2,0
ესპანეთი	2,4
ინგლისი	2,4
გერმანია	3,0
საფრანგეთი	5,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	15,0
უკრაინა	15,0
ნორვეგია	25,0
რუსეთი	25,0
ხორვატია	25,0
ბელგია	25,0
იუგოსლავია	25,0
საბერძნეთი	50,0
თურქეთი	50,0
შოტლანდია	50,0

უეფას თასი

UEFA CUP

რეიტინგი ქვეყნის წარმომადგენელი გამარჯვების

იტალია	2,5
ესპანეთი	3,0
ინგლისი	3,0
გერმანია	5,0
საფრანგეთი	8,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	12,0
ბელგია	15,0
რუსეთი	25,0
იუგოსლავია	25,0
ხორვატია	25,0
შვედეთი	25,0
ჩეხეთი	50,0
ნორვეგია	50,0
თურქეთი	50,0
შვეიცარია	50,0
შოტლანდია	50,0
საბერძნეთი	50,0
რუმინეთი	50,0

რეიტინგი გუნდი გამარჯვების

იუვენტუსი	3,0
რომა	5,0
ლიდსი	7,0
ტოტენჰემი	7,0
ბოლონია	7,0
უდინეზე	7,0
აიაქსი	7,0
კაიზერსლაუტერნი	7,0
დეპორტივო	10,0
სელტა	10,0
ატლეტიკო	10,0
ნიუკასლი	10,0
ვერდერი	15,0
ვოლფსბურგი	15,0
ჰამბურგი	15,0
დუისბურგი	15,0
ვესტ ჰემი	15,0
მონაკო	15,0
ნანტი	15,0
ლანსი	15,0
რენი	25,0
მონპელიე	25,0
ბენფიკა	25,0
სპორტინგი	25,0
ვიტებსკი	25,0
ლოკომოტივი (მოსკოვი)	25,0
ჰაიდუკი	25,0
ცრვენა ზვეზდა	25,0
ბრიუგე	25,0
ანდერლეხტი	25,0
სელტიკი	25,0
გიოტებორგი	50,0
პაოკ	50,0
პანათინაიკოსი	50,0
როდა	50,0
სლავია (პრაღა)	50,0
ზენიტი	50,0
ფენერბაჰჩე	50,0
გრასჰოპერი	50,0
ლიერსი	50,0
ლოკერენი	50,0
სტ. ტრუიდენი	50,0
სტიაუა	50,0
დინამო (ბუქარესტი)	50,0

გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.
იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

აზოტი უკრაინას ვერ გასცდა

რუსთაველთა მეტოქე მხოლოდ ქაღალდზე არსებობს

ვითამ ფიბას ვალი ვერ დაფარა

ბკ კიევი

ვოლკოვის ავანტიურა

კორაჩის თასზე რუსთავის „აზოტის“ მეტოქის, უკრაინული „ბკ კიევის“ ბოლო წლების შედეგებით რომ დავინტერესდით, ღირებული ვერაფერი მოვიძიეთ. მეტიც, გუნდის სახელი თითქოს გამქრალიყო ყველანაირი ცნობარიდან თუ საინტერნეტო გვერდიდან. ასეთ გუნდს არც უკრაინის ახლახან დამთავრებულ ჩემპიონატში უასპარეზია. საქმეში გასარკვევად უკრაინელ კოლეგებს მივმართეთ. ერთ-ერთმა მათგანმა, „სპორტივნა გაზეტას“ საკალათბურთო მიმომხილველმა ლეონიდ კანევსკიმ კი იმისთანები გვითხრა...

— „დავიწყოთ იმით, რომ ეს კლუბი, „ბკ კიევი“ ბუნებაში არ არსებობს. უფრო სწორად, არსებობს მხოლოდ ქაღალდზე. იგი ოფიციალურად რეგისტრირებულია და ჰყავს პრეზიდენტი — ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრ ვოლკოვი. როდის, რატომ ან რისთვის გაჩნდა ეს გუნდი, უკრაინაში თითქმის არავინ იცის. უკრაინის ბოლო ჩემპიონატში არ უთამაშია. კორაჩის თასზეც ალბათ იმიტომ გამოდის, რომ კიევის ცსკა-ს გარდა ყველა უკრაინულმა გუნდმა ევროთასებზე ასპარეზობისგან თავი შეიკავა.

ვოლკოვს თითქოს 4-5 კალათბურთელთან უკვე აქვს კონტრაქტი გაფორმებული. „ბკ კიევში“ უნდა ეთამაშა უკრაინის ნაკრების წევრს ოკუნსკის, მაგრამ ახლახან იგი ლიტვაში, „ლიეტუვოს რიტასში“ გადავიდა. ამბობენ, ნაკრების კიდევ ერთი წევრის, იაილოს გადაბირებაც უნდათო, მაგრამ ეს უკანასკნელი, თურმე, თავს იკავებს. დანარჩენი კალათბურთელების ვინაობა კი არაფერს გეტყვით.

უკრაინულმა პრესამ „ბკ კიევის“ გამოჩენა ვოლკოვის ავანტიურად შეაფასა. ამბობენ, ალექსანდრმა იმიტომ შექმნა გუნდი, რომ ახლად დაარსებულ ჩრდილოეთის ლიგაში ათამაშოსო. ვერაფერს გეტყვით, ვოლკოვს პრესასთან არ უსაუბრია, თუმცა დაგვიპირდა, იმ კვირაში პრესკონფერენციას მოვაწყობო“.

აზოტი

ვინ არის ჩვენი მეტოქე?

კორაჩის თასის წლევანდელ გათამაშებაში რუსთავის „აზოტის“ მონაწილეობა ერთხანს სათუო გახლდათ. კლუბის ხელმძღვანელობა გადაჭრით ვერაფერს გვეუბნებოდა, თუმცა ახლა ის დროა, ქვეყნის ორგზის ვიცე-ჩემპიონებმა საჭირო თანხების მოძიებასა და საევროპოდ მზადებაზე დაიწყონ ზრუნვა, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდს ფიბა შერისხავს და „აზოტს“ სოლიდური ფულის გადახდაც დაეკისრება.

მაშ ასე, ცნობილია კენჭისყრის შედეგები და, აქედან გამომდინარე, კორაჩის თასზე რუსთაველთა მეტოქეც „აზოტს“ ახლაც, როგორც შარშან, უკრაინული კლუბი ერგო, ამჯერად „ბკ კიევი“.

ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ რუსთაველთა მთავარ მწვრთნელ ოთარ ხმელიძეს:

— კენჭისყრის შედეგით ვერც კმაყოფილებას გამოვთქვამ და ვერც უკმაყოფილებას. უკრაინული კალათბურთი ხელწამოსაკრავი არასდროს ყოფილა, ეს ყველამ კარგად ვიცით, თუმც რას წარმოადგენს ჩვენი მეტოქე, „ბკ კიევი“, ამაზე ვერაფერს გეტყვით.

მე კი არა, ჩვენში ისეთი არავინ მეგულება, ამ კლუბზე რაიმე გაეგოს. სულ ახლახანს შექმნილი გუნდია, უკრაინის ჩემპიონატის ბოლო გათამაშებაშიც კი არ მონაწილეობდა და კორაჩის თასზე როგორ აღმოჩნდა, ვერ მივმხვდარვარ.

თუმცა ახლა ამას მნიშვნელობა აღარც აქვს, „ბკ კიევი“ ამბიციური და სერიოზული მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი რომ იქნება, ამას ისიც მოწმობს, რომ კლუბის პრეზიდენტი თვით ალექსანდრ ვოლკოვია, საბჭოეთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი.

„აზოტს“ რაც შეეხება, ბიჭებს თვის ბოლოს, 30 ივლისს შეეკრებთ, პირველიდან კი უკვე სერიოზულ მზადებას შევუდგებით, ოღონდ სად და როგორ, ჯერ არ ვიცი.

კორაჩის თასი

შესარჩევი ეტაპი. 15 და 22 სექტემბერი

1 კელუში (პორტუგალია) — მონსი (ბელგია)
2 ბაიერი (გერმანია) — ბასკეტ რასინგი (ლუქსემბურგი)
3 გომელი (ბელარუსი) — ცსკა (უკრაინა)
4 ბორასი (შვედეთი) — კოუვოტი (ფინეთი)
5 ლევსკი (ბულგარეთი) — ბორაცი (ბოსნია)
6 ფრიბურგი (შვეიცარია) — აპოლონი (კვიპროსი)
7 აელ (კვიპროსი) — მაკაბი (რამათ განი, ისრაელი)
8 სპარტა (ჩეხეთი) — მიოლერსდორფი (ავსტრია)
9 სლობოდა დიტა (ბოსნია) — ზაგრები (ხორვატია)
10 ლუგანო (შვეიცარია) — სეიშალი (პორტუგალია)
11 ჰუიმა (ფინეთი) — ულმი (გერმანია)
12 ლეოპარდსი (ინგლისი) — ირბ (ისლანდია)
13 შტალბაუ (ავსტრია) — გენტი (ბელგია)
14 ვაკალო (შვეიცარია) — დონარი (ჰოლანდია)
15 როგლა (სლოვენია) — ინტერი (სლოვაკეთი)
16 სიბიუ (რუმინეთი) — ჰაპოელ კირიატ შმონა (ისრაელი)
17 პოსუშიე (ბოსნია) — ბეშიქთაში (თურქეთი)
18 შიროკი (ბოსნია) — ლოკა (სლოვენია)
19 კაპფენბერგი (ავსტრია) — ზრინიევაცი (ხორვატია)
20 ეტცელა (ლუქსემბურგი) — ოსტენდე (ბელგია)
21 ჰანს ფერკერკი (ჰოლანდია) — კლუბ ამიგოს (პორტუგალია)
22 *აზოტი (რუსთავი, საქართველო) — ბკ კიევი (კიევი, უკრაინა)*
23 ნამიკა (ფინეთი) — აზოტი უნია (ტარნოვი, პოლონეთი)
24 პაო (კვიპროსი) — ტრირი (გერმანია)
25 ციტლიუკი (ბოსნია) — ბენსტონი (ხორვატია)
26 ოვარენშე (პორტუგალია) — ბრაუნშვაიგი (გერმანია)
27 მეხელენი (ბელგია) — ბერტრანჟი (ლუქსემბურგი)
28 გროდნო (ბელარუსი) — ლაჰტი (ფინეთი)
29 კერავნოსი (კვიპროსი) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
30 ნიკოლ ფერტი (მაკედონია) — ზაგორიე (სლოვენია)
31 იამბოლგაზი (ბულგარეთი) — ქარშიაქა (თურქეთი)
32 ატომერომუ (უნგრეთი) — სლოვანი (სლოვენია)

ამ წყვილებში გამარჯვებულები ბრძოლას გააგრძელებენ ჯგუფურ ეტაპზე

ჯგუფური ეტაპი

A ჯგუფი
მ 13
მ 14
ანტიბი (საფრანგეთი)
ხირონა (ესპანეთი)

B ჯგუფი
გალათასარაი (თურქეთი)
მ 19
ტერმალი (იტალია)
მ 18

C ჯგუფი
მ 29
რეჯანა (იტალია)
ბეოპეტროლი (იუგოსლავია)
მ 30

D ჯგუფი
უნიკახა (ესპანეთი)
მ 2
მ 1
პეპსი (იტალია)

E ჯგუფი
აეროპორტი (იტალია)
მ 17
მ 15
მ 16

F ჯგუფი
ლოკომოტივი (მინსკი, რუსეთი)
მ 23
მ 22
ალიტა (ლიტვა)

G ჯგუფი
მ 7
მ 9
მარუსი (საბერძნეთი)
მ 8

H ჯგუფი
მ 4
პოგონი (პოლონეთი)
შახტიორი (რუსეთი)
ნეპტუნასი (ლიტვა)

I ჯგუფი
მ 26
ფუენლაბრადა (ესპანეთი)
მ 27
ლიმოჟი (საფრანგეთი)

J ჯგუფი
ერიძსონი (პოლონეთი)
მ 28
შიაულიაი (ლიტვა)
უნიძსი (რუსეთი)

K ჯგუფი
მ 10
ნანსი (საფრანგეთი)
მ 11
მ 12

L ჯგუფი
მ 3
პანევეჟისი (ლიტვა)
ნობილესი (პოლონეთი)
ურალ გრეიტი (რუსეთი)

M ჯგუფი
მ 31
სპარტაკი (იუგოსლავია)
მ 32
ნიარ ისტი (საბერძნეთი)

N ჯგუფი
ტელეკომი (თურქეთი)
პერისტერი (საბერძნეთი)
მ 24
მ 25

O ჯგუფი
არისი (საბერძნეთი)
მ 6
ჟელეზნიკი (იუგოსლავია)
მ 5

P ჯგუფი
ლე მანი (საფრანგეთი)
მ 21
ადეკო (ესპანეთი)
მ 20

ჯგუფური ეტაპის მატჩები გაიმართება 6 ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე. თითოეული ჯგუფიდან ორი საუკეთესო გადის მეთექვსმეტედფინალში.

სპორტას თასი

A ჯგუფი
ჰონკა (ფინეთი)
ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი)
ავტომოდორი (რუსეთი)
ჩერნო მორე (ბულგარეთი)
შარლერუა (ბელგია)
აეკ (საბერძნეთი)

B ჯგუფი
აქილეასი (კვიპროსი)
ზადარი (ხორვატია)
არსენალი (რუსეთი)
კალევი (ესტონეთი)
სავინსკი (სლოვენია)
პამესა (ესპანეთი)

C ჯგუფი
აპოელი (კვიპროსი)
მაკაბი (რაანანა, ისრაელი)
ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა)
რიკო (ჰოლანდია)
ალბაკომპი (უნგრეთი)
შალონი (საფრანგეთი)

D ჯგუფი
ბოსნა (ბოსნია)
რასინგი (საფრანგეთი)
პრუშკოვი (პოლონეთი)
რაბოტნიჩკი (მაკედონია)
ილიაბუმი (პორტუგალია)
ტაუ (ესპანეთი)

E ჯგუფი
სენტ პიოლტენი (ავსტრია)
ტელეკომი (გერმანია)
ირაკლისი (საბერძნეთი)
სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი)
პორტუ (პორტუგალია)
პარტიზანი (იუგოსლავია)

F ჯგუფი
მატავი (უნგრეთი)
ცეპტერი (პოლონეთი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი)
ვენტსპილსი (ლატვია)
ნორჩეპინგი (შვედეთი)
კინდერი (იტალია)

G ჯგუფი
პლანია (შვედეთი)
დარუშაფაკა (თურქეთი)
სპლიტი (ხორვატია)
ლონდონ თაუერზი (ინგლისი)
ოკაპი (ბელგია)
სონი (იტალია)

H ჯგუფი
ტოპო (ფინეთი)
სკაილაინერზი (გერმანია)
რადნიჩკი (იუგოსლავია)
მლეკარნა (ჩეხეთი)
კრკა (სლოვენია)
საკალაი (ლიტვა)

ჯგუფური ეტაპის მატჩები გაიმართება 21 სექტემბრიდან 14 დეკემბრამდე. თითოეული ჯგუფიდან ოთხი საუკეთესო გადის მეთექვსმეტედფინალში

ვითა

ევროპის მიღმა

„ვითას“ ახალი სპონსორის ვინაობა კლუბის მფლობელმა თემურ დათიკაშვილმა ამას წინათ ჩვენთან საუბრისას არ გაამხილა, თუმცა ახლა უკვე ეს აღარ არის მნიშვნელოვანი. ვინც არ უნდა იყოს იგი, ერთის თქმა დღესვე შეიძლება — ჩვენში ასეთებს უპიროებს ეძახიან.

დიახ, ფუჭი გამოდგა ვითელთა იმედი. კორაჩის თასზე თამაშმოწადინებული შვიდგზის ჩემპიონები სულ ტყუილად იკაპიწებდნენ ხელებს. კენჭისყრის შედეგები უკვე ცნობილია, „ვითა“ კი იქ საერთოდ არ არის მოხსენიებული. ეს იმიტომ, რომ ფული, რომელიც გუნდს ფიბასთვის უნდა გადაერიცხა (რა ჯარიმის სახით და რა ისე), ჯერაც არ არის გადახდილი.

თემურ დათიკაშვილს გუშინ ვერაფრით დავუკავშირდით, „ვითას“ ნარწამხდარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს კი გავესაუბრეთ და აი, ეს გვითხრა:

— რა გითხრათ, თავადაც არ ვიცი. ფაქტია, რომ ფიბამდე ფული არ ჩასულა, რადგან არავის გაუგზავნია. რატომ და რა მიზეზით, ამაზე კლუბის მფლობელს დაეკითხეთ. არადა, როგორი იმედები გვქონდა, ბიჭებიც გაოგნებულები არიან...

მკითხველს შევახსენებთ, რომ „ვითამ“ კორაჩის თასზე თამაში ბოლოსღა მოინდომა, როცა უკვე განაცხადის გაგზავნაც დაგვიანებული გახლდათ. თუმცა ფიბას მათთვის უარი არ უთქვამს, ოღონდ ფული წინდაწინო, ბრძანა. ევროპული კალათბურთის მამები „ვითას“ ძველ ვალებს ედავებიან, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, 20 ათასი მარკაა.

ერთი სიტყვით, „ვითა“ ახლაც ეროვნულ ჩემპიონატს იკმარს, ევროპაზე კი მხოლოდ „აზოტის“ იმედად უნდა ვიყოთ.

გიორგი ბიკაშვილი

ეურავ დილეთვაბეველის ფოტო

საქართველოს კადეტთა ნაკრები

ქართველი კადეტები ევროპის ჩემპიონატს შორი გზიდან უვლიან

დღეს დილით სლოვენიის გზას გაუდგა საქართველოს კადეტ კალათბურთელთა ნაკრები. ჩვენებურები სლოვენიაში ხვალ, ათენისა და ვენის გავლით ჩავლენ, იქ ქალაქ სელეშში დაბინავდებიან და 15 ივლისიდან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ჩაებმებიან. ქართველთა მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა საევროპოდ ცამეტი კალათბურთელი შეარჩია, რომელთაგან, საბოლოო განაცხადში შესაყვან თორმეტს სელეშში დაასახელებს:

დავით უგრეხელიძე, ირაკლი კეიდია, ბუბა ბერიშვილი (სამივე „კოლხა“), ნიკა ცქიტიშვილი, გიორგი ჩავლეიშვილი, კოტე ტულუში (სამივე სტუ), ტატო ვაშაკიძე („ვითა“), გიორგი მარკოიშვილი (თსუ), ბადრი ნათობაძე, ბაჩანა სულაძე, გიორგი მარხვაშვილი (სამივე „მართვე, ბავშვთა ლიგა), შიო ხეცურიანი („დინამო“), ზაზა ფაჩულია („ულქერი“, თურქეთი).

საქართველოს კადეტთა ნაკრების თამაშთა განრიგი (დრო თბილისისაა)			
15	ივლისი	საქართველო—რუსეთი	19 საათი
16	ივლისი	საქართველო—იუგოსლავია	23 საათი
17	ივლისი	საქართველო—თურქეთი	23 საათი
19	ივლისი	საქართველო—საბერძნეთი	19 საათი
20	ივლისი	საქართველო—სლოვენია	23 საათი

ბოისა წამოვიდა და გუნდიც დაიშალა

სლოვენიაში მოთამაშე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების თავდამსხმელი ვლადიმერ ბოისა ახლახანს შვებულებით სამშობლოში ჩამოვიდა და შინ, რუსთავში ისვენებს.

ოთხი წლით სლოვენური „ოლიმპიას“ საკუთრება ბოისა წინა სეზონში იქვე, „პოსტონიაში“ იყო განათხოვრებული. იქიდან წამოსვლას და „სლოვანში“ გადაბარგებას რომ აპირებდა, ამაზე ადრეც ვწერდით, თუმცა ახლა ძალიანაც რომ მოინდომოს, „პოსტონიაში“ მაინც ვერ დარჩება.

ამ სლოვენურმა კლუბმა ჩვენებური გუნდების ბედი გაიზიარა — უფულობის გამო „პოსტონი“ დაიშალა და ვოვასაც ისღა დარჩენია, სხვა გზა ეძებოს. საფიქრალიც ბევრი არაფერი აქვს ნიჭიერ და კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდას. „ოლიმპიას“ მისთვის უთქვამს, ახლა „სლოვანში“ გაგიშვებთო და ამით ბოისაც კმაყოფილია:

— „სლოვანის“ ვარიანტი ბევრად სჯობს „პოსტონიასას“. ჯერ ერთი, უკეთესი გუნდია, მეორეც — სხვა ქალაქში სიარული აღარ მომიწევს. ვივარჯიშებ იქ, სადაც ვცხოვრობ, ლიუბლიანაში.

ახლა, იქ ყოფნისას, „ოლიმპიასთან“ ერთად ვვარჯიშობდი, „სლოვანს“ კი, თვის ბოლოს რომ ჩავალ, მერე შევუერთდები.

ხუთი დღით ბარსელონაშიც ვიყავი. ესპანეთში „ნაიკმა“ ახალგაზრდა კალათბურთელების საზაფხულო შეკრება მოაწყო და მეც ვიყავი მიწვეული.

გიორგი ბიკაუშვილი

ევროლიგა

A ჯგუფი	C ჯგუფი
შოლე (საფრანგეთი)	ულქერი (თურქეთი)
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)	პივოვარნა (სლოვენია)
ცსკა (რუსეთი)	მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)
ბარსელონა (ესპანეთი)	ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
პაოკ (საბერძნეთი)	ვარეზე (იტალია)
ბენეტონი (იტალია)	ვილერბანი (საფრანგეთი)
B ჯგუფი	**D ჯგუფი**
ჟალგირისი (ლიტვა)	კახა სან ფერნანდო (ესპანეთი)
ოლიმპია (სლოვენია)	ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)
ალბა (გერმანია)	ციბონა (ხორვატია)
თოფაში (თურქეთი)	ტიმსისტემი (იტალია)
რეალი (ესპანეთი)	პო ორტეზი (საფრანგეთი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	ეფესი (თურქეთი)

პირველი ჯგუფური ეტაპის მატჩები 23 სექტემბრიდან 16 დეკემბრამდე გაიმართება

კორიდა მთიებში

REUTERS გეტაფოტოდან

ალბერტ კოსტა

გეტაადი. შვეიცარიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 550 ათასი $

მეოთხედფინალი: ფელიქს მანტია (5, ესპანეთი) — **არნო დი პასკალი** (საფრანგეთი) **3:6, 6:3, 6:4; იუნეს ელ აინაუი** (მაროკო) — **ფრანსისკო კლავეტი** (6, ესპანეთი) **7:6 (7:5), 7:5; ალბერტ კოსტა** (8, ესპანეთი) — **ვინს სპედეა** (აშშ) **6:3, 6:2; ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — **ანდრეა გაუდენცი** (იტალია) **7:5, 6:3**

ნახევარფინალი: ლაპენტი — **მანტია 6:4, 4:6, 7:5; კოსტა** — **აინაუი 4:6, 7:6 (7:5), 6:3**

ფინალი: კოსტა — **ლაპენტი 7:6 (7:4), 6:3, 6:4**

შვეიცარიულ გეტაადს 90-იანებში პასპორტის შეცვლა ნამდვილად მოუხდებოდა — აქაურ პრესტიჟულ ტურნირს, 1995-ში ევგენი კაფელნიკოვის გამოკლებით, უკლებლივ ესპანელები იგებენ და ფინალშიც თითქმის ყოველთვის მხოლოდ ისინი გადიან. გამონაკლისი არც წლეულს ყოფილა...

შაბათს კი ორივე ნახევარფინალმა დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა.

ჯერ მერვედ განთესილი და 1996-ის გამარჯვებული ალბერტ კოსტა გადაურჩა მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე მარცხს და ასანთისღერფეხება „ჩელენჯერების“ მეფეს — იუნეს ელ აინაუის.

მეორე ნახევარფინალამდე ორგანიზატორებმა უცნაური შესვენება მოაწყეს: მორიგი მატჩის დაწყებას ხელს არაფერი უშლიდა, ამათ კი კორტზე ბადე მოხსნეს და თაკარა სიცხეში ხალხი ნახევარი საათით უაზროდ ალოდინეს.

სანამ „ევროსპორტის“ კომენტატორები ფრჩხილებს იკვნეტდნენ, გულში მასპინძლებს აგინებდნენ და გერმანულ პუნქტუალობაზე ოცნებობდნენ, მიზეზიც გაირკვა: კორტზე ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე პარაშუტისტი დაეშვა, რომელთაც, წესით და რიგით, მრავალფეროვნება და ხალისი უნდა შეემატებინათ პირველობისთვის.

თუმცა ამ უაზრო წამოწყებაზე გაცილებით სასიამოვნო, განსაკუთრებით ადგილობრივი მანდილოსნებისთვის, ფინალში 22 წლის შავგრემანი ნიკოლას ლაპენტის, იმავე „მაუგლის“ გასვლა გამოდგა, რომელიც ამ ბოლო ხანებში შებერებულ ანდრე აგასისა და პატრიკ რაფტერს ჩოგბურთის სექს-სიმბოლოს სტატუსში ეცილება.

ლაპენტის კარიერაში ოთხი ფინალიდან სამი 2800 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ბოგოტაზე მოდის, გეტაადიც მთიანი კურორტი გახლავთ და ამ წარმატებებს ახსნაც მოეძებნება: „მე კიტოში გავიზარდე, რაც აქაურობაზე დაახლოებით ორჯერ მაღლა მდებარეობს და მსგავს პირობებს მიჩვეული ვარ. თავს აქ კომფორტულად ვგრძნობ, რაც ზოგჯერ ძალიან გეხმარება“.

ეკვადორელს მანტიასთან შეხვედრაში მარცხს ცოტა უკლდა, მესამე ხელში 4:5-ს აგებდა, მაგრამ 1997 წლის ჩემპიონს ზედიზედ ორჯერ აართვა მოწოდება და თითქმის ორსაათნახევრიანი ორთაბრძოლა გამარჯვებით დასრულა.

„მაუგლიმ“, რომელიც იანვარში ზღვის დონეზეც საკმაოდ გამოირჩა და მელბურნში ავსტრალიის ღია პირველობაზე ნახევარფინალს უწია, გადამწყვეტი შეხვედრაც კარგად დაიწყო და 3:0 დაწინაურდა. მაგრამ გამოცდილმა ესპანელმა ვალი მალე დაუბრუნა, ანგარიში გაათანაბრა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც კოსტა ოდნავ ზუსტი აღმოჩნდა.

„გადამწყვეტი შეხვედრის პირველი ხელი იყო. ის ნიკოლასს რომ მოეგო, მატჩი შეიძლება სულ სხვაგვარად დასრულებულიყო, მაგრამ მაშინ ვიგრძენი, წარმატება ახლოს იყო“ — აღნიშნა მოგვიანებით კოსტამ.

გადაღლილ ლაპენტის ხუთსეტიანი მარათონის გაძლების თავი რომ არ აღმოაჩნდებოდა, ძნელი მისახვედრი არც იყო და დარჩენილი ორი სეტიც, ფაქტობრივად, ფორმალობად იქცა.

„ბედნიერი ვარ რომ ფინალში გავედი, მაგრამ ამავე დროს იმედგაცრუებული, იქ რომ დავმარცხდი. ყველაფერი ეს ესპანელთა შეთქმულებას ჰგავს: ერთ დღეს მანტიას ვაჯობე, მეორეს კი კოსტა დამიხვდა წინ — გაიხუმრა მოგვიანებით ეკვადორელმა, რომელსაც არც მაშინ დაუმორცხვია, ქალების ფავორიტად ყოფნა როგორიაო, რომ ჰკითხეს — გააჩნია, ამას როგორ გამოიყენებ. ჩემთვის ჯერჯერობით სიამოვნების მეტი არაფერი მოუტანია“.

შეგახსენებთ, რომ მელბურნში ლაპენტის თვით ანა კურნიკოვაც ეკურკურებოდა.

რაც შეეხება კოსტას, ტიტული მისთვის საიუბილეო, მეათე იყო ATP ტურზე, ჯიბის ფულად კი 74 ათასი დოლარი ერგო.



კრის ვუდრაფი

ნიუპორტი. აშშ. „დიდების დარბაზის“ პირველობა. ბალახი. საპრიზო 325 ათასი $

მეოთხედფინალი: ლორენს ტილმანი (იტალია) — **ენდრიუ ილი** (4, ავსტრალია) **7:6 (7:4), 6:4; უიმინ არტურსი** (ავსტრალია) — **ლეანდერ პაესი** (ინდოეთი) **6:7 (7:8), 7:6 (7:3), 6:3; კრის ვუდრაფი** (აშშ) — **სტეფანო პასკოსოლიდი** (იტალია) **6:2, 6:4; კენეტ კარლსენი** (დანია) — **პეტერ ვ�ელსი** (ჰოლანდია) **7:6 (7:4), 7:6 (7:5).**

ნახევარფინალი: ვუდრაფი — **არტურსი 7:6 (7:4), 6:7, (5:7), 6:4; კარლსენი** — **ტილმანი 7:6 (8:6), 6:1**

ფინალი: ვუდრაფი — **კარლსენი 6:7 (5:7), 6:4, 6:4**

კრის ვუდრაფი უეჭველად მოხვდება ჩოგბურთის რეკორდთა წიგნებში.

26 წლის ამერიკელი სეზონის დასაწყისში კლასიფიკაციაში 1599-ე იყო. მაგრამ ამ ექვსი თვის მანძილზე თითქმის წარმოუდგენელი — 1500 საფეხურით წაიწია წინ და კვირას კარიერის მეორე ტიტულიც მიითვალა.

საუკეთესოთა ნუსხაში ამგვარად ჩამორჩენის მიზეზი ერთ დროს მესამე ათეულში შემავალი ამერიკელისთვის ფრიად პროზაული გახლავთ — 1997 დეკემბერში კოლეგებთან ერთად იგი ამერიკულ ფეხბურთს თამაშობდა, როდესაც ოვალური ბურთის ნაცვლად მიწას ჰკრა მთელი ძალით ფეხი და ისეთი ტრავმა მიიღო, მთელ მომდევნო სეზონში ერთადერთი მატჩის გამართვა მოახერხა, სადაც ტრავმა კიდევ უფრო გაიმიზეზა.

„აქ ყოველგვარი მოლოდინის გარეშე ჩამოვედი, ასე რომ, მოგება ჩემთვისაც სიურპრიზი გამოდგა. იმედი მაქვს, ეს სასიამოვნო გრძნობა მთელი დარჩენილი სეზონის მანძილზე გამყვება“ — აღნიშნა პრესკონფერენციაზე ვუდრაფმა.

ამერიკელი, რომელიც ადრე რკინის ნერვებით გამოირჩეოდა და 1997-ში მონრეალში მერსედეს სუპერ-9-ის სერიის ტურნირის მოგებისას თითქმის ყველაზე ფავორიტი პირადად დაამარცხა, ფინალის მესამე ხელში 5:1-ით დაწინაურდა, სანამ აღელვებისგან ხელი აუკანკალდებოდა და მეტოქეს ლამის ანგარიშის გათანაბრებას დაანებებდა.

თუმცა სამართალმა პური მაინც ჭამა.

ბასტადი. შვედეთის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 350 ათასი $

მეოთხედფინალი: კრისტიან რუუდი (5, ნორვეგია) — **მარტინ როდრიგესი** (არგენტინა) **7:6 (7:3), 6:2; ხუან ანტონიო მარინი** (კოსტა რიკა) — **მაგნუს ნორმანი** (6, შვედეთი) **2:6, 6:1, 7:6 (7:4); ანდრეას ვინსიგერა** (შვედეთი) — **გალო ბლანკო** (ესპანეთი) **6:1** — **ტრავმა; ნიკლას კულტი** (შვედეთი) — **გერმან პუენტესი** (ესპანეთი) **2:6, 7:5, 6:4;**

ნახევარფინალი: ვინსიგერა — **რუუდი 6:3, 6:3; მარინი** — **კულტი 2:6, 7:6 (11:9), 6:4**

ფინალი: მარინი — **ვინსიგერა 6:3, 7:6 (7:4)**

17-19 წლის პერსპექტიულ ჩოგბურთელთა რიგებს, რომელთაც ლეტონ ჰიუიტი და მარტ საფინი ფლაგმანობენ, გასული სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო იუნიორი ანდრეას ვინსიგერაც შეუერთდა.

ბასტადში გასულ კვირაში ვინსიგერამ ATP ტურზე პირველი მატჩი მოიგო, მაგრამ ამაზე არ შეჩერებულა, ფინალამდე ისე გააღწია, სეტიც არ წაუგია და გამოცდილი ხუან ანტონიო მარინის ქებაც დაიმსახურა: „ეს ანდრეასის კვირა იყო, 18 წლის ჩოგბურთელებს ხომ ჩვეულებრივ ძალა არ ყოფნით, რომ საუკეთესო ასეულელებს ავჯობონ. მან ყველას უჩვენა, რომ თამაში იცის და კლასიფიკაციაში წინ ერთობ სწრაფადაც წაიწევს“.

ავთანდილ სვანიძე

იქ, სადაც ასფალტი თავდება

პატარაა, მაგრამ ღრღნა იცის ოხერმა

ეს ამბავი, რომელსაც თავისი პრეისტორიაც აქვს, ალბათ, ასეც უნდა დასრულებულიყო. დასრულებულიყო იქ, სადაც ასფალტი თავდება და ზოგისთვის შამპანურით წუწაობა იწყება, ზოგისთვის გზის მოხრეშილი ზოლი ძველი საბურავების კედლითა და გადამტვრეული ძვლებით.

პრეისტორია კი ასეთი იყო:

მას შემდეგ, რაც ავსტრალიის დიდ პრიზზე ცხოვრებაში თავისი პირველი რბოლა მოიგო, ფერარის №2 პილოტს ედი ირვინს, როგორც ჩანს, განდიდების ჭია შეუჭნდა. ჭია, რისიც უნდა იყოს, ნორმალური ადამიანისთვის საშიში არ არის, მაგრამ წაყრუებასაც კარგი არაფერი მოაქვს — პატარა კია, მაგრამ ღრღნა იცის ოხერმა. გამოვლრნის, გამოჭამს, დაგაწვრილმანებს და დაგაპატარავებს.

გუნდში მოსვლის დღიდან ირვინს კონტრაქტში შავით-თეთრზე უწერია: რბოლის დროს ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი №1 პილოტს გამარჯვებაში. ეკრძალება გადასწრება. ფერარიში მოხვედრა არც ისე იოლია და თავის დროზე ირვინმაც სიამოვნებით მოაწერა ხელი ზემოხსენებულ კონტრაქტს. ფერარის ნომერ პირველი კი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი იყო.

ყველაფერი კარგად მიდიოდა მანამდე, სანამ ირვინმა ზემოხსენებული ავსტრალიის დიდი პრიზი არ მოიგო. სხვათა შორის, იმ რბოლაში მანქანების გაუმართაობის გამო ფინიშამდე ვერ მივიდნენ გამარჯვების მთავარი კანდიდატები ჰაკინენი და შუმახერი.

ჯერ მოკრძალებულად გაისმა წუწუნი იმის თაობაზე, რომ მისი, როგორც მრბოლის უფლებები შეზღუდულია. წუწუნი თანდათან პრეტენზიებში გადაიზარდა: ისეთივე პირობები და ისეთივე უფლებები, როგორიც პირველ პილოტს აქვს, უკიდურეს შემთხვევაში, ერთ-ერთი მაინც. პრეტენზიებმა პრესაშიც გაჟონა. გუნდში მდგომარეობა დაიძაბა. ბუნებრივია, აქეთ-იქიდან სხვადასხვაგვარი განცხადებებით (ირვინი რბოლიდან რბოლამდე სულ უფრო სწრაფი ხდება და ამის მაგვარები) ხელს უწყობენ დაძაბულობის კიდევ უფრო გაღრმავებას. ყოველთვის მშვიდი, ყოველ შემთხვევაში, თავშეკავებული შუმახერი ვალში არ რჩება. ირვინი რომ ჩემზე სწრაფი იყოს, ყველაფერი გასაგები იქნებოდა ჩემთვის, ჩემნაირი სწრაფი რომ იყოს, მაშინაც შეიძლებოდა რაღაც უფლებებზე საუბარი, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე ასე არ არისო.

და მაინც, ყველაზე ცუდი ამ სიტყვიერ კეჭნაობაში ის იყო, რომ უთანხმოებამ და რაღაცის დამტკიცებისა თუ სხვისთვის დანახვების სურვილმა უშუალოდ რბოლებში გადაინაცვლა.

კანადის დიდ პრიზზე, მას შემდეგ, რაც შუმახერმა კედელს შეამსხვრია მანქანა, ირვინმა ისე აიწყვიტა, თითქოს ამ და მხოლოდ ამ რბოლაში წყდებოდა მისი ყოფნა-არყოფნის ბედი. აი, შემხედეთ, ბორკილახსნილი რა მაგარი ვარო. დაახლოებით იგივე განმეორდა საფრანგეთში მანი კურის ტრასაზე. ლიდერობა უკვე დაკარგული ჰქონდა და შუმახერის ბოლიდირის ვაი-ვაგლახით მიიწევდა ფინიშისკენ. რბოლის დასრულებამდე რამდენიმე წრით ადრე უმცროსმა ძმამ რალფმაც გადაასწრო. რალფის შემდეგ თავისი პარტნიორის გადასწრება ირვინმაც სცადა, ყოველ შემთხვევაში, დემონსტრაციულად დააპირა ამის გაკეთება — აი, კიდევ შემხედეთ და დარწმუნდით, როგორრ სწრაფი ვარო.

ერთი სიტყვით, ირვინს მთელი ეს ფოკუსები იმისთვის სჭირდებოდა, რომ ეთქვათ: იმას, რასაც შუმახერი ახერხებს, ესე იგი, დროდადრო ამარცხებს მაკლარენულ დუეტს, ირვინსაც ხელეწიფება და შესაძლოა, უკეთაც.

ქალა შეგწევდეს ქადილისა

სილვერსტოუნში შაბათის კვალიფიკაცია ჩვეულებრივად დასრულდა — ჰაკინენმა მეექვსედ მოიგო პოული, მიხაელ შუმახერი მეორე იყო. მესამე პოზიცია კულჰარდს ხვდა, მეოთხე — ირვინს. კვირას სტარტზე ბოლიდები შაბათს ნაჩვენები შედეგების მიხედვით განლაგდნენ. ჰაკინენსა და შუმახერს ზურგსუკან თანაგუნდელები კულჰარდი და ირვინი, ესე იგი, საიმედო დაცვა ჰყავდათ. ასე დაწვრილებით იმიტომ აღვწერ სასტარტო ამბებს, რომ საავტომობილო რბოლებიდან ძალზე შორს მდგომმა მკითხველმაც კი გაიგოს შუმახერისა და თუნდაც ჰაკინენის, გუნდის პირველი ნომრების ფსიქოლოგიური მდგომარეობა. როცა ზურგს უკან, მეორე რიგში შენიანია, არათუ მისგან, მესამე რიგში მდგომი მანქანებისგანაუ კი ძნელად უნდა ელოდე თავდასხმას — მეორე ნომრების მოვალეობა ხომ უწინარეს ყოვლისა თავზეხელაღებული პილოტებისგან ლიდერების დაცვაა. აქ გავბედავ და კიდევ ერთხელ „დავწვრილმანდები“: ფორმულა 1-ში ავარიების მეტი წილი სტარტის შემდეგ პირველივე მოსახვევზე მოდის. და კიდევ: იმ ორ ათეულ პილოტს შორის ყოველთვის მოიძებნება რამდენიმე, რომლებსაც კვალიფიკაციაზე ნაჩვენები ცუდი შედეგის გამოსწორება რბოლის სტარტზევე სურთ. ამიტომ არის საჭირო სიფრთხილე სწორედ სტარტზე. ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი მეორე პილოტების გონიერი და თავდადებული მოქმედება, რაც, ერთხელაც ვიტყვი, ლიდერებისთვის უსაფრთხო ზურგის შექმნაში გამოიხატება.

აინთო თუ არა სასტარტო მწვანე შუქი, ჰაკინენმა ბლაგვი კუთხით დაუხვია პირველი ვირაჟისკენ (ეს კვალიფიკაციის მომგების პრივილეგიაა), კულჰარდმაც დაახლოებით იგივე გაიმეორა. შუმახერი ხაფანგში აღმოჩნდა — წინ ჰაკინენი, მარცხნივ კულჰარდი. ირვინს თავისუფალი არჩევანი ჰქონდა და, ბუნებრივია, მოსახვევში შესვლის იოლი ვარიანტი არჩია — ჰაკინენისა და კულჰარდის ტრაექტორია გაიმეორა. უხეირო სტარტის მიუხედავად რბოლის დასაწყისშივე მაკლარენის კუდებით გაკეთილშობილებული პეზაჟი შუმახერისთვის დიდი მოულოდნელობა არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმას, რაც შემდეგ მოხდა, მსოფლიოს ჩემპიონი ალბათ არ ელოდა. ირვინმა სიტუაციით ისარგებლა და თანაგუნდელს გადაასწრო. ყველაფერ იმის გათვალისწინებით, რაც სილვერსტოუნის რბოლამდე მოხდა, ამ „მანევრს“ არ შეიძლება შუმახერის განერვიულება არ გამოეწვია. ალბათ ამის მიზეზი იყო ის გაუმართლებელი რისკიც. მსოფლიოს ჩემპიონმა მაშინვე, პირველივე სწორზე გადაწვიტა სტატუს კვოს აღდგენა, ჯერ გაუსწორდა, მერე კი ირვინზე ადრეც შევიდა მოსახვევში, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთობ მახვილი კუთხითა და დიდი სიჩქარით, რაც სამუხრუჭე სისტემის მოშლისა და საშინელი ავარიის მიზეზად იქცა.

შუმახერისთვის სილვერსტოუნის იმ მოსახვევში დასრულდა ასფალტი, რომლის შემდეგ მოხრეშილი ზოლი და ძველი საბურავების კედელია...

ეპილოგის მაგივრად

ბრიტანეთის დიდ პრიზზე რბოლას განმეორებით მისცეს სტარტი. პირველ რიგში, იქ სადაც ნახევარი საათის წინ შუმახერის წითელი ფერარი იდგა, ცარიელი ადგილი იყო. პელოტონმა მშვიდობიანად აიღო სტარტი და მშვიდობიანადვე დასრულა რბოლა, თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჰაკინენს მანქანამ უმუხთლა და ნაადრევად მოუწია ბოქსებში შესვლამ.

ირვინმა, ხელშეკრულების ტყვეობიდან გათავისუფლებისა და ორი მსოფლიოს ჩემპიონის არყოფნის მიუხედავად ვერაფერი გააწყო კულჰარდთან და მეორე ადგილს დასჯერდა.

ცუდია, ჭია რომ შეუჩნდება კაცს. რისიც უნდა იყოს...

ირაკლი ბერიაშვილი

REUTERS ლონდონიდან

არც ჰაკინენი, არც შუმი... ედი ირვინი, დევიდ კულჰარდი და რალფ შუმახერი

რბოლის შემდეგ ბრიტანეთის დიდ პრიზზე

ადგილი ლიდერი
სასტარტო — 60 წრე / 307,236 კმ

1. *კულჰარდი* (მაკლარენი) 1:32.30,144 (199,970 კმ/სთ)	10	ქულა
2. *ირვინი* (ფერარი) ჩამორჩა 1,829 წმ	6	ქულა
3. *რ. შუმახერი* (უილიამსი) 27,411	4	ქულა
4. *ფრენცენი* (ჯორდანი) 27,789	3	ქულა
5. *ჰილი* (ჯორდანი) 38,606	2	ქულა
6. *დინიცი* (ზაუბერი) 53,643	1	ქულა
7. *ფიზიკელა* (ბენეტონი) 54,614		
8. *ბარიკელო* (სტიუარტი) 1.8,590		
9. *ტრული* (პროსტი) 1.12,045		
10. *ვურცი* (ბენეტონი) 1.12,123		
11. *ძანარდი* (უილიამსი) 1.17,124		
12. *ჰერბერტი* (სტიუარტი) 1.17,709		
13. *პანი* (პროსტი) 1.20,492		
14. *ალეზი* (ზაუბერი) 1 წრით		
15. *ფენე* (მინარდი) 2 წრით		
16. *ტაკაჯი* (ეროუსი) 2 წრით		

საუკეთესო წრე

ჰაკინენი (1.28,309)

ლიდერები

1-24 წრე	*ჰაკინენი*
25-26	*ირვინი*
27-42	*კულჰარდი*
43-44	*ფრენცენი*
45	*ჰილი*
46-60	*კულჰარდი*

რბოლას გამოეთიშნენ

ზონტა (BAR)	გაიარა 41 წრე
ჰაკინენი (მაკლარენი)	35
ვილნევი (BAR)	29
ბადოერი (მინარდი)	6
დე ლა როსა (ეროუსი)	0
მ. შუმახერი (ფერარი)	0

განლაგება სტარტზე

21 ჟენე 1.28,772 მინარდი
20 ბალდერი 1.28,695 მინარდი
14 დე ლა როსა 1.28,148 ეროუსი
15 ტაკაჯი 1.28,037 ეროუსი
10 ვურცი 1.28,010 ბენეტონი
9 ფიზიკელა 1.27,857 ბენეტონი
23 ზონტა 1.27,699 BAR
18 პანი 1.27,543 პროსტი
19 ტრული 1.27,227 პროსტი
5 ძანარდი 1.27,223 უილიამსი
12 დინიცი 1.27,196 ზაუბერი
17 ჰერბერტი 1.26,873 სტიუარტი
11 ალეზი 1.26,761 ზაუბერი
22 ვილნევი 1.26,719 BAR
6 რ.შუმახერი 1.26,438 უილიამსი
16 ბარიკელო 1.26,194 სტიუარტი
7 ჰილი 1.26,099 ჯორდანი
8 ფრენცენი 1.25,991 ჯორდანი
4 ირვინი 1.25,677 ფერარი
2 კულჰარდი 1.25,634 მაკლარენი
3 მ.შუმახერი 1.25,223 ფერარი
1 ჰაკინენი 1.24,804 მაკლარენი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP	ავსტრალია 7 მარტი	ბრაზილია 11 აპრილი	სან მარინო 2 მაისი	მონაკო 16 მაისი	ესპანეთი 30 მაისი	კანადა 13 ივნისი	საფრანგეთი 27 ივნისი	დიდი ბრიტანეთი 11 ივლისი	ავსტრია 25 ივლისი	გერმანია 1 აგვისტო	უნგრეთი 15 აგვისტო	ბელგია 29 აგვისტო	იტალია 12 სექტემბერი	ევროპის დიდი პრიზი 26 სექტემბერი	მალაიზია 17 ოქტომბერი	იაპონია 31 ოქტომბერი	ჯამი
1 **ჰაკინენი** (ფინეთი) მაკლარენ მერსედესი	–	10	–	4	10	10	6	–									40
2 **მ.შუმახერი** (გერმანია) ფერარი	–	6	10	10	4	–	2	–									32
3 **ირვინი** (ირლანდია) ფერარი	10	2	–	6	3	4	1	6									32
4 **ფრენცენი** (გერმანია) ჯორდან მუგენ ჰონდა	6	4	–	3	–	–	10	3									26
5 **კულჰარდი** (ბრიტანეთი) მაკლარენ მერსედესი	–	–	6	–	6	–	–	10									22
6 **რ.შუმახერი** (გერმანია) უილიამს სუპერტეკი	4	3	–	–	2	3	3	4									19
7 **ფიზიკელა** (იტალია) ბენეტონ სუპერტეკი	3	–	2	2	–	6	–	–									13
8 **ბარიკელო** (ბრაზილია) სტიუარტ ფორდი	2	–	4	–	–	–	4	–									10
9 **ჰილი** (ბრიტანეთი) ჯორდან მუგენ ჰონდა	–	–	3	–	–	–	–	2									5
10 **ჰერბერტი** (ბრიტანეთი) სტიუარტ ფორდი	–	–	–	–	–	2	–	–									2
11 **დინიცი** (ბრაზილია) ზაუბერი	–	–	–	–	–	2	–	1									2
პანი (პროსტი), დე ლა როსა (ეროუსი), ალეზი (ზაუბერი), ვურცი (ბენეტონი) და ტრული (პროსტი) — 1 ქულა																	
1 **ფერარი**	10	8	10	16	7	4	3	6									64
2 **მაკლარენ მერსედესი**	–	10	6	4	16	10	6	10									62
3 **ჯორდან-მუგენ-ჰონდა**	6	4	3	3	–	–	10	5									31
4 **უილიამს სუპერტეკი**	4	3	–	–	2	3	3	4									19
5 **ბენეტონი**	3	–	2	3	–	6	–	–									14
სტიუარტი — 12; ზაუბერი — 3; პროსტი — 2; ეროუსი — 1																	

შუმი დაიმტვრა

ფერარი კი მის შემცვლელს ეძებს

REUTERS ლონდონიდან

ასე უიღბლოდ, სასწრაფოდ საექიმომ დაასრულა მიხაელ შუმახერმა სილვერსტოუნზე რბოლა

სილვერსტოუნის პირველსავე წრეზე „ფერარის“ ლიდერ მიხაელ შუმახერს უკანა მუხრუჭებმა უმტყუნეს. მართვადაკარგულმა ალისფერმა ბოლიდმა განივად გადაჰკვეთა ტრასა და კედლის წინა საბურავების დამცავ ღობეს შეასკდა:

შუმახერმა თავიდან არც იცოდა, რა მძიმედ დაშავდა — მთელი მსოფლიო ხედავდა, როგორ ცდილობდა მრბოლი ბოლიდიდან ამოსვლას.

ავარიის შედეგი: ორ ადგილას მოტეხილი მარჯვენა ფეხი.

იძულებითი შვებულება: ექვსი-რვა კვირა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ფერარის“ გუნდი ბელგიის, ან იტალიის გრან-პრიმდე ლიდერის გარეშე იბრძოლებს. არადა, თავიდან არავის ეგონა, რომ შუმი ამდენი ხნით გამოაკლდებოდა „ფერარის“. მისმა თანაგუნდელშა ედი ირვინმა, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა კვირის რბოლაში, სახელდახელო პრესკონფერენციაზე ისიც კი განაცხადა, რომ მიხაელი შემდეგი გრან-პრისთვის მწყობრში იქნებოდა. შემდეგ ირვინმა მოიბოდიშა, რადგან ყველამ გაიგო, რომ შუმახერი მაგიდაზე წევს ნორსჰემპტონის ჰოსპიტალში და ოპერაციას უკეთებენ.

მოგვიანებით, შუმახერის მდივანმა ჰეინ ბუჩინგერმა განაცხადა, რომ ერთსაათიანმა დასტაქრობამ წარმატებით ჩაიარა და ახლა მიხაელი ისვენებსო.

შუმახერმა ერთი ღამე გაატარა ნორსჰემპტონში და გუშინვე პარიზს, საგანგებო კლინიკაში გადააფრინეს, სადაც მავანი განთქმული ექსპერტ-ორთოპედი უმკურნალებს იმგვარი ხერხით, რომ მოტეხილობამ აღარასდროს შეახსენოს თავი. ჯერჯერობით კი, შუმახერს ფეხში პლატინის ფირფიტა ჩაუდგეს.

ძალიან მალე, „ფერარი“ გამოაცხადებს, თუ ვინ დაიჭერს ლიდერის ადგილს გუნდში. ეს დროებითი ზომაა, მაგრამ „ფერარის“ უცილობლად სჭირდება ამბიციური ლიდერი ამისკენ. ლუკა დე მონტეზემოლოს უკვე [illegible] პარაკება პიტერ ზაუბერთან, „ფერარის“ [illegible] ალეზის დროებით გადმოყვანის შესახებ.

ამ ამბის ფონზე მაინც ისმის ედი ირვინის სახელი, რომელიც ლიდერი არასოდეს ყოფილა, მაგრამ „ფერარიში“ მეორე ნომერია.

თავად ირვინი შეფარულ აზრებს გამოსთქვამს თავისი გალიდერების თაობაზე. ის თვლის, რომ ბევრად უკეთ რბოლობს, როცა ლიდერობას ანდობენ ხოლმე, ტრასაზე შუმის ყოფნის დროს კი თუმცა ასრულებს თავის ფუნქციებს, მაგრამ მაინც უფრო შებორკილი და უკანდახეულია.

ირვინი „ფანტასტიკურ შეგრძნებას“ უწოდებს სილვერსტოუნზე პირველობისთვის ბრძოლას და ამით ირიბად მიანიშნებს „ფერარის“ უფროსობას, დროებითი ლიდერი განზე საძებნელი არ არისო.

ნებისმიერ შემთხვევაში, შუმახერის მიერ გამოტოვებულ ოთხ-ხუთ, უკიდურეს შემთხვევაში ექვს რბოლას ირვინი თავის სასარგებლოდ გამოიყენებს და როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ეგებ ტრასაზე დაბრუნებულ შუმახერს მოუხდეს ირვინის დახმარება და არა ირვინს შუმახერისა.

თუმცა, რა მოხდება, ჯერ ხეირიანად არავინ იცის. ცნობილია მხოლოდ ერთი — ამ თვენახევარში ლიდერ მიკა ჰაკინენს ახალი მდევარი ეყოლება.

ირაკლი გამყრელიძე

დატუქსულები და დამტუქსავები

ჯარისკაცებმა მეთაური გააბრაზეს, რკინიგზელი კი შემადგენლობიდან მოხსნეს

ჯასტინ მარშალის (ბურთით) მესამე ლელომ „ქურციკები“ არნახულად შეარცხვინა

მეთორმეტეტური
თბილისი. 10 ივლისი

ასკ 5:17 (0:7) ლოკომოტივი 1

ასკ: ზ. მაისურაძე (ავალიშვილი), გ. მაისურაძე, შენგელია, უჩავა (ქავთარაძე), მათიაშვილი, სვანიძე (ჭელიძე), გაფრინდაშვილი, მინაშვილი, აბუსერიძე, კიკნაძე, კოდუა (ქათამაძე), მალრაძე, კაპანაძე, ზაქარიაძე, ურჯუკაშვილი
1ლ — შენგელია
ლოკომოტივი 1: მაჭუტაძე, ჯიბლაძე, კერესელიძე, ჩადუნელი, ჩიქოვანი, აბრამიშვილი, ჯაველიძე (უდესიანი, ჯილაური), ცხომელიძე, ბერიძე, ხუნწარია, ჩაჩუა, სუთიაშვილი, გუგავა, ხინჩაგაშვილი, კოტრიკაძე
1ლ — ჯიბლაძე
1ა — ჩაჩუა
ზორდა: ჭელიძე, ბესიაშვილი, გოლიაძე, ხოჭოლავა, ბურდული, დიდებულიძე, ზედგენიძე, დ. ხაბეიშვილი (ჯაფარაშვილი), ალანია, გამყრელიძე, მაისურაძე, აბაშიძე, სორდია, პარასკევაშვილი, გ. ხაბეიშვილი
7ლ — დ. ხაბეიშვილი, სორდია, დიდებულიძე, აბაშიძე (2), პარასკევაშვილი, მაისურაძე
4გ — აბაშიძე (4)
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

ამ გუნდების წინა კვირას გამართული შეხვედრისგან განსხვავებით, არმიელებმა ამჯერად ვერ მოახერხეს პრემიალური ქულის მოპოვება, თუმცაღა ვერც რკინიგზელებმა შეძლეს მატჩის სოლიდური სხვაობით მოგება. მთავარი, რა თქმა უნდა, ეს არ არის. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ „ლოკომოტივმა“ გაიმარჯვა და პრემიალური ქულაც მიითვალა სამი ლელოს გატანით. ასკ-მ კი ძირითადი ამოცანა ვერ შეასრულა — ვერ გაიტანა სამი ლელო და ვერც, შესაბამისად, პრემიალური ქულა გაახერხა, თუმცა ამის შანსი ნამდვილად ჰქონდა.

არმიელებთან საპაექროდ რკინიგზელები შესუსტებული შემადგენლობით წარდგნენ. ამიტომაც იყო, რომ გუნდის ხელმძღვანელობა ამ შეხვედრაში მოთამაშეებისგან ბევრს არ ითხოვდა — გამარჯვებას და მინიმუმ სამი ლელოს გატანას. მავანი იფიქრებს, მეტი რაღა უნდა მოეთხოვათო, მაგრამ სადღეისოდ „ლოკომოტივი 1“ ისეთ თამაშს აჩვენებს, ნებისმიერი მიზნის მიღწევა ძალუძს. ისევ ამ მატჩს დავუბრუნდეთ. პირველ ტაიმში მხოლოდ ერთი ლელო გავიდა, არადა, ორივე გუნდს შეეძლო, ორ-ორი მაინც გაეტანა. თუ ლოკომოტიველებმა თავად შესცოდეს, ასკ-ს ერთხელ მსაჯმაც შეუშალა ხელი. საქმე ისაა, რომ გვერდითმა არბიტრმა ერთ-ერთი რკინიგზელის მიერ ბურთით წინ თამაში დაფიქსირა, მაგრამ ალამი ცოტა უცნაურად აიფრიალა და მთავარმაც „აუტის“, დაუსტვინა, არადა, არმიელი ეულად იყო დარჩენილი მეტოქის სალელოე მოედნის სიახლოვეს და წარმატების მიღწევაში ხელს ვერავინ შეუშლიდა. ლოკომოტიველთა ერთ-ერთი ლელო კი ანდღულაძის ანგარიშზეა, რომელიც მეორე ტაიმის დასაწყისში რკინიგზელთათვის პრემიალური ქულის მომტანმა გუგავამ შეცვალა. ამის მერეღა მოახერხა მასპინძელმა შენგელიამ გუნდის ერთადერთი ლელოს გატანა. მაგრამ შანსი, ისევე, როგორც პირველ ტაიმში, არმიელებს მრავლად ჰქონდათ, მაგრამ შეტევის დაგვირგვინებისას სცოდავდნენ, რითაც მწვრთნელის, მეტი რომ არ ვთქვათ, გულისწყრომა დაიმსახურეს.

პაატა თოთაძე

მეთორმეტეტური
თბილისი. 11 ივლისი

ლოკომოტივი 2 8:43 (3:17) ზორდა

ლოკომოტივი 2: ჯილაური, გომიაშვილი (კერესელიძე), ჭელიძე, მამაიაშვილი, მალალთაძე, ჯიბლაძე, აფაქიძე, ცხომელიძე, ბერიძე, ხუნწარია, ჩაჩუა, სუთიაშვილი, გუგავა, ხინჩაგაშვილი, კოტრიკაძე
1ლ — ჯიბლაძე
1ა — ჩაჩუა
ზორდა: ჭელიძე, ბესიაშვილი, გოლიაძე, ხოჭოლავა, ბურდული, დიდებულიძე, ზედგენიძე, დ. ხაბეიშვილი (ჯაფარაშვილი), ალანია, გამყრელიძე, მაისურაძე, აბაშიძე, სორდია, პარასკევაშვილი, გ. ხაბეიშვილი
7ლ — დ. ხაბეიშვილი, სორდია, დიდებულიძე, აბაშიძე (2), პარასკევაშვილი, მაისურაძე
4გ — აბაშიძე (4)
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

ამ მატჩში „ზორდას“ გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მათ პლეი ოფში მოსახვედრად პრემიალური ქულაც ჰაერივით სჭირდებოდათ: თუმცა არც უმცროსი რკინიგზელები აპირებდნენ უბრძოლველად დათმობას. ტაიმი ხეირიანად დაწყებული არც იყო, როდესაც ჩაჩუამ ჩინებული ალეკნი თავისი გუნდი დაწინაურა. „ლოკომოტივმა“ ლიდერობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა — დავით ხაბეიშვილმა მეტოქეს ლელოთი უპასუხა. „ზორდამ“ გადაწყვიტა, პირველ ტაიმშივე მოეთავებინა საქმე. მოუსვენარმა სორდიამ ლელოების რაოდენობა გაორმაგა, ხოლო დიდებულიძემ კი სულაც პრემიალური ქულა მოაპოვებინა თავის გუნდს. რკინიგზელები ცდილობდნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ხომ გაგიგიათ, ძალა აღმართს ხნავსო. მათზე მაღალი კლასის, გამოცდილი მეტოქე უკეთესად და, რაც მთავარია, შედეგიანად თამაშობდა.

მეორე ტაიმში „ლოკომოტივი 2“ გააქტიურდა. ერთ ეპიზოდში ჩაჩუა მეტოქის მცველებს დაუსხლტდა, მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედანში გადაკოტრიალდა და თითქოს ლელოც გაიტანა. თუმც მატჩის მთავარი მსაჯი ნოდარ რობიტაშვილი ასე არ ფიქრობდა. ამ ეპიზოდს ჩაჩუასა და მსაჯს შორის არცთუ სასიამოვნო საუბარი მოჰყვა. კამათი საბოლოოდ მობურთალის მოედნიდან გაძევებით დასრულდა. კაცნაკლულმა „ლოკომოტივმა 2“-მა, ცხადია, ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მეტოქეს — „ზორდამაც“ გაილადა და ოთხი ლელოც გაიტანა. მატჩის ბოლო წუთებზე რკინიგზელთა შერკინებამ მშვენივრად ითამაშა. მათ ჯგუფურად შეუტიეს მეტოქეს და ჯიბლძემაც სანუგეშო ლელო გაიტანა. მერე საინტერესო არაფერი მომხდარა. „ზორდამ“ მშვიდად მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე.

ბაჩო სვანიძე

მეთორმეტეტური
ბათუმი. 11 ივლისი

დინამო 57:22 (26:10) უნივერსიტეტი

დათვები: 9ლ — გურეშიძე, ძოწენიძე, გოგისვანიძე (2), თედორაძე (2), მაჩიტიძე (2), ხონელიძე; 6, — მაჩიტიძე (4), ე. ძაგნიძე (2)
უნივერსიტეტი 3ლ — ქირიკაშვილი, ალიბეგაშვილი, ბერაშვილი; 2გ და 1ს — ჯავრიშვილი

სადღეისო ვითარება

	თ	მ	ფ	წ	ბ	ლ	პ	ქ
დათვები	11	10	1	0	397:120	58:12	10	31
ლოკომოტივი 1	11	10	1	0	416:131	62:13	8	29
ყოჩები	9	7	0	2	330:112	47:14	7	21
ზორდა	10	5	1	4	227:128	34:15	5	16
ასკ	9	4	1	4	156:202	24:31	6	15
უნივერსიტეტი	10	3	0	7	149:279	22:44	4	9
ლოკომოტივი 2	10	1	0	9	92:371	15:59	2	3
აია	8	1	0	7	49:178	4:29	0	1

„აიას“, „ლოკომოტივი 2“-ს და უნივერსიტეტს დაკლებული აქვთ თითოთითო ქულა

ქურციკებზე ნადირობა

დანიდინი. 10 ივლისი

ახ. ზელანდია — ს. აფრიკა 28:0 (6:0)

ახ. ზელანდია: ჰოიფლი, ოლივერი, მიუსი, მაქსველი, ბრუქი (უილისი), ბლოუერსი (მიკა), კრონფელდი, რენდელი, მარშალი, მერთენსი (ბრაუნი), უმაგა (ლომუ), გიბსონი (კელეჰერი), იერმია, კალენი, ვილსონი
3ლ — კალენი, ვილსონი, მარშალი; 2გ — მერთენსი, ბრაუნი; 3ს — მერთენსი
ს. აფრიკა: დურანი (ლერუ), დროუკე, ვილიაჯი (მეიერი), ენდრიუსი, ოტო (ბუმი), კრაიგი (ვოსი), ვენთერი, ტაიხმენი, ვან ჰოსლინი, დუტუა, როსოუ, მულდერი, მიულერი (ფლეკი), პოულსი, მონტგომერი (ვან სტრაატენი)

შეხვედრის წინ აფრიკელთა კაპიტანი ტაიხმანი თანაგუნდელთ უელსელებთან მარცხის დავიწყებას სთხოვდა, მაგრამ ... მატჩის შემდეგ კაპიტანი უკმაყოფილებას ვერ მალავდა: „უელსთან განცდილმა მარცხმა ბიჭებზე დამთრგუნველად იმოქმედა, მაგრამ წარსულით ცხოვრება განა შეიძლება? ერთ მარცხს ქვეყანა არ დაუცევია. თუ ასე ვითამაშეთ, სჯობს, მსოფლიოს თასზე საერთოდ არ ვიასპარეზოთ. დროა, წარუმატებლობა დავივიწყოთ და საუკეთესო თვისებები გამოვამჟღავნოთ“.

ტურნირის დაწებამდე, რომელიც უდიდესი შეჯიბრია სამხრეთ ნახევარსფეროში, სპეციალისტთა უმეტესობა ფავორიტად ახალ ზელანდიას მიიჩნევდა, თუმც კვთა თავკაცი ჯონ ჰართი ფრთხილობდა და ამას უარობდა. იცოდა, სამხეთ აფრიკა და ავსტრალია რასაც წარმოადგენდნენ და იმიტომ. ტურნირი კია უდიდესი სამხრეთ ნახევარსფეროში, მაგრამ ისე მოხდა, რომ გუნდები მას მსოფლიოს თასის გათამაშებისთვის მოსამზადებლად იყენებენ, გამოცდილთ ასვენებენ და თავის გამოჩენის ახალბედებს აძლევენ. ამიტომაც იყო, რომ „ქურციკებს“ იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი და ჰენრი ჰონიბალი აკლდათ, თუმც აფრიკელთა სუსტ თამაშს ეს არ ამართლებს.

სტუმრები იმ დღეს საკუთარ აჩრდილს ჰგავდნენ. პირველ ნახევარში მათ ასე თუ ისე გაუწიეს წინააღმდეგობა მასპინძლებს, რაც მეორე ტაიმზე სულაც არ ითქმის. შეხვედრის პირველ ნახევარში „ოლ ბლექსი“ მძიმედ და ერთფეროვნად უტევდა სტუმრებსაც იოლად იგერიებდნენ. ორჯერ კი ტაიხმენს საჯარიმო გაუცუდდა. სამგიერად, ზუსტი იყო მასპინძელიტ მერთენსი — 6:0. ტაიმის ბოლოს ბურთს უპირატესად სტუმრები ფლობდნენ, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

მეორე ნახევარში სურათი შეიცვალა. ზელანდიელთა თავკაცის მიერ განხორციელებულმა ტაქტიკურმა გადაადგილებებმა შედეგი გამოიღო — მასპინძლებმა ყველა კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე. ის სამი ლელოც, რომლებიც „ოლ ბლექსმა“ „ქურციკებს“ გაუტანა, ამ უპირატესობის ლოგიკური შედეგი იყო. სანახაობრივად განსაკუთრებით ლამაზი გამოდგა ვეტერან კალენის ლელო, რომელიც მან მოწინააღმდეგესთან ფიზიკურ ჭიდილში გაიტანა. შეხვედრის ბოლოს კი შეცვლაზე შემოსულმა ჯონა ლომუმ მასპინძელთა უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა „ოლ ბლექსის“ მეორე ლელოც, რომელიც ვილსონის ანგარიშზეა, სწორედ მისი დამსახურებაა. ერთ წუთში კი მარშალმა აფრიკელთა განადგურებას წერტილი დაუსვა.

ბაჩო სვანიძე

მ(ხ)ეცურ ეტაპს ჯულიჩი ემსხვერპლა

REUTERS მეციდან

ტურის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხულმა ამერიკელმა ბობი ჯულიჩმა ტური ნეკნებდალეწილმა დაასრულა

„ზედიზედ ოთხი ეტაპის მოგებამ ისეთი გრძნობა მომგვარა, თითქოს მთლიანად შეჯიბრზე გამემარჯვოს“ — თქვა შაბათს მიღწეული წარმატების შემდეგ იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ. 69 წელია, ამ ტურნირზე ზედიზედ ოთხ ეტაპზე არავინ ყოფილა პირველი. 1930 წელს, როცა ეროვნულ გუნდებს ჩაეყარათ საფუძველი, ეს ფრანგმა შარლ პელისიემ მოახერხა.

ახლა „ჩიპომ“ თავისი ქვეყნის, გუნდის და ქომაგების წინაშე ვალი პირნათლად მოიხადა და დამსახურებულ დასვენებაზე ფიქრიც გაივლო გულში. აქამდე კი ამბოდა, სიცოცხლეში ერთხელ მაინც მინდა „ტური“ ბოლომდე დავამთავროო, მაგრამ პარიზში ელისეს მინდვრებზე გამართული სპრინტში პირველობისთვის ბრძოლა მას, ეტყობა დიდად არ აინტერესებს. „გრან ბორნანი — სესტრიერის მთიანი ეტაპის შემდეგ პელოტონს, ალბათ, გამოვაკლდები. ამ რთულ გზას კი იმიტომ გავივლი, რომ ჩემს ტოსკანელ გულშემატკივრებს ვასიმოვნო“ — თქვა „ჩიპომ“. ამ ეტაპზე პელოტონი იტალიის საზღვარს გადაკვეთს და მერე უკან, საფრანგეთში, დაბრუნდება.

კვირას პირველი არასპრინტული, საკმაოდ რთული ეტაპი გაიმართა. ველოსიპედისტები მეცში ინდივიდუალურ რბოლაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ისევე როგორც პროლოგისას, ყველაზე სწრაფად აქაც ამერიკელმა ლანს არმსტრონგმა განვლო დისტანცია და დღეს გასამართ მეცხრე ეტაპის სტარტზე ყვითელ მაისურაში გამოწყობილი გავა.

მან ეტაპი ძალიან ძლიერად დაიწყო და პირველ 50 კილომეტრზე ყველაზე დიდი სიჩქარე განავითარა. ამით მან ყველა კონკურენტი საკმაოდ ჩამოიტოვა და მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს შვეიცარიელმა ალექს ცულემ ოციოდე წამი მოუგო, მაინც არმსტრონგმა გაიმარჯვა.

მეცური ეტაპი ბევრი სპორტსმენისთვის ძნელად გასავლელი გამოდგა — ბევრი მათგანი ჩამოვარდა ველოსიპედიდან. უიღბლობათაგან ამერიკელი ბობი ჯულიჩის წაქცევა უნდა გამოვყოთ. ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ისე დაეცა, რომ რამდენიმე ნეკნი გაიტეხა და შეჯიბრს გამოეთხოვა.

გაიოზ თალაკვაძე

მეშვიდე ეტაპი

ავენს-სურ-ელპი — ტიონვილი, 227 კმ

1. მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო) — 5სთ 26წთ 59წმ
2. სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი)
3. იან კირსიპუუ (ესტონეთი, კაზინო)
4. ჰენკ ვოგელსი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი)
5. იან სვორადა (სლოვაკეთი, ლამპრე)
6. დამიან ნაზონი (საფრანგეთი, ფრანსეზ დე ფო)
7. კრისტოფ კაპელი (საფრანგეთი, ბიგმატი)
8. ჯიმი კასპერი (საფრანგეთი, ფრანსეზ დე ფო)
9. ჯორჯ ჰინკეპი (აშშ, პოსტალი)
10. ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი, კრედი აგრიკოლი) — ყველას იგივე დრო

მერვე ეტაპი

ინდივიდუალური რბოლა, მეცი, 56,5 კმ

1. ლანს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — 1სთ 08წთ 36წმ
2. ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) — +58წმ
3. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) — +2წთ 05წმ
4. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +2წთ 22წმ
5. ტაილერ ჰამილტონი (აშშ, პოსტალი) — +3წთ 31წმ
6. კრის ბორდმენი (დიდი ბრიტანეთი, კრედი აგრიკოლი) — +3წთ 32წმ
7. ალვარო გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +3წთ 41წმ
8. იენს ვოიგტი (გერმანია, კრედი აგრიკოლი) — +3წთ 41წმ
9. სტიუარტ ოგრედი — +3წთ 45წმ
10. ლორან დიუფო (შვეიცარია, საეკო) — +3წთ 56წმ

საერთო ჩათვლა

1. ლანს არმსტრონგი — 33სთ 34წთ 16წმ
2. კრისტოფ მორო — +2წთ 20წმ
3. აბრაამ ოლანო — +2წთ 33წმ
4. სტიუარტ ოგრედი — +3წთ 25წმ
5. ალვარო გალდეანო — +4წთ 10წმ
6. იენს ვოიგტი — +4წთ 10წმ
7. ლორან დიუფო — +4წთ 19წმ
8. ანდრეა პერონი (იტალია, ონსე) — +4წთ 22წმ
9. სანტოს გონსალესი (ესპანეთი, ონსე) — +4წთ 37წმ
10. დანიელე ნარდელო (იტალია, მაპეი) — +4წთ 46წმ



ცოტა ოდენი გეოგრაფია და ისტორია

ავენს-სიურ-ელპი. საფრანგეთის ისტორიის აკვანი აქ დაირწა, იტყვიან ხოლმე ფრანგები. ჰოლანდიის, ბურგუნდიის და საფრანგეთის გზაჯვარედინზე მდებარე ქალაქს დაახლოებით ათასი წლის განმავლობაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პრინცი კონდე, ჰერცოგ გიზთა საგვარეულო და ანრი IV ნავარელის წინაპრების წარმომავლობა სწორედ ამ ქალაქთანაა დაკავშირებული.



ტიონვილი VIII საუკუნეში დაარსდა მეროვინგების, ფრანკთა სახელმწიფოს პირველი სამეფო დინასტიის, ერთ-ერთი ციხე-სიმაგრის გარშემო. ამჟამად მას ლოტარინგიის მთავარი ინდუსტრიული ზონის ცენტრალური ადგილი უჭირავს. საფრანგეთმა იგი 1659 წელს შემოიმტკიცა. მანამდეც და მის მერეც ტიონვილისთვის უამრავჯერ შემოურტყამთ სხვადასხვა ქვეყნების ჯარებს ალყა და მისი კედლებიც მრავალი ბრძოლის მოწმენი გამხდარან.

მეცი ხან საფრანგეთის და ხან გერმანიის შემადგენლობაში მყოფ ელზასთან ერთად ლოტარინგიის დედაქალაქია. ძველად იგი გალური ტომის — მედიომატრიკების დასახლება იყო. რომაელთა ბატონობის დროს კი დამპყრობლებმა იქ ძლიერი სამხედრო ბანაკი მოაწყვეს. IX საუკუნეში ფრანკთა სახელმწიფოს ეკუთვნოდა, XIII-ში კი საიმპერიო ქალაქის სტატუსი მიიღო. 1552 წელს იგი საფრანგეთს შეუერთდა, 1871 წლის ფრანკფურტის საზავო ხელშეკრულებით გერმანიას გადაეცა, ხოლო 1919 წელს ვერსალის საზავო ხელშეკრულებით კი საფრანგეთს დაუბრუნდა. აქ 50-ზე მეტი მშვენიერი ეკლესიაა. თანაც ბევრი სხვა ქალაქისგან განსხვავებით ჟანგბადის ნაკლებობა სულაც არ იგრძნობა — მეცი ხომ მთლიანად მწვანეშია ჩაფლული.

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲔᲑᲘ

1913 ᲬᲔᲚᲘ

გამარჯვებული ფილიპ ტიისი

ამ „ტურის“ დაწყების წინ ველობაზარზე მოქმედ ორ დიდ ფირმას „პეჟოსა“ და „ალსიონს“ ოთხ-ოთხი მოგება ჰქონდათ დაგროვილი. „პეჟო“ 1905-1908 წლებში დომინირებდა შეჯიბრს, მას შემდეგ კი გამარჯვებულები ყოველთვის მისი კონკურენტის ველოსიპედზე ამხედრებული სპორტსმენები ხდებოდნენ. ამჯერადაც სწორედ ამ გუნდების წევრები იყვნენ მთავარი ფავორიტები. პირველი პირინეული ეტაპის წინ საერთო ჩათვლაში ლიდერობდა წინა წელს გაჩემპიონებული ბელგიელი ოდილ დეფრეი, მეორე ადგილზე კი ფრანგი პეჟოელი ეჟენ კრისტოფი იყო.

„ოტოს“ პატრონის ანრი დეგრანჟის აზრით, ბეიონიდან ლუშონამდე 326 კილომეტრს ყველაზე ჩქარა კრისტოფი გაივლიდა. „ალსიონიდან“ ლაპიზის წასვლის შემდეგ ამ გუნდში დეფრეის უდიდესი დატვირთვა ჰქონდა, „პეჟოს“ შემადგენლობაში კი ბევრი ძლიერი მრბოლი იყო და ისინი თავიანთ ლიდერს დიდად მიეხმარებოდნენ.

მართლაც: სტარტიდანვე „პეჟო“ მშვენივრად გამოიყურებოდა, დეფრეიმ კი თითქოს გამარჯვებაზე ოცნებაც კი შეწყვიტა. წინწასულ ტიისთან და კრისტოფთან მისი ჩამორჩენა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

ტიისმა და კრისტოფმა კი უფრო გაზარდეს ტემპი, თანაც ეს უკანასკნელი ხვდებოდა, რომ საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გადადიოდა. ერთ-ერთ ბოლო უღელტეხილზე ასვლის შემდეგ, როცა დაღმართზე თავბრუდამხვევი სიჩქარით მიქროდა, პოტენციურმა ლიდერმა შენიშნა, რომ მისი წინა ბორბალი საკმაოდ შელახულიყო და წუთი-წუთზე საერთოდაც გატყდებოდა.

კრისტოფმაც თავისი „ფეხნატკენი ბედაური“ მხარზე მოიგდო და გზა სირბილით განაგრძო. თანაგუნდელებმა და მეტოქეებმა გასწრება დაუწყეს, მაგრამ დახმარების ხელი არავის გაუწოდებია, რადგან წესებით აკრძალული იყო. 14 კილომეტრის გარბენის შემდეგ მან, როგორც იქნა, შენიშნა პატარა სოფელი სენტ-მარი-დე-კამპანი. ცოტა ხნის ძებნის შემდეგ კი სამჭედლოსაც მიაგნო და მჭედელთან შეთანხმების შემდეგ საქმესაც შეუდგა. „რბოლა ყველამ იმავე ველოსიპედით უნდა დაამთავროს, რომლითაც დაიწყო“ — ეწერა „ტურის“ წესებში და კრისტოფსაც სხვა რა გზა ჰქონდა. მან ბორბლის გაკეთება მოახერხა, მაგრამ სამწუთიანი ჯარიმა მაინც აკიდეს. საბურველს სხვა უბერავდა, როცა იგი გატეხილ რკინებს ადუღებდაო — თქვა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ბატონმა დეშანმა. ვერაფერს იტყვი, შესაშური პედანტურობაა!

ორსაათიანი მუშაობის შემდეგ კრისტოფმა ერთი სენდვიჩი იშოვნა და ფინიშამდე დარჩენილ 54 კილომეტრს შეუტია. ძალების დიდი დაძაბვით „კრიკრიმ“ იმდენი შეძლო, რომ ეტაპი ტიისზე ოდენ ოთხი საათით გვიან, 29-ემ დაამთავრა, მის შემდეგ კი ფინიშის ხაზი კიდევ... თხუთმეტმა მრბოლმა გადაკვეთა. „ტურის“ ახალი ლიდერი იმ-დღევანდელი გამარჯვებული, ახალგაზრდა ბელგიელი გახდა, კრისტოფი მეათე ადგილზე გადავიდა, შეჯიბრი კი მეშვიდე პოზიციაზე დაამთავრა. თუმცა „პეჟოს“ საბოლოო წარმატებაში 28 წლის ფრანგმა მაინც დიდი წვლილი შეიტანა.

1951 წელს სენტ-მარი-დე-კამპანის სამჭედლოზე ფირნიშიც გამოაკრეს, რომელიც 38 წლის წინ აქ მომხდარ ამბავს ჰყვება.

1919 ᲬᲔᲚᲘ

გამარჯვებული ფირმინ ლამბო

„საომარი“ შესვენების შემდეგ „ტურ დე ფრანსი“ განახლდა. ამ ხნის განმავლობაში კი პირველმა მსოფლიო ომმა არაერთი ევროპული ქალაქი დანგრია და უამრავი ადამიანის სიცოცხლეც შეიწირა. მის მსხვერპლთა შორის „ტურის“ სამი ადრინდელი გამარჯვებულიც იყო — ფაბერი, პეტიბრეტონი და ლაპიზი. 1919 წლის გათამაშებაში ფავორიტები კვლავ ძველი ველოსიპედისტები იყვნენ, რადგან ახალგაზრდებს 1914-1918 წლებში ვარჯიშისთვის ნამდვილად არ ეცალათ.

საერთო ჩათვლაში ლიდერი პელოტონში გამორჩეული კაცია და განსაკუთრებულად ჩაცმულიც უნდა იყოსო, გადაწყვიტა ანრი დეგრანჟმა და ასე დაიბადა „ყვითელი მაისურა“. ყვითელი კი იმიტომ აირჩიეს, რომ გაზეთი „ოტო“ სწორედ ყვითელ ქაღალდზე იბეჭდება-და. ეს სიახლე მოიწონა პუბლიკამ და ისიც დამკვიდრდა, მით უმეტეს, რომ 1919 წლის 18 ივლისს ყვითელი მაისურის პირველი მფლობელი ფრანგი ეჟენ კრისტოფი გახდა გრენობლში. საბოლოო გამარჯვებასაც „მოხუც გალს“ უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ისეთი დანავსული ბედის პატრონი იყო...

ერთ-ერთ ეტაპზე მას ადრინდელივით ბორბალი გაუფუჭდა და რადგან დახმარებას არავისგან ელოდა, კვლავ თავად მოუხდა მისი შეკეთება, რაზეც ორ საათზე მეტი დრო დახარჯა. საერთო ჩათვლაში პირველობა და ლიდერის ახალმოგონებული სამოსი კი ბელგიელ ფირმინ ლამბოს გადაულოცა.

დაბოლოს, 1913 და 1920 წლებში გამარჯვებულმა ფილიპ ტიისმა რამდენიმე ხნის შემდეგ ყველას უამბო, რომ ყვითელი მაისურა მას ჯერ კიდევ 1913 წელს ეცვა. ძნელია, ეჭვი შეიტანო ამ განათლებული და მართალი კაცის სიტყვებში, მაგრამ არც ერთი იმდროინდელი გაზეთი ამ ვერსიას არ ადასტურებს. ასე რომ, „ყვითელი მაისურის“ დაბადებას 1919 წელს უკავშირებენ, თუმცა სრული ჭეშმარიტებااო, მაინც ვერავინ დაიჩემებს.

პირველი ტური პირველი მსოფლიო ომის მერე. სწორედ ამ, 1919 წლის ტურს უკავშირებენ ლიდერის ყვითელი მაისურით პირველად შემოსვას

15 ივლისს ინგლისში, ქალაქ პიტერბოროში ქართველი მოკრივეები კობა გოგოლაძე და გიორგი კანდელაკი პროფესიულ რინგზე მორიგ შეხვედრებს გამართავენ. კობა კარგა ხანია ლონდონშია და ლენოქს ლუისის კოლეჯში ვარჯიშობს, იმასაც შეგახსენებთ, რომ გოგოლაძემ პროფებში მხოლოდ ერთხელ იჩხუბა და პირველივე რაუნდში ნოკაუტით იმარჯვა. კანდელაკი კი პროფესიულ კრივს უკვე გაუშინაურდა და ხუთშაბათს თავის მეათე ბრძოლას ჩაატარებს

კობა გოგოლაძეს უელსელით აშინებენ

გუშინ ლონდონში დავუკავშირდით კობა გოგოლაძის მენეჯერს **მამუკა წიკლაურს**, რომელიც კობასა და გიორგის ვარჯიშზე საკრივო დარბაზისკენ მიიჩქაროდა, თუმცა საუბარზე არ დაგვზარდა და კითხვებზეც ამომწურავად გვიპასუხა:

— პიტერბორო ლონდონიდან 120 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, იქ თითხმეტში ჩავალთ, მანამდე კი გოგოლაძე და კანდელაკიც ლონდონში განაგრძობენ მზადებას.

— მეტოქეების ვინაობა თუა ცნობილი?

— კობას უელსელი ვუდი გროუნვეი შეხვდება. მას პროფებში ათჯერ უჩხუბია და რვაჯერ გაუმარჯვია, აქედან ხუთჯერ ნოკაუტით. 27 წლის გროუნვეი ბრიტანელ მოკრივეთა შორის რეიტინგით მეოთხეა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ უელსელს ნაცემი ჰყავს ალან სმიტი, ეს ის სმიტია, რომელსაც ამასწინათ გოგოლაძემ მოუგო.

გიორგი კანდელაკის მეტოქე კი ბულგარელი მოკრივეა. ისიც 27 წლისაა, პროფესიულ რინგზე თვრამეტჯერ გასულა და მხოლოდ ორჯერ დამარცხებულა. ერთი სიტყვით, ჩვენებს საკმაოდ სერიოზულ მოკრივეებთან ექნებათ საქმე.

— არა მგონია, კობამ და გიორგიმ უბრძოლველად დათმონ რამე.

— რა თქმა უნდა, ბიჭები თავდაუზოგავად ვარჯიშობენ და მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. ორივე ჩინებულ ფორმაშია. ბულგარელ მწვრთნელ ტაკოვს და პრომოუტერ ფრენკ მელოუნსაც მათი დიდად ეიმედებათ. თანაც ორივესთვის სახუთშაბათო ჩხუბი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ გამარჯვების შემთხვევაში რეიტინგში გვარიანად წაიწევენ. ცოტა მაშინებს ბრძოლის ხანგრძლივობა — გოგოლაძეს ექვსრაუნდიანი ჩხუბი მოუწევს. მართალია, კობა ჯანზეა და ექვს რაუნდსაც გაუძლებს, მაგრამ მე უფრო მისი ფსიქოლოგიური მზადყოფნა მაფიქრებს. კარგი იყო, რამდენიმე შეხვედრა გოგოლაძეს ოთხ რაუნდად ჩაეტარებინა, თანდათან მიეჩვეოდა პროფესიული კრივის გარემოს.

— შესაძლოა, მეტოქის დასამარცხებლად კობას არც დასჭირდეს ექვსი რაუნდი და პირველი შეხვედრის მსგავსად საქმე ნაადრევად მოილიოს.

— მაგას რა აჯობებს, მაგრამ ისე გვიქმს ვუდი გროუნვეი, რომ არა მგონია, მისი დნოკაუტება იოლი საქმე იყოს.

— კობა საკმაო ხანია ლონდონშია, 15 ივლისის მერეც მანდ დარჩება თუ ამჯერად შინ დაბრუნდება?

— თექვსმეტში მე და გიორგი კანდელაკი თბილისში გამოვემგზავრებით. კობა კი ორიოდ დღით შეყოვნდება ლონდონში, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და მერე ისიც თბილისში ჩამოვა. მომავალი ბრძოლები სექტემბერშია დაგეგმილი და მანამდე შინაურებთან ყოფნა და დასვენება არც კობას აწყენს და არც გიორგის.

სოსო კოტორეიშვილი

ხუთიანი ვერც უნივერსიადაზე მივიღეთ

პალმა დე მალიორკაში მიმდინარე სტუდენტთა მსოფლიოს თამაშებზე თუ ვინმესი გვეიმედებოდა, უპირველესად ძიუდოისტებისა, ესპანეთში საასპარეზოდ ხომ საქართველოს რჩეული ძიუდოისტები იყვნენ წასულნი. ჰოდა, მართალი გითხრათ, მათგან ერთ ოქროს მაინც ველოდით... ოქროსი რა მოგახსენოთ, აი, ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედლის მოპოვება კი შეძლეს ჩვენებურებმა.

რამაზ ჩოჩიშვილი პალმა დე მალიორკას ტატამზე აბსოლუტურში ჭიდაობდა და ფინალსაც უწია. აქ კი ძველი ნაცნობი, რუმინელი ალექსანდრუ ლუნგუ გადაეყარა. რუმინელმა წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე ჩოჩიშვილს ბრინჯაო აცილა ცხვირწინ და არც ახლა გაახარა გორელი ფალავანი: თავად ოქრო ირგუნა, ქართველი კი ვერცხლსღა დაჯერა.

ის ორი ბრინჯაო კი, ზემოთ რომ ვახსენეთ, ივერი ჯიქურაულმა (100 კგ) და ნესტორ ხერგიანმა (60) მოიპოვეს.

მირანდა ზედელაშვილი

ქართველები დიდ ფუფუნებაში არიან: მსოფლიოს ჩემპიონატს სავარჯიშოდ იყენებენ

ფინეთის ქალაქ ტამპერეში დამთავრებული მესტენდურთა მსოფლიოს ჩემპიონატი ქართველ მრგვალ სტენდზე მსროლელებისთვის წარუმატებელი გამოდგა — ფინალში ვერც თამაზ იმნაიშვილი მოხვდა და ვერც დავით ქვათაძე. მათ 120 ქულით დაამთავრეს ასპარეზობა, ფინალში კი 123-121 ქულიანები შევიდნენ.

ამგვარი შედეგი მოულოდნელი არაა, რადგან ჩვენებს საშეჯიბრო პრაქტიკა აშკარად აკლიათ. წლეულს დეპარტამენტმა მხოლოდ ერთხელ გამოძებნა თანხები იმნაიშვილის საზღვარგარეთ გასაგზავნად, მაისში, კვიპროსის დიდი პრიზის გათამაშებაზე, მაგრამ მაშინ თამაზი იქ სამსახურმა არ გაუშვა. ტამპერეში ისე წავიდა, საერთაშორისო ტურნირში არსად ეასპარეზა. რაც შეეხება ქვათაძეს, წლეულს იგი მხოლოდ ტოკიოში, დიდი პრიზის გათამაშებაში მონაწილეობდა. იქაც, ტამპერეს მსგავსად, საკუთარი ხარჯებით წავიდა.

ამ ტურნირს ჩვენი მესტენდურები ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოიყენებენ. ის სექტემბერში მონპელიეში გაიმართება და პირველი ხუთეული ოლიმპიურ ლიცენზიებს მიიღებს. თუ ხუთეულში ლიცენზიამიღებულებიც მოხვდებიან, მაშინ იგი ქვედა ადგილებზე გასულებსაც ერგებათ. ეს კი ჩვენებურთა შანსებს ზრდის. თანაც ევროპაზე ძლიერი ამერიკელი და აზიელი მსროლელები არ იასპარეზებენ. ოღონდ შანსი რომ გამოიყენონ, მეტი ვარჯიშის საშუალება უნდა ჰქონდეთ. ამიტომ ჩვენები ტამპერეშივე აწარმოებენ მოლაპარაკებას ფრანგებთან, რათა საგანგებოდ ევროპის ჩემპიონატისთვის გახსნილ ახალ სასროლეთზე რამდენიმე დღით ვარჯიშის ნება დართონ. ისე გამოდის, ტურნირებზე მუდამ მოუმზადებლად გამოვდივართ, ასე კი აღარ შეიძლებაო, გვითხრა სატელეფონო საუბრისას ქვათაძემ.

ირაკლი თავაძე

ვეფხვაძეებმა ვეფხვებივით იბრძოლეს

სპეციალური ოლიმპიური თამაშები

წელში მოხრილ ქართველებს წელგამართული უცხოელები ბაძავენ

აშშ-ს ქალაქებში როლსა და დარემში სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებზე 150 ქვეყნის 7000 ათასი სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოს წარმომადგენლებმა იქ სამი ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. არადა, როლსა და დარემში ჩვენი ქვეყნის დელეგაციის გამგზავრება უსახსრობის გამო ბოლო დღემდე გადაწყვეტილი არ იყო. ამიტომ იქიდან დაბრუნებულ დელეგაციის ხელმძღვანელს, სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე თემურ მიქიაშვილთან, მწვრთნელებთან გიორგი ქემოკლიძესთან (მძლეოსნობა) და არჩილ კეკელიასთან (ჩოგბურთი) საუბარი სწორედ ამ პრობლემით დავიწყეთ.

მარცხნიდან: ირინა საკოიანი, რამაზ ბაქუზანაშვილი, გიორგი და ეკა ვეფხვაძეები

— მართალი რომ გითხრათ, იმედი აღარც გვქონდა, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას შეძლებდით. მაინც, როგორ მოახერხეთ ამერიკაში გასამგზავრებელი ფინანსური პრობლემების გადაჭრა?

მიქიაშვილი:

— რომ არა სპეციალური ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები, შეჯიბრებაში მონაწილეობას მართლაც ვერ მივიღებდით. სწორედ მათ გამოგვიგზავნეს ამერიკაში გასამგზარებელი ბილეთები იმ პირობით, რომ ხარჯებს მერე ავუნაზღაურებთ. ერთი სიტყვით, ახლა ბილეთების ღირებულება და კიდევ ბევრი რამ ვალად გვადგვს.

განსაკუთრებით უნდა ვუსაყვედურო საქართველოს სოცუზრუნველყოფის სამინისტროსა და ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაა. მათ ამისთვის აქვთ გარკვეული თანხა. რამდენადაც ვიცით, ინვალიდთა საქმეთა დეპარტამენტს მაშინ 100 000 ლარი ჰქონდა გამოყოფილი იმისთვის, რომ ინვალიდთა სპორტი განვითარებულიყო. მიუხედავად მრავალი თხოვნისა, ისინი ერთი თეთრითაც არ დაგვხმარებიან. არადა, ჩვენ მათ ერთი წლით ადრე ვაცნობეთ, თუ რა ღონისძიებაში უნდა მიგვეღო მონაწილეობა და დახმარებაც ვთხოვეთ.

ვისარგებლებ შემთხვევით და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ინვალიდთა ლიგის პრეზიდენტს ზაზა სიხარულიძეს გაწეული დახმარებისთვის, ასევე ულრმესი მადლობა ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიას, ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიას, რომელმაც ორწელიწადნახევარი ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე ავარჯიშა ბავშვები, ამავე დროს უზრუნველყო საჭირო ინვენტარით. დიდი დახმარება გაგვიწია სპორტის აკადემიის პრორექტორმა ტრისტან გულბიანმაც. მადლობა მწვრთნელებს გია ქემოკლიძეს, და არჩილ კეკელიას, რომლებიც თავიდან ბოლომდე მხარში გვედგნენ.

— ახლა თავად თამაშებზე...

მიქიაშვილი:

— თამაშები, ცხადია, უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. წინათ ჩვენში პოპულარული ლოზუნგი „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს“ ზედგამოჭრილი იყო სპეციალური ოლიმპიური თამაშებისთვის. მისი გახსნის ცერემონიალმა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მასზე იმღერა სტივ უანდერმა, რომელსაც წარდგენა არ სჭირდება.

საერთოდ, ამ თამაშებზე თავი მოიყარა უამრავმა ცნობილმა პიროვნებამ. თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარეები იყვნენ კალათბურთისა და გოლფის ლეგენდები მაიკლ ჯორდანი და არნოლდ პალმერი. თავმჯდომარის მოადგილე დეტროიტპისტონელი გრანტ ჰილი. სპეციალური ოლიმპიური თამაშების საპატიო უფროსი მსაჯი კი გახლდათ არნოლდ შვარცენეგერი (სხვათა შორის, მისი მეუღლე გვარად შრაივერია. თამაშების დამაარსებელი იუნის კენედიც ხომ შრაივერია. შესაძლოა ახლო ნათესავიც) აქვე სხვა გამოჩენილი პიროვნებებიც იყვნენ: ნადია კომანეჩი, ჯეკი ჯოინერ კერსი, ბილი კრისტალი, ჯონ ბონ ჯოვი...

თამაშები საოჯახო პროგრამებსაც ითვალისწინებდა, რომელიც ერთი კვირით ადრე დაიწყო. სამწუხაროდ, ამერიკაში გამგზავრებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო მასში მონაწილეობა ვერ მივიღეთ. ვერ გავიარეთ აკლიმატიზაცია, რომელიც არა თუ ინვალიდ ბავშვებს, არამედ ჯანმრთელ ადამიანებსაც ესაჭიროებათ.

— ამერიკაში ალბათ საინტერესო შეხვედრებიც გექნებოდათ.

მიქიაშვილი:

— შეხვედრები გვქონდა იუნის კენედი და შარუენ შრაივერთბთან, რომლებმაც ხაზი გაუსვეს საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის აკადემიას შორის ურთიერთობას. ამ ურთიერთობამ საფუძველი ჩაუყარა იდეას, რომელიც ითვალისწინებს უმაღლეს სასწავლებლებსა და სპორტის აკადემიებში საინვალიდო კადრების მომზადებას. ჩვენ მათ ვაცნობეთ, რომ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიის ბაზაზე ყოველწლიურად იმართება სპეციალური ოლიმპიური თამაშები, რომელშიც აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები და მთელი კათედრები არიან ჩართულნი. ამის მერე დაიბადა იდეა, თუ საქართველოში ტარდება ამგვარი ღონისძიებები, მაშინ ყველამ მათ მივბაძოთო. გადაწყდა, რომ ვარშავის სპორტის აკადემია უკვე სექტემბერში უმასპინძლებს ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებს, რათა განაზოგადონ საკითხი, თუ როგორ შეიძლება ადამიანსა და უნივერსიტეტებს მიმბაძველ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები საინვალიდო სპორტის განვითარებისთვის.

ქემოკლიძე:

— მინდა დავუბრუნდე ჩვენს გასაჭირს. მაშინ, როცა საქართველოს დელეგაციამ ვაივაგლახით ჩააღწია თამაშებზე, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი საკმაოდ სოლიდური დელეგაციით იყო წარმოდგენილი. მათ ჯგუფში შედიოდნენ ჟურნალისტები და სახელმწიფო ტელევიზიის ორი ოპერატორიც. ჩვენგან კი ასეთი არავინ ყოფილა. ამასთან, ჩვენი მონაწილენი ეკიპირების გარეშე იყვნენ, რასაც სხვებზე ვერ ვიტყვით. ჩვენ გამგზავრებამდე ბოლო დღეს ვირბინეთ ბაზრობებზე, ცოტა იაფიანი ფორმები მაინც რომ შეგვეძინა. ნორმალურად ჩაცმული სპორტსმენი ხომ ქვეყნის პრესტიჟზე მეტყველებს. ამას სახელმწიფოებრივი მიდგომა სჭირდება.

სხვათა შორის, ამ ასპარეზობებზე ხშირად ნახავდით მოწოდებას „მთავარია დამოკიდებულება“.

ქემოკლიძე:

— თუ გავითვალისწინებთ, რომ მძლეოსნობა ჩვენი აქილევსის ქუსლია და იმასაც, რომ ამ სახეობაში 147 ქვეყნის 1396-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, ჩვენებურთ შედეგები შეიძლება გარკვეულ წარმატებად ჩაითვალოს. ჩვენ რომ ოჯახურ პროგრამებში მიგვეღო მონაწილეობა, რაც აკლიმატიზაციაში დაგვეხმარებოდა, ალბათ უფრო მაღალი შედეგებიც გვექნებოდა. თამაშებზე ოთხი მძლეოსანით გამოვედით. მათგან 100 და 200 მეტრზე რბენაში ირაკლი ჩიჩუამ IV ადგილი დაიკავა, ასევე IV ადგილზე გავიდა 200 მეტრზე რბენაში ნინო ხარაიშვილი. თამარ და ზაქრო მელაძეები შესაბამისად VI-V ადგილებზე გავიდნენ 100 და 200 მეტრიან დისტანციაზე.

კეკელია:

— ჩოგბურთელთა შეჯიბრება ITF-ის წესებით ჩატარდა, ოღონდ ერთ სეტად. შესარჩევი თამაშები სამ დღეს გაგრძელდა. ამიტომ ხანდახან დღეში ოთხი თამაშიც გვიწევდა, რაც ფაქტობრივად ორი სრულყოფილი მატჩი გამოდიოდა. სამი დღის ასპარეზობის შემდეგ გამოვლინდა ფინალური დივიზიონები. ჩვენმა ჩოგბურთელებმა 38 შეხვედრიდან 32-ში გაიმარჯვეს. ვგულისხმობ ერთეულთა, წყვილთა და შერეულ წყვილთა თანრიგებში გამოსვლას. რადგან ძალიან კარგი შედეგები გვქონდა, მოვხვდით უძლიერეს ფინალურ დივიზიონში, სადაც ავსირალიის რვაკაციანი უძლიერესი გუნდიც გამოდიოდა.

მოგეხსენებათ, ავსტრალია ტრადიციული საჩოგბურთო ქვეყანაა. მათ გარდა ამ დივიზიონში გამოდიოდნენ მასპინძლებიც. წარმოიდგინეთ როგორი რთული თამაშები გველოდა, მაგრამ ჩვენმა ჩოგბურთელებმა საოცრად კარგად იასპარეზეს.

ერთეულთა თანრიგში გოგონებში ოქროს მედალი მოიპოვა ეკატერინე ვეფხვაძემ, ირინა საკვიანმა კი ბრინჯაოსი.

ვაჟებს შორის ერთეულთა თანრიგში ჩემპიონები გახდნენ გიორგი ვეფხვაძე და რამაზ ბაქუზანაშვილი. წყვილთა თანრიგში ეკატერინე ვეფხვაძისა და ირინა საკვიანის ტანდემმა ვერცხლის მედლები მოიპოვა, ვაჟებში კი გიორგი ვეფხვაძისა და რამაზ ბაქუზანაშვილის წყვილმა ბრინჯაო. შერეულ წყვილებში და-ძმა ეკატერინე და გიორგი ვეფხვაძეებმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მეოთხე იყო ირინა საკვიანისა და რამაზ ბაქუზანაშვილის წყვილი.

- ასე რომ, ყველაზე უკეთ გამოვიდნენ და-ძმა ვეფხვაძეები, რომლებმაც მართლაც ვეფხვებივით იბრძოლეს და საერთო ჯამში ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

საერთო ჯამში მხოლოდ ავსტრალიელებს ჩამოვრჩით, მასპინძლები კი მესამე ადგილზე გავიდნენ. ასე რომ, ბავშვებმა, შეიძლება ითქვას, სასწაული მოახდინეს.

გიგა გურასაშვილი

REUTERS ლონდონიდან

ქალები გარაჟში

ამ უქმეებზე რომ სილვერსტოუნზე ბოლიდები დაბღუილობდნენ, ცნობილი და პირველივე გვერდზე მოთხრობილი ამბავია. მაგრამ აბა აქეთ გვნახეთ: ბრიტანული ტელევიზიის ლამაზმანები გეილ პორტერი, მილინდა მესინჯერი, ჯორდანი და ნელ მაკ ენდრიუ ფოტოკორესპონდენტთა არმიასთან ერთად მიცვენილან „ჯორდანის“ გარაჟებში და იქ შოუ სურათები გადაუღიათ, ჩვენც მანქანები ვართ, ოღონდ სხვა განხრისათ.

შიშველი — დოპინგის წინააღმდეგ

„ტურ დე ფრანსის“ ლაშქარი ჩრდილო საფრანგეთის გზებს სერავს. გზა ერთია და მის პირებზე ათასი ოხერი იყრის თავს. ოხერი თუ არა და ახირებული მაინც. აგერ, ბატონო, ეს ჯელები საერთოდაც გაშიშვლებულან და წამლისმოყვარე მრბოლთათვის ავისმომასწავებელი დევიზით შეუხსენებიათ თავი: „შიშველი — დოპინგის წინააღმდეგ!“

REUTERS ტიონვილიდან

კასპაროვი — მსოფლიო

1. e2-e4 c7-c5; 2. ♘g1-f3 d7-d6; 3. ♗f1-b5+ ♗c8-d7; 4. ♗b5:d7+ ♕d8:d7; 5. c2-c4 ♘b8-c6; 6. ♘b1-c3 ♘g8-f6; 7. 0-0 g7-g6; 8. d2-d4 c5:d4; 9. ♘f3-d4 ♗g7; 10. ♘d4-e2 ♕d7e6; 11. ♘c3-l5



სეპედა უკვდავყვეს

ბეისბოლს არა სჩვევია თავის გმირთა დავიწყება. „სან ფრანცისკო ჯოანთსის“ ანგადამდგარი ვარსკვლავი ორლანდო სეპედა კმაყოფილია. მისი სათამაშო ნომერი „30“ მშობლიურ „სრიკომ პარკის“ მარჯვენა კედელზე აღუბეჭდავს კლუბის უფროსობას. ნომერ „30“-ის დაუვიწყარ ციფრად გამოცხადებას საგანგებო ცერემონიალიც მიეძღვნა. ამას კი ისიც ერთვის, რომ ორლანდო სეპედა წარდგენილია ბეისბოლის დიდების დარბაზში, ნიუ იორკში, კუპერსტაუნში რომ უდევს ბინა.

REUTERS სან ფრანცისკოდან

კალგარული ტლინკი

როდეო — თავზეხელაღებულ მეძროხეთა შეჯიბრი დაბადებულა არა ამერიკაში, არამედ კანადაში. საერთოდაც, მეძროხე-კოვბოების სამშობლო, ადგილი, სადაც პირველად შეკერეს უცნაური კოვბოური ქუდი, გახლავთ კალგარი, ალბერტას პროვინცია. აქ დღემდე ხმაურით იმართება მეძროხეთა ხელობის გამოცდის შეჯიბრებანი, ჩვენში როდეოდ ცნობილი წრთობა, მოტლიწყავე ცხენზე ან ხარზე ამხედრებულ კოვბოების გამძლეობას რომ სცდის. ამ შაბათ-კვირასაც ასე იყო ალბერტაში. ჯერაც გაუხედნავმა სანი ბოიმ (მზიურმა ბიჭმა) ისე აჭკრა გავა მხედნავ დალტონ კრაფს, რომ ლამის წელში გადაამტვრია. დალტონმა რვა წამიც ვერ გაძლო სანი ბოის ზურგზე და ამიტომ მსაჯებმა ქულაც არ ჩაუწერეს.

REUTERS კალგარიდან



REUTERS ესტედან

მამამ ვერ გაიბრწყინა

ამ მარტინ პალერმომ ხომ თავი მოიჭრა და მოიჭრა. ბრაზილიასთან არგენტინელთა მატჩის წინ კი მსოფლიომ ისიც შეიტყო, რაც ადრე მხოლოდ სამხრეთში იცოდნენ: მისის პალერმო, ანუ მარტინის თანამეცხედრე ბრაზილიელი გოგო ყოფილა და ჟაკელინი რქმევია. ჟაკელინი და პალერმოთა პატარა ვაჟი სიუდად დელ ესტეს ტერასებიდან ესალმებოდნენ ოჯახის უფროსს, რომელმაც ცოლის თანამემამულეებთან შეხვედრაში თავი ვერაფრით გამოიჩინა. თუმცა, ცოლ-შვილს რას ვერჩით. ოქროსავით არიან. საქმე, მარტინია — დიდი რომ გვეგონა.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ჭუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli